...მარქსის სახ. საქ. ...
საჯარო
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეექვსე წელიწადი

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო.

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდ. მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურე 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

კვირა, 14 მარტი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 58 (1513)

დღიური

- ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ გერმანია [illegible] იქნა ერთა ლიგაში.
- პეკინში სცემეს ანტი-საბჭოთა აგიტატორებს.
- გადადგა ირლანდიის მთავრობის თავმჯდომარე დე-ვალერა.
- სრულიად გერმანიის სამხატვრო გამოფენაზე მიიწვიეს საბჭოთა კავშირის ხელოვანთა კავშირი.
- ოსმალეთ-საბერძნეთს შორის კვლავ ასტყდა დავა საზღვრების თაობაზე.

იბეჭდება და ამ დღეებში დაურიგდება
„კომუნისტი"-ს
ხელისმომწერლებს
„მეცნიერება და ტეხნიკა"
და
„დროშა"

„კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა
გადავიდა ახალ ბინაზე (რუსთ. პრ. № 34)

ორშაბათს, 15 მარტს, საღამოს 6 საათზე
წითელ თეატრში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი) მოწვეულია

თბილისის საბჭოს პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი:

1. მოხსენება სახალხო სასამართლოების მუშაობის შესახებ თბილისში და მაზრაში.
2. მიმდინარე საკითხები.

საბჭოს ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

ნ. 909 1—1

პრეზიდიუმი.

ცეკავშირის რწმუნებულთა ყრილობის გამო

დღეს იწყებს მუშაობას საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის (ცეკავშირის) რწმუნებულთა ყრილობა. სამომხმარებლო კოოპერაციას, ეჭვი არ არის, თვალსაჩინო მიღწევები აქვს ჩვენში კოოპერატიულ ქსელის გაფართოვების, მოსახლეობის კოოპერატიულ შეკავშირების და მისთვის საქონლის მიწოდების და სხვა დარგებში. მაგრამ ამავე დროს მას ჯერ კიდევ მრავალი ნაკლულევანებები ახლავს და მრავალი ჯერ კიდევ გადაუჭრელი ამოცანაა აღმართული მის წინაშე. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ამაზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

სამომხმარებლო კოოპერაციაში თავმოყრილ წევრთა რიცხვი უდრის დაახლოვებით 150.000-ს. თავისთავად ეს დიდი რიცხვია, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვართ მთელი მშრომელი მოსახლეობის კოოპერატიულ [illegible] მთავარ ამოცანას შეადგენს. ამ ამოცანის გადასაჭრელად ჩვენ უნდა გადავდგათ შემდეგი ნაბიჯები, ახალ-ახალი წევრები შევძინოთ არსებულ კოოპერატივებს, ხოლო გავხსნათ ასეთები იქ, სადაც არ არის. ის 140-მდე კოოპერატივი, რომელიც შედის ცეკავშირის სისტემაში (ქ. თბილისის გამოკლებით) საკმარისი არ არის. ოღონდ ახალ კოოპერატივების გახსნა არ უნდა ხდებოდეს მექანიკურად,—ამისათვის საჭიროა ამა თუ იმ რაიონის ეკონომიურ შესაძლებლობათა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა საფუძვლიანი შესწავლა.

კოოპერაციის შემადგენლობის რიცხვობრივ ზრდას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ უფრო მეტად მნიშვნელოვანია მის წევრთა შეგნებული დამოკიდებულება თავის ორგანიზაციისადმი. პირვ. ყოვლისა, აქ ჩვენ გვინდა შევეხოთ საპაიო გამოსაღების შეტანის საკითხს. ჩვენს კოოპერაციას საკუთარი თანხები ძალიან მცირე გააჩნია და ესაა მისი სისუსტის ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი. ამ თანხების ძირითადი წყარო საწევრო და საპაიო გადასახადია. და აი, ჩვენ ვხედავთ, რომ კოოპერატიულად შეკავშირებულ მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი პირნათლად ვერ ასრულებს თავის ნივთიერ ვალდებულებას კოოპერატივის მიმართ, საპაიო გადასახადი უხალისოდ, დაგვიანებით ან სულაც არ შეაქვს მას. საპაიო გამოსაღების შეკრებას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. კოოპერაცია მარტო კრედიტების ამარა ვერ იარსებებს, მით უმეტეს მაშინ, როცა კრედიტები რესპუბლ. ეხლანდელი მძიმე ფინანსიური მდგომარეობის გამო შეზღუდულია; საჭიროა კოოპერაცია დადგეს საკუთარ ფეხებზე.

თავის ნივთიერ ვალდებულებათა მოხდასთან ერთად, მოსახლეობამ გაცილებით უფრო მეტი აქტიური და უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს კოოპერაციის მუშაობაში, ვინემ ამას დღემდე ჰქონდა ადგილი. აქ ჩვენ არაფერს ვიტყვით კოოპერატიულ ორგანოების არჩეულობის თავისუფლების სრულ უზრუნველყოფაზე, მათი ნამდვილ პასუხისმგებლობაზე მასის წინაშე და სხ. ეს თავისთავად იგულისხმება. მოსახლეობა უნდა იქნას ჩაბმული კოოპერატივის ყოველდღიურ საქმიანობაში, მის გარშემო უნდა შეიქმნას მოწინავე მუშებისა და გლეხებისაგან კოოპერატიული აქტივი, მხოლოდ მჭიდრო კავშირი მშრომელ მასისა თავის კოოპერატივთან, მისი ფხიზელი კონტროლი მასზე გააჯანსაღებს მუშაობას.

გამოსასწორებელი კი ბევრი რამ არის. კოოპერატივის ფასები ჯერ კიდევ მაღალია, რაც აიხსნება გადაჭარბებული ზედნადები ხარჯებით. ბევრგან გაბერილი შტატი, ხშირი, უთავბოლო მიმოსვლა და მრავ. სხვა დიდძალ ფულს იწირავს და აძვირებს საქონელს. ბრძოლა მომჭირნეობისათვის და ამ გზით საქონლის გაიაფება—ასეთია კოოპერაციის მორიგი ამოცანა.

კერძოდ უნდა აღინიშნოს მფლანგველობა, რომელიც კიდევ არ არის აღმოფხვრილი კოოპერაციაში. ეს მოვლენა არა მარტო უდიდეს ნივთიერ ზარალს აყენებს მას, არამედ სახელს უტეხს მოსახლეობის თვალში. კოოპერატიული ქონების მფლანგველობის წინააღმდეგ უნდა იქნას მიღებული უსასტიკესი ზომები.

კოოპერაციის ნაკლულევანებანი მეტ წილად აიხსნება მომზადებულ კოოპერატიულ მუშაკების უყოლობით. უნდა შეიქმნეს მცოდნე და გამოცდილ საბჭოთა კოოპერატორების საკმაო კადრი. ამასთან კოოპერატიულ ცენტრმა მჭიდრო კავშირი უნდა იქონიონ ადგილებთან და სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიოს მათ.

კოოპერატიულ მუშაკების მომზადებასთან ერთად, უნდა იქნას აწეული მოსახლეობის კოოპერატიულ განათლების დონე, რომელიც დღესდღეობით ძალიან დაბალია. უნდა ითქვას, რომ კოოპერაცია ყველაზე უფრო სუსტად აწარმოებს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას მასაში. ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს.

ცეკავშირის რწმუნებულთა ყრილობა შეჩერდება ზემოდ ჩამოთვლილ და დღევანდელი სინამდვილით წამოყენებულ სხვა საჭირბოროტო საკითხებზე. მან უნდა გამონახოს საშუალებები კოოპერაციის მუშაობის გასაჯანსაღებლად და გასაღრმავებლად.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკითხები

I

ორგანიზაციული საკითხის სისწორით გადაუჭრელობას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში თან სდევს გამრუდება მისი კომერციული ფუნქციების, რაც უსიამოვნებას იწვევს წევრთა შორის.

„ძველი" წარმოკავშირის გამგეობის შეცდომათა ერთი წყარო იყო მტკიცე კურსის გაუტარებლობა პასუხისმგებელ მუშაკებთა მიერ სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის შენებლობაში.

წარმოკავშირს მიზნად ჰქონდა დასახული გაესაღებია მთელი პროდუქცია სოფლის ნაწარმოების. ამასთან ერთად მას სურდა ყველა კულტურის მოვლა-პატრონობა, წვრილი წარმოებლების კოლექტიურად შეკავშირება და სხვა და სხვა, რაც ჩვენს პირობებში სწორი ხაზის უქონლობის გამო განუხორციელებელ რასმეს წარმოადგენდა. ამასთან ერთად მას საჭიროდ მიაჩნდა სამომხმარებლო საგნების განაწილებაცა და, მაშასადამე, ნაწილობრივ სამომხმარებლო კოოპერაციის ფუნქციების მითვისებასაც ლამობდა.

ამ კავშირის ძველი ხელმძღვანელნი ყურადღებას არ აქცევდნენ სხვადასხვა ცენტრების შექმნის აუცილებლობას ამა თუ იმ სპეციალურ კულტურის განსავითარებლათ და ასამაღლებლათ. იმ დროინდელი ლოზუნგი იყო: ყველაფერს ჩვენ მოვკიდოთ ხელი გასაკეთებლათ. არ ხდებოდა ორგანიზაციული საკითხის შეფარდება არსებულ სინამდვილესთან და სხვა.

ამან წარმოშვა დეფექტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელ ხანებში. ამგვარ შეცდომების გამოსასწორებლათ გამოტანილ იქნა ვისგანაც ჯერ არს სათანადო დადგენილება დამოუკიდებელ ცენტრების შექმნის აუცილებლობის შესახებ. გამოცემულ იქნა კანონი „ბაღ-ბოსტან" კავშირის დაარსების შესახებ, ამასთან ერთად დაარსებულ იქნა სპეციალური კავშირი მეღვინეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, უმთავრესად მათი ნაწარმოებების ხელ-საყრელ პირობებში გასაღების მიზნით. მოეწყო „აბრეშუმი", რომელიც მიზნად ისახავს დაიცვას მეაბრეშუმეობის ინტერესები.

ეს პოლიტიკა მიჩნეულ უნდა იქნეს ყველას მიერ სწორად და, მაშასადამე, მტკიცედ უნდა გატარდეს ცხოვრებაში. ამას მოითხოვს ჩვენი გლეხკაცობის ინტერესები.

სპეციალური ორგანიზაცია, შექმნილი ამა თუ იმ კულტურის ასამაღლებლად, უფრო მეტს გააკეთებს თავის სპეციალურ დარგის სასარგებლოდ, ვიდრე ერთი რომელიმე კავშირი. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ კოოპერატორთა აზრით შესაძლებელია ძველი გზით სვლა ე. ი. ჩვენი სოფლის ყველა კულტურის ინტერესების „შეზავება" წარმოკავშირში.

ეს იქნებოდა ძველი წესების (უკეთ რომ ვსთქვათ უწესოების) შემოღება, როდესაც მებაღეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მიღებულ თანხებით სარეწავ გადასახადს იხდიან ხოლო მეცხვარეობის პროდუქციის გასაღების მიზნისათვის მიღებული სესხით ძველ ვალებს ისტუმრებენ. ასეთი გზით ჩვენ ვერასოდეს ვერ შევსძლებთ ძვირფასი კულტურის ამაღლებას.

ამგვარ წესის შემოღების შესაძლებლობას გრძნობენ ცალკე ცენტრების დაარსების მოწინააღმდეგენი, რომლებიც მიუხედავად ამისა, ცდილობენ მაინც რაიმე ზიანი მიაყენონ ამ ცენტრების არსებობის იდეას. ამიტომ ცდილობენ დაამტკიცონ მათი არსებობის უნიადაგობა. მათი აზრით, ერთის მხრივ—წარმოკავშირს ეცლება ხელიდან სამოქმედო ასპარეზი, ხოლო მეორეს მხრივ — ცალკე ცენტრებისათვის ეკონომიურად ჩამორჩენილ საქართველოში სამოქმედო ასპარეზი არ მოიპოება.

ამგვარ მოსაზრებებს არავითარი გასამართლებელი საბუთი არ აქვს ჩვენს სინამდვილეში. ცალკე ცენტრების დაარსების იდეა დაიბადა ჩვენში უფრო გვიან ვიდრე რუსეთში, სადაც ეს საკითხი საბოლოოდ არის გადაწყვეტილი და გატარებული ცხოვრებაში.

გარდა ამისა სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაოდენობა მთელს საქართველოში უდრის—106.000.000 მანეთს. აქედან საქონლის რაოდენობა შეადგენს დაახლოვებით 39½ მილ. მანეთს. მაშასადამე ჩვენი მიზანი უნდა იყოს წვრილ მწარმოებლების კოოპერატივებში გაერთიანების საშუალებით ამ 39½ მილ. მანეთის ღირებული პროდუქციის გასაღების მოწესრიგება.

ამის გარდა, მარტო საქონლის რეალიზაცია (გასაღება) არ არის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პირველი და უკანასკნელი მიზანი. საჭიროა დრო და ენერგია დაიხარჯოს კოოპერატიულ გაერთიანების მოწყობაზე. მხოლოდ ასეთი გზით შევსძლებთ ჩვენ გლეხკაცობის სოციალისტურ მეურნეობაში ჩაბმას.

ამის შესრულება, ცხადია, არ შეუძლია ერთს ცენტრს.

გამოყოფილ ცენტრების საშუალებით, როგორიც არიან: „ბაღ-ბოსტან" კავშირი, მეღვინეთა კავშირი და „აბრეშუმი"—შესაძლებელია . ამოძრავდეს ძალები სათანადო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გასასაღებლათ, რომლის ღირებულებაც უდრის 10.362.000 მანეთს. ამაში შედის ღირებულება მეხილეთა და მებოსტნეთა პროდუქციისა—3 მილიონამდე, მეღვინეთა—6 მილ. მან. და „მეაბრეშუმეთა"—1.362.000 მან.

განა ეს ეკონომიური ბაზის უქონლობას მოასწავებს? ამას გარდა „წარმოკავშირის" მოქმედების გასაფართოებლათ რჩება მთელი რიგი სასოფლო - სამეურნეო კულტურისა, რომლებიც საჭიროებენ მოვლა-პატრონობას და რაც მოითხოვს ჩვენგან უდიდეს ენერგიას და ცოდნას.

უკვე შექმნილ ცენტრების გარდა, რომ შეიქმნეს მეცხვარეთა ამხანაგობების დამოუკიდებელი კავშირი საქართველოს მასშტაბით, იმ შემთხვევაშიაც - კი „წარმოკავშირს" რჩება გასასაღებლათ პროდუქცია, ღირებული დაახლოვებით 24 მილ. მანეთისა. ამაში შედის: თამბაქო, სიმინდი, ბამბა, რძის პროდუქტები, კვერცხი, საკლავი საქონელი, პროდუქცია მეფუტკრეობისა, ტყავეულობა და სხვა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ წარმოკავშირის წლიური ბრუნვა უდრის დაახლოვებით ოთხ მილ. მანეთს, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ სამოქმედო ბაზა არსებობს, როგორც წარმოკავშირისათვის, ისე უკვე შექმნილ ცენტრებისათვის.

ასეთია პრინციპიალური მხარე ამ საკითხისა. რაც შეეხება პრაქტიკულ მხარეს დამოუკიდებელ ცენტრების მოღვაწეობისას, ამის შესახებ ჩვენ ვიტყვით შემდეგ.

ა. ერქომაიშვილი.

„იტალიაში არ არიან ავაზაკები, აქ სიწყნარეა" *)

(წერილი იტალიიდან)

მილანო, თებერვალი.

რამოდენიმე დღის წინად ერთი ინგლისელი ქალის წერილი მივიღე, მე-[illegible] იტალიაში მოგზაურობარ. მისი წერილი ისე იყო დაწერილი, თითქო მე-19 საუკ. დასაწყისში ვცხოვრობდეთ: თუმცა კილო მეტად ზრდილობიანი ჰქონდა, მაგრამ ეტყობოდა ცოტა არ იყოს, შემკრთალი ადამიანის ხელით იყო დაწერილი. სტრიქონებში შეშფოთებას, თვით შიშსაც ამოიკითხავდით. მართლაც იტალიის შესახებ ხომ არაჩვეულებრივი ამბებია გავრცელებული; ბევრს ლაპარაკობენ ფლორენციასა, ბოლონიასა და სხვა ქალაქებში მომხდარ შემთხვევებზე, ასე რომ ბატონ უცხოელებს, მდიდარ ბურჟუებს ხანდახან ეშინიათ, რომ საკუთარ ძვირფას ტყავს დასტოვებენ მზისა და ბატონ მუსოლინის სამეფოში.

ნამდვილად კი საქმე ასე არ არის. იტალიაში უკვე კარგა ხანია ავაზაკები აღარ არიან და ვისაც ჯიბეში ფული აქვს, იქ არავითარი ხიფათი არ მოელის. იტალიაში ფაშისტები არიან, „წესრიგი" უზრუნველყოფილია და შეიძლება გულახდილად ვაღიაროთ, რომ ჩვენი ქვეყანა არასოდეს არ ყოფილა ისე დაწყნარებული და ისე უშიშარი, როგორც დღეს არის... შეძლებულთათვის.

ფაშისტური წესწყობილების ბურჟუაზიული მოწინააღმდეგეები, რომელნიც უცხოეთში არევ-დარევისა და პანიკის კამპანიას აწარმოებენ, სწორედ რომ ცუდი პატრიოტები არიან, მათთან შედარებით ბატონი მუსოლინი სპეკულიანტური და დუქნური იტალიის ჭეშმარიტი წარმომადგენელია. მისი პატრიოტიზმი, რომელმაც ბურჟუაზია სამი წლის წინად იხსნა, სამშობლოს ერთხელ კიდევ იხსნის „განმანადგურებელთაგან" და მათ წინააღმდეგ, უყოყმანოდ, უსასტიკეს კანონს შემოიღებს.

დიახ, იტალიაში ავაზაკები არ არიან, აქ გაფიცვებიც კი აღარ ხდება. რკინის გზა წესიერად და შეუჩერებლად მუშაობს, ყველანი მუშაობენ, აქ არ არის უმუშევრობა. ლირა ფრანკს სჯარბობს. სახელმწიფო ბიუჯეტი აქტიურია. კაპიტალისტები სარფიან საქმეებს აკეთებენ, ზოგიერთის აზრით, „მეტად სარფიანსაც კი". სააქციო საზოგადოებათა კაპიტალი ზღაპრული ნაბიჯით იზრდება. ჩვენ შეგვიძლია ხმამაღლა ვაღიაროთ: იტალია დღეს საერთაშორისო კაპიტალიზმის აღთქმული ქვეყანაა, მან შესძლო „თანამედროვე ბარბაროსების" ე. ი. მუშების დამარცხება და „სამუდამოდ მოდრეკა".

იტალიაში ავაზაკები როდი არიან. გაძევებულთ უფლება არ აქვთ ცილი დასწამონ თავიანთ დიდს და სახელოვან სამშობლოს, რომელსაც სავოიელების სამეფო სახლი და „მისი უდიდებულესობა" ბენიტო მუსოლინი პირველი ბრძანებლობს.

დიახ, ამ ნახევარ-კუნძულზე კარგად „მუშაობენ". 1919 წელს, ე. ი. „წითელი ტერორის" დროს მუშებმა რვა საათის სამუშაო დღე და სა[illegible]სებო მინიმუმი მოიპოვეს. დღეს 8 საათის სამუშაო დღე აღარ არსებობს. დღეს მხოლოდ ერთი კანონი არსებობს—„მუსოლინის კანონი", რომელიც **თეორიაში** რვა საათის სამუშაო დღეს სცნობს, ხოლო **პრაქტიკაში** სპობს. მუშაობა ათს, თორმეტ საათს გრძელდება. ზედმეტ საათში ან სულ არაფერს იძლევიან, ან შეუფერებლად მცირე გასამრჯელოს. ფაშისტები ჩაერიენ მუშათა კლასისა და ექსპლოატატორების ბრძოლაში, ამიტომ ხელფასი 20—30 და კიდევ მეტი პროცენტით შემცირდა. გაუწრთვნელი მუშის დღიური ხელფასი 1919—20 წლებში 28 ლირა იყო, დღეს მხოლოდ 22 ლირაა.

ამავე დროს ცხოვრება შესამჩნევად გაძვირდა და კიდევ უფრო ძვირდება. იტალიაში გირვანქა პური ერთი ლირა და მეოთხედი ლირს, ჩვეულებრივი ხორცი—9 ლირა. რძე მიუწვდომელია სიცოცხლის წყაროსავით. საერთოთ შეიძლება ითქვას, რომ ფაშიზმის გაბატონების შემდეგ ცხოვრება ათიდან თვრამეტ პროცენტამდე გაძვირდა, სამუშაო ქირა კი ქალაქშიც დაეცა და სოფელშიც.

ამ წლის დასაწყისში მოემატა გაზისა, ელექტრონისა, მარილისა, ამანათებისა და წერილების გადასახადებს და სრულიად მოისპო ბინის დამქირავებლების მფარველობა. დღემდე ცოტაოდენი მფარველობა იყო კიდევ დარჩენილი ომის დროიდან. მუსოლინიმ სრულიად ხელები გაუხსნა სახლების პატრონებს. მილანოს „სახლების პატრონთა კავშირმა" გადასწყვიტა „ბოროტად" არ გამოიყენოს მინიჭებული თავისუფლება და ბინების ქირას მხოლოდ 50 პროც. მოუმატა.. ასე რომ, საერთოდ, ომის წინადროინდელ ფასთან შედარებით დღეს ბინა 500 პროცენტით გაძვირებულია. ეს საუკეთესო საჩუქარია კაპიტალისტებისათვის. მაგრამ ზოგიერთი მეპატრონე თავს არ იწუხებს მათი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით და ბინის ქირას 1.300 პროცენტით აძვირებს.

ეს გარემოებაც ამტკიცებს, რომ დღევანდელ იტალიაში არავითარი საფრთხე არ არსებობს არც გარეული და არც შინაური კაპიტალისტებისათვის და ყოველივე „წესიერად" და „კარგად" მიმდინარეობს.

მაგრამ მუშებისათვის მდგომარეობა საერთოდ შემდეგია: ხელფასის შემცირება 20-დან 30 პროცენტამდე, ცხოვრების გაძვირება 18 პროცენტით, უზომო ბინის ქირა. თუ ამას დაუმატებთ, რომ კომუნისტებს მუდამ კატორღას ემუქრებიან, რომ რამოდენიმე ათასი კომუნისტი საკატორღო ციხეშია კიდეც დამწყვდეული, რომ ზოგიერთ მათგანს 30 წელიწადი აქვს მისჯილი, ადვილად მიხვდებით, რომ იტალიაში „ავაზაკები" აღარ არიან და ჩვენს ქვეყანაში ცხოვრება „ტკბილად" და „მშვიდობიანად" მიმდინარეობს.

გ. სერრატი.

„როტე ფანე".

---

*) ეს მწარე ირონიით დაწერილი კორესპონდენცია საკმაოთ ახასიათებს მუშათა კლასის მდგომარეობას ფაშისტების ქვეყანაში.

ერთა ლიგა და გერმანია

ერთხმად, უკამათოდ

ბერლინი, 12 მარტი. როგორც ვოლფის სააგენტო იუწყება, ერთა ლიგაში ახალ წევრების მიმღებ კომისიამ მოისმინა ქვეკომისიის მოხსენება გერმანიის ერთა ლიგაში მიღების შესახებ და უკამათოდ, ერთხმად დაამტკიცა იგი. ჩემბერლენს მიენდო, ეს დადგენილება მოახსენოს ერთა ლიგის საერთო კრებას.

„ლოკარნოს სული" გაჰქრა.

ბერლინი, 12 მარტი. იმ დროს, როდესაც დელეგატები მოელიან გადაწყვეტილების მიღებას ჟენევაში, კრიზისი ჩქარი ტემპით ახლოვდება. „ლოკარნოს სული", რომელიც გამეფებული იყო წინასწარ მოლაპარაკების დროს, ეხლა, როგორც გერმანული გაზეთები აღნიშნავენ, „ალპიის მთის მაღლობებზე აორთქლდა".

ლიუტერს და შტრეზემანს ხშირად ნახულობს ზოგიერთი დელეგატი, მაგრამ ლიგაში გერმანიის ფორმალური მიღება ჯერ კიდევ შორს არის.

ამერიკული პრესა აღნიშნავს, რომ ლიგა ჩქარა გააორკეცებს იმ საფრთხეს, რომელიც „მშვიდობიანობის გემს" მოელის.

კიდევ ერთი საიდუმლო სხდომა.

ბერლინი, 13 მარტი. გაიმართა ერთა ლიგის საბჭოს საიდუმლო სხდომა, რომელსაც დაესწრო ბრაზილიის დელეგატი. ამის გამო ფიქრობენ, რომ ბრაზილიის დელეგაციამ ახალი ინსტრუქციები მიიღო რიო-დე-ჟანეიროდან.

კრიზისი გრძელდება.

ბერლინი, 13 მარტი. ჟენევაში კრიზისი გრძელდება. პოლიტიკური წრეები სკეპტიკურად არიან განწყობილნი, რადგან ესპანეთი იმუქრება, რომ ლიგიდან გამოვა. ამავე დროს გარმანია, რომელსაც მხარს უჭერს შვეცია, უარს ამბობს დათმობაზე.

მდგომარეობა კრიტიკულია.

ლონდონი, 13 მარტი. ჟენევიდან მიღებული ცნობის თანახმად, იმ სახელმწიფოთა დელეგატების დღევანდელ კრებაზე, რომლებთაც ხელი მოაწერეს ლოკარნოს ხელშეკრულებას, გერმანელმა დელეგატებმა მოითხოვეს, რომ მათ ადროვონ, სანამ ბერლინიდან პასუხს მიიღებდენ განზრახული კომპრომისის შესახებ, რომლის თანახმად პოლონეთმა უნდა მიიღოს არამუდმივი ადგილი ლიგის საბჭოში. სხდომა გადადებულ იქნა.

შემდეგ გერმანიის დელეგაციამ განაცხადა, რომ გერმანიას არ შეუძლია მიიღოს კომპრომისი.

მდგომარეობა ძალიან კრიტიკულია, რადგან ბრიანმა კატეგორიულად განაცხადა, რომ მან წარმოადგინა მოკავშირეების უკანასკნელი დათმობანი.

შემდეგი მოლაპარაკება უნაყოფოა.

პარიზი, 13 მარტი. ჩემბერლენმა ინგლისურ გაზეთების ჟენეველ კორესპონდენტებს განუცხადა, რომ ლიუტერის განცხადების გამო ოფიციალური მოლაპარაკების გაგრძელება უნაყოფოა. საკითხი შეტანილი იქნება ლიგის საბჭოში.

მოთმინების ფიალა ორშაბათს აივსება.

ბერლინი, 13 მარტი. გერმანიის პოლიტიკურ წრეებში ამბობენ, რომ გარმანიის დელეგატებს შეუძლიათ მოითმინონ ორშაბათამდე, მაგრამ ამაზე გვიან კი აღარ მოითმენენ.

ბრიანის განცხადება.

პარიზი, 13 მარტი. როგორც კი მიიღო ბრიანმა ცნობა, რომ გერმანიის დელეგაცია უარს ამბობს შეთანხმებულ ფორმულის მიღებაზე, მან შემდეგი განუცხადა საერთაშორისო პრესას:

„დილით ჩვენ წარუდგინეთ გერმანელებს წინადადება, რომელშიც უკიდურეს დათმობამდე წავედით. ჩვენ ძლიერ გაკვირვებული დავრჩით, როდესაც ეს წინადადება არ იქნა მიღებული და გერმანიის დელეგატები განაგრძობენ მოთხოვნას, რომ ხალხთა ლიგაში მხოლოდ ისინი იქნენ მიღებული. გერმანიას უთუოდ დაავიწყდა ის პირობები, რომელთა მიხედვით ჩვენ თანახმა ვიყავით მისი ხალხთა ლიგაში მიღების. მართალია, ჩვენ შევპირდით მუდმივ ადგილს საბჭოში, მომავალში კი კოლონიალური მანდატის მიცემას, მაგრამ ჩვენ არ აგვიღია ვალდებულობა დაგვერღვია ხალხთა ლიგის ყველა სტატუტი. ეს სტატუტი კი ლიგის ყველა წევრებს ანიჭებს უფლებას წამოაყენოს თავისი კანდიდატურა ლიგის საბჭოში ან და ისარგებლოს ხმის მიცემის თავისუფლებით. გერმანელები სხვა აზრის არიან, რომელსაც ჩვენ ვერ დავუშვებთ".

მაგრამ, განაცხადა ბრიანმა, მოლაპარაკება ჯერ არ დამთავრებულა და კიდევაა იმედი მისი გამარჯვებით დამთავრებისა.

ჩინეთის ამბები

მუშა-ქალის დღე ტიან-ძინში

პეკინი, 12 მარტი. მუშა-ქალის საერთაშორისო დღე ტიან-ძინში აღნიშნულ იქნა მრავალრიცხოვანი მიტინგებით. გამოტანილი რეზოლიუციები სოლიდარობას უცხადებენ ჩინეთის განმანთავისუფლებელ მოძრაობას.

ტაკუს ნავთსადგურში

პეკინი. 12 მარტი. ტიან-ძინიდან მიღებული ცნობით, ერთის მხრივ პირველი სახალხო არმიის სარდლობასა და კეილანის ნახშირის მაღაროების ადმინისტრაციასა, და მეორეს მხრივ კერძო პირებს შორის დადებულია შეთანხმება, რომლის თანახმად გემების მოძრაობა ტაკუს ნავთსადგურში დაუბრკოლებლად უნდა ხდებოდეს. გემების გასინჯვის უფლება ეძლევათ მხოლოდ სახალხო არმიების წარმომადგენლებს. ეს ზომა მიმართულია მუკდენის ჯარების გადმოსხმის წინააღმდეგ.

ანტი-საბჭოთა აგიტატორების დამარცხება

პეკინი, 12 მარტი. ჩინელების ჯგუფი, რომელიც აწარმოებდა ანტი-საბჭოთა კამპანიას, 10 მარტს შეეცადა მიტინგი მოეწყო პეკინის უნივერსიტეტში. აუდიტორია, რომლის მნიშვნელოვან ნაწილს მუშები შეადგენდენ, აღშფოთებით შეხვდა ანტი-საბჭოთა აგიტატორების გამოსვლას. დამსწრებმა სცემეს ორატორებს და გააძევეს ისინი, რის შემდეგ კრება დაიშალა.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგიტაციის მთავარი ხელმძღვანელი პენ-ჩაო-სენი იმდენად დაშავდა, რომ საჭირო შეიქნა მისი საავადმყოფოში გაგზავნა.

ქვანახშირის კომისიის მოხსენება

ლონდონი, 13 მარტი. მემაღაროეების აღმასკომმა განიხილა ქვანახშირის კომისიის მოხსენება. მაღაროების პატრონებმა და მუშებმა ბალდუინი ინახულეს. პრემიერმა ორივე მხარეს სთხოვა, გადაწყვეტილებას ნუ მიიღებენ, სანამ მოხსენებას თემთა პალატა განიხილავდესო. ბალდუინმა თემთა პალატაში პასუხი გასცა მაკდონალდს და განაცხადა, რომ მან სთხოვა კაბინეტის წევრებს განსაკუთრებული ყურადღებით და პასუხისმგებლობის გრძნობით განიხილონ ეს მოხსენება.

მოხსენების გამოძახილი

ლონდონი, 12 მარტი. ნახშირის მრეწველობის მდგომარეობის გამომკვლევი კომისიის მოხსენებას გაზეთები სხვადასხვაგვარად გამოეხმაურენ.

რეაქციონური „მორნინგ პოსტი" ესალმება კომისიის წინადადებას ნახშირის მრეწველობისათვის სუბსიდიის მოსპობის შესახებ.

მუშათა პარტიის ორგანო „დეილი ჰერალდი" აცხადებს, რომ მთელი მუშათა მოძრაობა მხარს დაუჭერს სამთომადნო მუშების ფედერაციას სამუშაო ხელფასის შემცირების საწინააღმდეგო ბრძოლაში.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია საზხრეთ უელსის სამთომადნო მუშების ფედერაციის თავმჯდომარის ხარტფგორნ ვერნონის განცხადება. ვერნონი მუშათა მოძრაობის უკიდურეს მემარჯვენე ფლანგს ეკუთვნის.

„კომისიის მოხსენების საფუძველზე შეთანხმება, განაცხადა მან, შეუძლებელია. მე ძლიერ გაოცებული დავრჩები, თუ სამთომადნო მუშების ფედერაცია თუ გინდ 5 წუთს დაჰკარგავს ამ მოხსენების განსახილველად მაღაროს მესაკუთრეებთან ან მთავრობასთან".

საფ. საქ. კომიტეტების არჩევნები გერმანიაში

ბერლინი, 12 მარტი. მარტში მოხდება საფაბ.-საქარხ. კომიტეტების არჩევნები მთელს გერმანიაში.

1920 წლის კანონის მიხედვით კომიტეტების არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ წარმოებებში მყოფ მუშებს. ამგვარად 17 მილიონიან გერმანიის პროლეტარიატიდან 2 ნახ. მილიონი უმუშევარი ვერ მიიღებს მონაწილეობას მომავალ არჩევნებში.

შავი რეიხსვერი სტინესის და იუნკრების მზრუნველობის ქვეშ

ბერლინი, 13 მარტი. პრუსიის ლანდტაგის საგამომძიებლო კომისიაში, ზოგიერთ მკვლელობათა გარჩევის დროს, მოწმეებმა განაცხადეს, რომ ჰუგო სტინესის და „ლანდბუნდის" წარმოებები, რომელთა სათავეში სდგანან იუნკრები, 1922 წელს შავ რეიხსვერს შესწირეს ერთი მილიონი ოქროს მარკა. მაშინ ოქროს მარკას გაცილებით მეტი ფასი ჰქონდა, ვინემ ეხლა აქვს. რეაქციონერები შავი რეიხსვერის არსებობას ამართლებდენ პოლონეთის თავდასხმისაგან დაცვის აუცილებლობით.

უკანასკნელი ცნობები

კომკავშირის საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 13 მარტი. 11 მარტს, დიდ თეატრში გაიხსნა კომკავშირის საკავშირო მე-7 ყრილობა.

ყრილობა გაიხსნა რ. ა. ლ. კ. კ-ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ჩაპლინის შესავალ სიტყვით.

ჩაპლინის სიტყვის შემდეგ ამორჩეული იქნა პრეზიდიუმი, რომელშიც შევიდენ: კოსიორი, იაროსლავსკი, უნდანოვი, ჩაპლინი, მატვეევი, მილჩაკოვი და სხვ. საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ: სტალინი, რიკოვი, ბუხარინი, ვოროშილოვი, კალინინი, მოლოტოვი, ტომსკი, ძერჟინსკი, ზინოვიევი.

პირველად ყრილობამ მიიღო პატაკი კომკავშირის შეფობის ქვეშ მყოფ წითელ ფლოტიდან.

შემდეგ მისალმებებით გამოვიდენ რიკოვი საკავშირო კომპარტიის ცეკას სახელით, ტელმანი კომინტერნის, კალინინი საკავშირო მთავრობის დორიო საფრანგეთის კომპარტიისა და კომკავშირის სახელით.

ყრილობამ მიიღო მიმართვა საკავშირო კომპარტიის ცეკას მიმართ, რომელშიაც ის მილიონ-ნახევარ კომკავშირის სახელით ფიცსა სდებს ბოლშევიკური პარტიის ცეკას წინაშე, მხარი დაუჭიროს და დაიცვას დიდი ბელადის ვლადიმერ ილიჩის ანდერძი ჩვენი რიგების მთლიანობის დაცვის შესახებ და აცხადებს, რომ კომკავშირი, რომელიც ატარებს ლენინის სახელს, როგორც ერთი კაცი ფეხზე დადგება საკავშირო კომპარტიის ცეკას ძახილზე პარტიისა და ლენინიზმის დასაცავად.

ამით დამთავრდა პირველი სხდომა.

12 მარტს მოხსენებით გამოვიდა ამხ. ბუხარინი.

უკანასკნელი ცდა

პარიზი, 13 მარტი. გერმანიის დელეგაციის მიერ უარის თქმის შემდეგ, ჩემბერლენს თათბირი ჰქონდა იაპონიის დელეგატთან, შემდეგ კი ლიუტერთან და შტრეზემანთან. შუაღამეზე ჩემბერლენმა მიიღო ინგლისის გაზეთების წარმომადგენლები და განუცხადა მათ, რომ ლიუტერის განცხადების შემდეგ მას უნაყოფოთ მიაჩნია მოლაპარაკების გაგრძელება.

დღეს დილით განახლდა კერძო მოლაპარაკება. ბრიანმა ინახულა ჩემბერლენი და ვანდერველდე.

დღეს იქნება უკანასკნელი ცდა შერიგებისთვის. უკანასკნელი გადაწყვეტილება გამოტანილი იქნება უთუოდ დღეს საღამოთი.

შეთანხმებული ფორმულა

პარიზი, 13 მარტი. გუშინ ჩემბერლენთან შემდგარ სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობდენ ის სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ლოკარნოს ხელშეკრულებაზე, შეტანილ იქნა შემდეგი შეთანხმებული წინადადება; 1) გერმანიისთვის ხალხთა ლიგაში ერთხმად გადაწყვეტით დაუყონებლივ მუდმივი ადგილის მიცემა; 2) პოლონეთისთვის დაუყონებლივ ადგილის მიცემა არა მუდმივი, არამედ ამორჩევითი ხმით; ეს გადაწყვეტილება დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს პლენარულ სხდომას მიმდინარე სესიაში; 3) დანარჩენი კანდიდატურების საკითხი ლიგაში მუდმივი ადგილის შესახებ, გადაეცეს სპეციალურ კომისიას, რომელსაც დაევალება მოამზადოს სექტემბრის მორიგი სესიისთვის ხალხთა ლიგის სრული რეორგანიზაციის გეგმა.

გერმანია უარს ამბობს

პარიზი, 13 მარტი. იმის გამო, რომ გერმანიამ დაუყონებლივ არ განიმეოროს თავისი ვეტო შეთანხმებულ ფორმულაზე, ამიტომ ჟენევაში ფიქრობდენ შეთანხმებული ფორმულის გამარჯვებას. მაგრამ 18 საათსა და 36 წ. ლიუტერმა აცნობა ჩემბერლენს, რომ გერმანიის დელეგაცია უარს ამბობს მიიღოს შეთანხმებული ფორმულა.

პროფინტერნის ცენტრალური საბჭოს სესია

მოსკოვი, 13 მარტი. 11 მარტს, პროფინტერნის ცენტრალური საბჭოს სესიაზე გრძელდება კამათი ნინის და ლოზოვსკის მოხსენების გამო.

პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში

ვარშავა, 12 მარტი. უკანასკნელი ცნობებით, ჟენევიდან სეიმის წრეებში უიმედოთ უყურებენ პოლონეთისთვის მუდმივი ადგილის მიცემას ხალხთა ლიგის საბჭოში.

ფრაქციების ბელადების აზრით, პოლონეთის დამარცხება ჟენევაში გართულებას გამოიწვევს სახელმწიფოს შიგნით.

სეიმის რადიკალური ჯგუფები ფიქრობენ წამოაყენონ ლოზუნგი პოლონეთის ლიგიდან გამოსვლის შესახებ, თუ პოლონეთი დამარცხდა ჟენევაში.

დავა მდ. მარიცას სათავეების გარშემო

ანგორა, 12 მარტი. საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის მდ. მარიცას სათავეების გარშემო ატეხილ დავის მოსაგვარებლათ ოსმალეთმა თავის წარმომადგენლათ დანიშნა შუქრი კიარბეი, რომელიც დელეგაციასთან ერთად უკვე გაემგზავრა ჟენევაში.

ნავთის მუშათა გაფიცვა ბირმაში

ლონდონი, 12 მარტი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ბირმაში 1-ლ თებერვალს ნავთის წარმოებაში დაწყებული გაფიცვა უკვე დამთავრდა.

პარიზი-ლონდონი 1 საათში და 26 წუთში

ლონდონი, 12 მარტი. ინგლისელ მფრინავმა ვილიამ კოკსომ მოახდინა სარეკორდო გადაფრენა ლონდონიდან პარიზში. 1 საათსა და 26 წუთში მან გაიარა 205 მილი.

კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმი

მოსკოვი, 13 მარტი. კომინტერნის აღმასკომის გაფართოებულ პლენუმზე 11 მარტს მოსმენილ იქნა მოხსენებები ცალკე კომისიების მუშაობის შესახებ და მიღებულ იქნა სათანადო რეზოლიუციები. შემდეგ გამოქვეყნდა კომინტერნის აღმასკომის საორგანიზაციო თათბირის რეზოლიუცია, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული.

მონმუსომ და ლოზოვსკიმ მოხსენებები წაიკითხეს პროფმოძრაობის კომისიის მუშაობის შესახებ.

შემოტანილი რეზოლიუცია მიღებულ იქნა ერთხმად, ბორდიგას გამოკლებით. კომისიის რეზოლიუცია დღის წესრიგის მეხუთე მუხლის შესახებ თვალყურის დევნება კომინტერნის აღმასკომის დადგენილებათა განხორციელებისათვის, ერთხმად იქნა მიღებული. კენჭის ყრა რეზოლიუციისათვის მასებს შორის მუშაობის შესახებ საბოლოო სხდომამდე გადაიდო. გადაიდო აგრეთვე რეზოლიუციის მიღება ჩეხო-სლოვაკიის საკითხის შესახებ. პლენუმის საბოლოო სხდომა 12 მარტს შესდგება.

სრულიად გერმანიის გამოფენა

ბერლინი, 12 მარტი. მიმდინარე წლის ივნისში ქ. მაგდებურგში გაიხსნება სრულიად გერმანიის გამოფენა. გამოფენის კომიტეტმა ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცეკას საშუალებით მოწვევა გამოუგზავნა საკავშირო განათლების სახ. კომისარიატს.

კიდევ ერთი კრეისერი

ლონდონი, 13 მარტი. დევონშირში წყალში ჩაუშვეს ახალი კრეისერი „კორნუელი", მეორე იმ ხუთ კრეისერიდან, რომელთა აგება გადაწყდა მუშათა მთავრობის დროს, 1924 წელში.

საბერძნეთის კონსტიტუციის შეცვლა

ლონდონი, 13 მარტი. ათენიდან მიღებული ცნობით, პანგალოსმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ახლო მომავალში მოხდება პლებისციტი კონსტიტუციის შეცვლის განზრახვის გამო.

ახალ კონსტიტუციის გეგმაში ნაგულისხმევია რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა, რომელზედაც კანდიდატურას აყენებს თვით პანგალოსი.

თუ პლებისციტი ხელსაყრელი იქნა, საერთო არჩევნები ახლო მომავალში მოხდება.

სიტყვა სხვაა, საქმე სხვა

ლონდონი, 13 მარტი. საადმირამა თემთა პალატაში განაცხადა, რომ საზღვაო უწყების მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა უდრის 58.000.000 სტერლინგს. ამასთანავე ბრიჯმენმა აღნიშნა, რომ წარსული წლის ივლისში თემთა პალატამ მოიწონა რამდენიმე წლის საამშენებლო პროგრამა, რაც აადვილებს მის შესრულებას ეკონომიის თვალსაზრისითო. ხარჯთაღრიცხვაში, მისი სიტყვით, ხარჯები 1925 წელთან შედარებით შემცირებულია 2.000.000 გირ. სტერლინგით.

შემდეგ ბრიჯმენი აცხადებს, რომ საადმირალომ ერთგვარი რისკი გასწია, რასაც ის ვერ გაჰბედავდა რაიმე საფრთხე, რომ მოელოდეს სახელმწიფოს; მაგრამ ეს რისკი ისეთი ხასიათისაა, რომ შეგვიძლია დაუყოვნებლივ დავსძლიოთ, თუ ამას მოითხოვს საქმის მდგომარეობა. სათადარიგო სიაში შეტანილია სამი კრეისერი და 18 ძველი ტიპის ნაღმოსანი; გარდა ამისა, შემცირებულ უნდა იქნეს 14—15 ნაღმოსანი.

ახლად ვაშენებთ 1 კრეისერს 10.000 ტონ. წყალწყვით, მეორეს—8.000 ტონ., 6 წყალ ქვეშა ნავს და 4 ნაღმის მტყორცნელსო.

დე-ვალერას გადადგომა

ბერლინი, 13 მარტი. სინფეინერების (ირლანდიელი რევოლიუციონერების) თავმჯდომარე დე-ვალერა გადადგა თანამდებობიდან.

გადადგომის საბაბია ის გარემოება, რომ სინფეინერებმა მხარი არ დაუჭირეს დე-ვალერას კანონპროექტს, რომლის ძალით სინფეინერებს მონაწილეობა უნდა მიეღოთ დუბლინის და ბელფასტის პარლამენტებში.

მინისტრი ხულიგანი

პრაღა, 12 მარტი. სენატში გაიმართა კამათი პრაღის ერთ-ერთ სამხედ. საწყობების აფეთქების შესახებ.

კომუნისტმა ტუშილმა შეკითხვა მისცა თავდაცვის მინისტრს: პრაღის საწყობებს რა მიზნით სჭირდებოდა დატენილი ყუმბარები და ვისი განკარგულებით გადაზიდეს იქ ისინი. მინისტრმა უპასუხა, რომ გამოძიების თანახმად, ბრალი არავის არ ედებაო.

კომ. სკალაკოში შეეკითხა, თუ ვის წინააღმდეგ იყო დანიშნული ეს ყუმბარები. მინისტრი უპასუხებს: „არა, თქვენს წინააღმდეგ! თქვენთვის საკმარისია რეზინის მათრახებიც!" ამ სიტყვებმა დიდი აღიაქოთი გამოიწვია ოპოზიციის სკამებზე. თავმჯდომარემ—ნაციონალისტმა კლოფაჩმა მინისტრის სიტყვები დაუშვებლად აღიარა.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

საბჭოთა კავშ. ცაკის სესიის გადადება

მოსკოვი, 13 მარტი. ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკის და თურქესტანის რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების შუამდგომლობით, საკავშირო ცაკის მეორე სესია 25 მარტიდან გადადებულია 1926 წლის 10 აპრილისათვის.

ბანდიტების დახვრეტა

ტომსკი, 13 მარტი. მარინსკში დახვრიტეს ბანდიტები ჩუჩულანოვი და ბესარაბენკო, რომელთაც ჩადენილი ჰქონდათ მრავალი მკვლელობა.

ბანდიტი-ქალის გასამართლება

სვერდლოვსკი, 13 მარტი. 11 მარტს უნდა დაწყებულიყო მთელ ურალის მხარეში კარგად ცნობილი ბანდიტ-ქალის პლანოვსკაიას გასამართლება. 1921 წელში პლანოვსკაიას მისჯილი ჰქონდა სიკვდილი. დახვრეტის დროს მან თავი მოიმკვდარუნა, რის შემდეგაც მოახერხა გაპარვა.

სოციალური დაზღვევა და მუშათა საბინაო აღმშენებლობა

მოსკოვი, 13 მარტი. სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს სხდომაზე ირჩეოდა მთავრობის მიერ აღძრული საკითხი სოციალური დაზღვევის საშუალებებიდან 30 მილიონი მანეთის გამოყოფის შესახებ მუშათა საბინაო აღმშენებლობის განსავითარებლად.

სოციალური დაზღვევის ცენტრალურ სამმართველოს მახლობელ 6 თვის განმავლობაში ცენტრალურ კომუნალურ ბანკში თანაბარ ნაწილებით შეაქვს თავის მიმდინარე შემოსავლიდან 30 მილ. მანეთი გრძელვადიანი ანაბარის სახით. ცენტრალური კომუნალური ბანკი ვალდებულია ეს 30 მილ. მანეთი მოახმაროს მხოლოდ მუშათა საბინაო აღმშენებლობის კრედიტებს. სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭომ ყველა ეს წინადადებანი მოიწონა.

უკრაინა

შაქრის წარმოების ინჟენერთა ყრილობა

კიევი, 13 მარტი. გაიხსნა შაქრის წარმოების ინჟენერთა სრულიად საკავშირო პირველი ყრილობა. მოსკოვის, კიევის, პოლტავის და სხვა დელეგატების სახელით ყრილობაზე წარდგენილ იქნა დეკლარაცია. იქ სხვათა შორის ნათქვამია, რომ სახელმწიფოს ერთად-ერთ მისაღებ ფორმას წარმოადგენს საბჭოთა წყობილება, სადაც უზრუნველყოფილია ყველა ერების მეგობრული თანამშრომლობა.

რეპკინის სასოფლო ხელისუფლების წარმომადგენელთა გასამართლება

ჩერნიგოვი, 13 მარტი. დამთავრდა რეპკინის სასოფლო ხელისუფლების წარმომადგენელთა გასამართლება, რომელთაც დაშინებული ჰყავდათ მთელი გლეხობა. რეპკინის რაიაღმასკომის ყოფილ თავმჯდომარეს ტარასენკოს მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა 8 წლით, ფინინსპექტორს ხარპენკოს—4 წლით, აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს ისაჩენკოს და საქმის მწარმოებელ იანდოვსკის—3 წლით.

სახელმწიფო მომჭირნეობის რეჟიმი და სარეკლამო საქმე

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიმართ

მოსკოვი, 13 მარტი. სახელმწიფო მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საწარმოო პროცესით გამართლებულ და ზოგჯერ ზედმეტ ზედნართ ხარჯების თავიდან აცილება, რადგან ეს ბედნიერი ხარჯები წარმოების უზომო გაძვირებას იწვევს.

ზედნართ ხარჯების დაკლებას კამპანიამ, რომელსაც სამეურნეო ორგანოები აწარმოებენ, გამოაშკარავა მთელი რიგი უნაყოფო ხარჯებისა, რომელიც არავითარ სამეურნეო ნაყოფს არ იძლევა.

ასეთ ვრცლათ გაუმართლებელ ხარჯებს უნდა მივაკუთვნოთ გადაჭარბებული სარეკლამო ხარჯები. საბჭოთა რეკლამა, რომელიც არ ისახავს კონკურენციის ამოცანებს, მკაფიოთ უნდა განსხვავდებოდეს კაპიტალისტური რეკლამისაგან თავის საქმიანობით, ზომიერებით და რაოდენობით. ჩვენ სამეურნეო ორგანოებს არ ესაჭიროებათ მრავალრიცხოვანი რეკლამები, რომელიც შეადგენს კაპიტალისტურ საბაზრო ურთიერთობის პირობას.

მრეწველობის მრავალ დარგში, სადაც მოთხოვნილება თვალსაჩინოთ სჭარბობს მიწოდებას, საერთოთ საჭირო არ არის თანხების ხარჯვა ნაწარმოების რეკლამისათვის. ამავე დროს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოში მოდის ცნობები სხვადასხვა სამეურნეო ორგანოების მიერ გაწეულ სარეკლამო ხარჯების შესახებ, როგორიცაა გაზეთებში განცხადებების მოთავსება, მეტად ძვირფას ანგარიშების გამოცემა, მოქმედების შესახებ, ხელმძღვანელ შემადგენლობის ფოტოგრაფიულ სურათების დაბეჭდვა და სხვა. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოების მიერ სარეკლამო საქმის გამოკვლევის თანახმად მრეწველობის ხარჯები სხვადასხვა სახის რეკლამისათვის 1924-25 წ. უდრიდა 21 მილიონ მანეთს. აღნიშნულია მრავალი ფაქტები, როდესაც სხვადასხვა სარეკლამო ორგანიზაციების აგენტები აიძულებდენ სამეურნეო ორგანოებს მოეთავსებიათ განცხადებები და, სამწუხაროთ, მათ მხარს უჭერდენ ფრიად პასუხისმგებელი ხელმძღვანელებიც.

იმ მიზნით, რათა აღმოფხვრილი იქნას გადაჭარბებული სარეკლამო ხარჯებით გამოწვეული არანორმალობანი და რეკლამების დაუშვებელი ფორმები, უბრძანებ:

სამეურნეო ორგანოებს მიიღონ ყველა მათზე დამოკიდებული ზომები სარეკლამო ხარჯების მაქსიმალურად შესამცირებლად.

რეკლამები გამოაქვეყნონ მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა იგი მიზანშეწონილია კომერციის თვალსაზრისით და გვერდი აუხვიონ საგენტო და საშუამავლო აპარატს.

არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან რაიმე იძულებითი რეკლამების გამოქვეყნება.

უნდა მოისპოს რეკლამების ყველა მახინჯი ფორმები: სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელ შემადგენლობის ფოტოგრაფიულ სურათების მოთავსება, რეკლამების გამოქვეყნება ისეთ ჟურნალებში, რომელთა ტირაჟი უმნიშვნელოა და რომელთაც საქველმოქმედო ხასიათი აქვს და სხვა.

ტრესტების და სინდიკატების სარევიზიო კომისიებს წინადადებას ვაძლევ შეამოწმონ ყოველგვარ სარეკლამო ხარჯების მიზანშეწონილება და აწარმოვონ ბრძოლა ამ ხარჯების სისტემატიურად შემცირებისათვის.

სრულიად მოისპოს სარეკლამო ხარჯები მრეწველობის იმ დარგებში, რომელთაც არ შეუძლიათ დაფარონ თავიანთი პროდუქციის მოთხოვნილება.

რეკლამას უნდა ჰქონდეს ზედმიწევნით გეგმაშეწონილი ხასიათი და მასზე უნდა დაიხარჯოს მხოლოდ წარმოებათა ხარჯთაღრიცხვასა და გეგმებში გათვალისწინებული დამტკიცებული ხარჯები.

იმ შემთხვევაში, როცა ესა თუ ის რეკლამა მიზანშეწონილია კომერციის თვალსაზრისით, საჭიროა მაქსიმალურად შემცირებული იქნას არაჩვეულებრივად დიდი სარეკლამო ტარიფები, რომელიც აღწევს 400-500%-ის საზღვარ-გარეთ არსებულ ტარიფთან შედარებით.

საბჭოთა კავშირის სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე:

ძერჟინსკი.

სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს ადმინისტ.-საფინანსო სამმართველოს უფროსი:

რუსანოვი.

რკინისგზელთა საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 13 მარტი. რკინისგზელთა საკავშირო ყრილობამ მოისმინა ანდრეევის მოხსენება კავშირის ცეკას მოღვაწეობის შესახებ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში. მომხსენებელმა აღნიშნა კავშირის რიცხვობრივი და ხარისხობრივი ზრდა. კავშირის წევრთა რიცხვი უკანასკნელი წლის განმავლობაში 790.000-დან 856.000-მდე ავიდა. გაიზარდა აგრეთვე მუშათა მასების კულტურულ-პოლიტიკური აქტივობა.

კავშირის უახლოესი ამოცანაა—კონკრეტიულ მუშაობაზე გადასვლა კავშირის წევრთა ყოველდღიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. საჭიროა გაძლიერებულ იქნეს ბრძოლა ადმინისტრატიულ-სამეურნეო გადახრის წინააღმდეგ კავშირის შიგნით.

მომხსენებელი შეეხო სამუშაო ხელფასის საკითხს და მისი ზრდის დასამტკიცებლად შემდეგი ციფრები მოიყვანა: 1922 წელს საშუალო ხელფასი შეადგენდა ომამდე არსებული ხელფასის 26 პროცენტს, მიმდინარე საოპერაციო წელს ის შეადგენს 75 პროც.

შემდეგ მომხსენებელი ეხება სატრანსპორტო მეურნეობის ორგანიზაციის საკითხებს და აღნიშნავს ამ მუშაობაში კავშირის მონაწილეობის აუცილებლობას. კავშირმა მონაწილეობა უნდა მიიღოს იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომელნიც ტრანსპორტის გაჯანსაღებისაკენ არიან მიმართული.

კამათი ანდრეევის მოხსენების გარშემო გადადებულია 12 მარტისთვის. კამათში მონაწილეობის მისაღებათ ჩაეწერა 220 კაცი.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

პოლიტეხნიკური ინსტიტუტის იუბილე.

ბაქო, 13 მარტი. 12 მარტს აზერბეიჯანის პოლიტეხნიკურმა ინსტიტუტმა გადაიხადა თავისი არსებობის 5 წლისთავი.

ინსტიტუტი პირველად წარმოადგენდა საშუალო ტეხნიკურ სასწავლებელს, ხოლო შემდეგ უმაღლეს სასწავლებლად გადაკეთდა. ყოველ წლობით ინსტიტუტი ფართოვდება: იდგმება ახალი მანქანები, იხსნება ლაბორატორიები, ძლიერდება მეცადინეობის პროგრამა.

ბაქოს კომუნალურ მეურნეობის საკონცესიო წარმოებები.

ბაქო, 13 მარტი. ბაქოს საბჭოს წარმომადგენლებს თათბირი ჰქონდათ ბერლინიდან ჩამოსულ ინჟენერ ბერნშტეინთან, რომელიც კონსორციუმ „იულიუს ბერგერ და კომპ.“-ის წარმომადგენლად ითვლება. თათბირზე ირჩეოდა კომუნალური მეურნეობის ზოგიერთ წარმოების კონცესიით გაცემის საკითხი.

თათბირმა აირჩია სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა ყველა საკითხების დეწვრილებით დამუშავება.

წყალსადენი.

ბაქო, 13 მარტი. ადგილობრივ მეურნეობის მთავარ სამმართველოს განზრახული აქვს რამდენიმე წყალსადენის გაყვანა—პირველ რიგში სალიანში, აგდამში და გეოქჩაიში, სადაც სრულებით არ არის წყალსადენი. ზოგიერთ მაზრაში მიღებულია ზომები არსებულ წყალსადენთა შესაკეთებლად. წყალსადენთა საჭიროებისათვის გამოთხოვილია 4 მილ. მან.

სრულიად საქართველოს პროფკავშირთა მე-5 ყრილობა

მე-7 და მე-8 სხდომები

კამათი ამხ. მიქაძის მოხსენების გარშემო

ამხ. არ. მიქაძის მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. საკამათოდ გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ შრომის კომისარიატის მიღწევებს სოციალურ დაზღვევის და შრომის დაცვის დარგებში და ამავე დროს მიუთითებდენ ზოგიერთ ნაკლულოვანებაზე. მაგალითად, უფლებრივი ინსპექციის მუშაკთა სიმცირეზე, ზედმეტ სამუშაოების არსებობაზე, საამშენებლო მუშაობისათვის ზედამხედველობითი გეგმის უქონლობაზე, სპეციალისტთა ხელფასის მოუწესრიგებლობაზე და სხვ.

დამატებით ცნობებს საშუამავლო ბიუროების მოქმედებაზე ყრილობას მოახსენებს ამხ. კილასონიძე, რომელიც საშუამავლო ორგანოების სუსტ მუშაობას ხსნის იმ გარემოებით, რომ ჩვენში მრეწველობის განუვითარებლობის და კვალიფიკაციური მუშახელის ნაკლებობის გამო, საშუამავლო ორგანოებს არა აქვთ სათანადო პრაქტიკა და გამოცდილება მუშახელის შერჩევის საქმეში.

ზოგიერთ ამხანაგებს არანორმალურად მიაჩნიათ, რომ საქ. შრომის სახ. კომისარიატის ორგანოების მოქმედება არ ვრცელდება ამიერ-კავკასიის რკინის-გზის იმ ხაზზე, რომელიც საქართველოს ფარგლებში იმყოფება. ზოგიერთ ამხანაგებს საჭიროდ მიაჩნიათ აგრეთვე შემფასებელ-საკონფლიქტო ორგანოების დადგენილებათა განსაჩივრება არ სცილდებოდეს რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოებს.

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. მიქაძე, იმ ამხანაგთა საყურადღებოდ, რომელთაც არ აკმაყოფილებს უფლებრივი ინსპექციის მუშაკთა არსებული რაოდენობა, აცხადებს, რომ ინსპექტორთა შტატის შემცირებას მუშაობა არ შეუსუსტებია. გამოკვლევათა რიცხვი 1925 წელში უფრო მეტია, ვიდრე 1924 წელს. ამ მოკლე ხანში მოსალოდნელია სასოფლო-სამეურნეო შრომის ინსპექტორთა რიცხვის გამრავლება იმ მიზნით, რომ დააკმაყოფილონ ყველა რაიონების საჭიროება.

რაც შეეხება შრომის დაცვას სამელიორაციო მშენებლობის დარგში, მომხსენებელი აღიარებს, რომ სამელიორაციო დაწესებულებები გაურბიან შრომის კანონმდებლობას, მაგრამ შრომის ინსპექციის მიერ მიღებულ ღონისძიების შემდეგ ისინი იძულებული იქნებიან დაიცვან არსებული კანონმდებლობა. საერთოთ, შრომის დაცვის საკითხების მოსაწესრიგებლად წელს მიღებულია გადამჭრელი ზომები. წელს საგრძნობლად გაიზარდა შრომის კანონების დარღვევისათვის დასჯილ ადმინისტრატორების რიცხვი. ამ მოკლე ხანში გამოქვეყნდება კანონი შრომის კანონების დამრღვეველთა ადმინისტრატიული წესით დაჯარიმების შესახებ.

მომხსენებელს არ მიაჩნია სამართლიანად ზოგიერთ ამხანაგთა შენიშვნა, თითქოს არ არსებობდეს საამშენებლო მუშაობაზე ზედამხედველობა. ყოველი საამშენებლო ორგანიზაცია თავის საამშენებლო გეგმას განსახილველად (შრომის დაცვის თვალსაზრისით) ურდგენს შრომის სახ. კომისარიატს, რომელთან შეთანხმებულია აგრეთვე ს. მ. უ. საბჭო იმის შესახებ, რომ არ აწარმოოს აღმშენებლობა შრომის ორგანოების ზედამხედველობის გარეშე. რაც შეეხება კანტროლის გაწევას ხელფასის ნორმის დაცვის საქმეში, ამხ. მიქაძე შენიშნავს, რომ ასეთი კანტროლი არსებობს, და არ ყოფილა შემთხვევა, რომ სპეცგანაკვეთები ნორმას სჭარბობდეს. პირიქით, არის შემთხვევები, როდესაც სპეცფონდი სხვა საჭიროებაზე იხარჯება.

მომხსენებელი ეთანხმება იმ ორატორებს, რომელნიც მოითხოვენ, რომ საკონფლიქტო ორგანოების დადგენილებათა განსაჩივრება არ მიდიოდეს სასამართლოს ფარგლებს იქით.

საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ მიიღო შემდეგი

რეზოლუცია

საქართველოს პროფკავშირთა მე-5 ყრილობამ, მოისმინა რა ამხ. მიქაძის მოხსენება საქ. შრომის სახ. კომისარიატის მუშაობის შესახებ, შრომის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების და სოციალურ დაზღვევის დარგებში აღებულ ხაზს სცნობს სწორად და თვით მუშაობას სთვლის დამაკმაყოფილებლად. ამავე დროს ყრილობა შრომის სახ. კომ. ავალებს მიაქციოს უმთავრესი ყურადღება კამათის დროს აღნიშნულ საკითხებს.

შრომის სახ. კომის. მუშაობის თეზისების განსახილველად გამოიყოფა ცალკე სექცია.

მეცხრე სხდომა

მრეწველობის შესახებ

ამხ. ჭოჭიკაშვილის მოხსენება

გასულმა წელმა,—ამბობს ამხ. ჭოჭიკაშვილი,—სახალხო მეურნეობაში დიდი შედეგები მოგვცა როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგში.

ჩვენი მრეწველობის ზოგიერთ დარგში ჩვენ გადავაცილეთ ომის წინა ხანების ნორმას, ზოგან დაუახლოვდით, ზოგან კიდევ უახლოვდებით ამ ნორმას. ჩვენი მრეწველობის ასეთი ზრდის გამო საჭირო შეიქნა მისი განვითარების გენერალური ხაზის გამომუშავება. ეს მხედველობაში მიიღო საკავშირო კომპარტიის მე-14 ყრილობამ, რომელმაც დაადგინა, რომ ჩვენი მრეწველობის შემდგომი ზრდა უნდა დაიწყოს ადგილობრივი მრეწველობის განვითარებით.

თუ თვალს გადავავლებთ საქართველოს მრეწველობის ზრდას, დავინახავთ, რომ 1923—24 წელში ჩვენი მრეწველობის ბიუჯეტი უდრიდა 13.763.000 მანეთს, 24—25 წელში—20.000.000 მანეთს და 25—26 წელში კი უდრის 31.000.000 მანეთს; მრეწველობის მიმდინარე წლის ბიუჯეტი 23—24 წელთან შედარებით გაიზარდა 126 პროცენტით.

ჩვენი მრეწველობის საწარმოო გეგმა საშუალოთ გაიზარდა 30—40 პროც.; თუ ავიღებთ ცალკე დარგებს, ეს პროცენტი უფრო დიდია; მაგალითად, ტყავის მრეწველობაში საწარმოო გეგმა გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 89 პროც., ზეთის წარმოებაში—178 პროც., ასეა დანარჩენ დარგებშიაც.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მომავალში ჩვენ ასე ველარ გავადიდებთ წარმოებას; ჩვენ უკვე მაქსიმალურ შესაძლებლობამდე დავტვირთეთ ყველა არსებული ქარხნები და ამიერიდან საჭიროა შევუდგეთ ახალი ქარხნების მოწყობას.

რაც შეეხება ჩვენი წარმოებების მიერ გამომუშავებულ პროდუქციის ღირებულებას, იგი გამოიხატება შემდეგში: 22—23 წელში გამომუშავებული იქნა 4.500.000 მანეთის პროდუქცია, 24—25 წელში—8.000.000 მან., მიმდინარე წელში კი გამომუშავებული იქნება 20.000.000 მანეთის პროდუქცია; აქედან პირველი კვარტალის განმავლობაში უკვე გამომუშავებულია 5.000.000 მანეთის პროდუქცია.

რაც შეეხება ჩვენი სამრეწველო წარმოებების ფინანსიურ მდგომარეობას, უნდა ითქვას, რომ 1922 წელში ჩვენს წარმოებებს არ ჰქონიათ არავითარი მოგება, რადგან იმ ხანებში ჯერ კიდევ ძალაში იყო სამხედრო კომუნიზმი და საქონლის გაცემა სწარმოებდა უფასოდ.

23—24 წლის განმავლობაში ჩვენს წარმოებებს დარჩა მოგება 738.000 მანეთი, 24—25 წელში კი ერთ მილიონზე მეტი.

ჩვენი მრეწველობის ტეხნიკური მდგომარეობა ძალიან სავალალოა, გაცვეთილია იარაღ-მანქანების დიდი ნაწილი; გაცვეთის პროცენტი უდრის 15—60-ს. ჩვენ ვიღებთ ზომებს მრეწველობის ტეხნიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად: გადადებულია რამოდენიმე ასი-ათასი მანეთი ახალი მანქანების შესაძენად.

ჩვენს მრეწველობაში გასული წლის პირველი ოქტომბრისათვის ითვლებოდა 6.000 მუდმივი მუშა; თუ ამას დაუმატებთ დროებით მუშებს, მაშინ მათი რიცხვი მიაღწევს 10.000 კაცს.

რაც შეეხება შრომის ხელფასს, ის საშუალოდ უდრის 50 მანეთს; გასული წლის ოქტომბერში შრომის საშუალო ხელფასი ცალკე წარმოებებში უდრიდა: ქვა-ნახშირის მრეწველობაში—39 მანეთს, თამბაქოს მრეწველობაში—50 მანეთს, ტყავის მრეწველობაში—65 მანეთს და პოლიგრაფიულ მრეწველობაში—62 მანეთს.

ჩვენი სოფლის მეურნეობა

ამხ. გეგეჭკორის მოხსენება

— ჩვენი ქვეყანა,—ამბობს მომხსენებელი,—სოფლის მეურნეობის ქვეყანაა; მოსახლეობის ცხრა მეათედი მოდის სოფელზე. ასეთივე მდგომარეობაა ეკონომიურ სფეროშიაც. სოფელს გასაბჭოებამდე ძალიან ცოტა ყურადღება ჰქონდა მიქცეული. მხოლოდ გასაბჭოების შემდეგ შეიქნა შესაძლებელი ჩვენი სოფლის მეურნეობის აღორძინება.

თუ თვალს გადავავლებთ ჩვენი სოფლის მეურნეობის მდგომარეობას, დავინახავთ, რომ ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს ყველა დარგებში. ზოგან ჩვენ გადავცილდით ომის წინა ხანების ნორმას, ზოგიერთ დარგში მივაღწიეთ მას, ზოგან კიდევ უახლოვდებით.

ჩვენი სასოფლო მეურნეობის მთავარი დარგია ნათესები. ამ დარგში ჩვენ მხოლოდ 6,75 პროც. ვართ დაშორებული ომის წინა ხანების ნორმიდან.

1923 წელში ნათესების სივრცე საქართველოში უდრიდა 461.000 დეს., 1924 წელში—629.000 დეს., შარშან კი ნათესების სივრცემ მიაღწია 663.000 დესეტინამდე.

ჩვენი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი მთავარი დარგია აგრეთვე მევენახეობა. ომის წინა წლებში ვენახების სივრცე ჩვენში უდრიდა 62.000 დესეტინას; ეს სივრცე ფილოქსერის გამო თანდათან შემცირდა და გასაბჭოების დროს საქართველოში იყო მხოლოდ 31.000 დეს. ვენახი.

ვენახების აღდგენის და გაფართოების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სადედეების მოწყობას; ამ მხრივ ჩვენ დიდ მუშაობას ვაწარმოებთ; თუ გასაბჭოების დროს საქართველოში იყო 14 დეს. სადედე, ეხლა არის 171 დეს. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და 28 დეს. კოოპერატიული ორგანიზაციების ხელში.

დიდი მიღწევები გვაქვს აგრეთვე თამბაქოს მეურნეობის დარგშიაც; ცნობილია, რომ იმპერიალისტური და სამოქალაქო ომების დროს თამბაქოს ნათესების სივრცე საქართველოში საგრძნობლად შემცირდა; მეთამბაქოობის აღორძინება დაიწყო რამოდენიმე წლის წინად. თუ, მაგალითად, 1921 წელში თამბაქოს მოსავალი უდრიდა 50.000 ფუთს, 1925 წელში ჩვენ უკვე გვქონდა 550.000 ფუთი.

მეთამბაქოობა აფხაზეთს გარდა ფართოდ არის განვითარებული ლაგოდეხში, სამეგრელოში, გურიაში და ახალციხეში. სოფლის მეურნეობის ამ დარგის გაუმჯობესების შემდეგ ჩვენი თამბაქო თამამად შესძლებს დააკმაყოფილოს მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მებამბეობას. ეს დარგი ჯერ კიდევ ომამდი იყო დავიწყებული. მებამბეობის აღორძინება დაიწყო მხოლოდ გასაბჭოების შემდეგ. 1917 წელს საქართველოში დათესილი იყო 1.200 დეს. ბამბა, რომლის მოსავალი უდრიდა 15.800 ფუთს: 1924 წელში ჩვენ უკვე გვქონდა 4.500 დესიტინა, რომელზედაც მოვიდა 50.000 ფუთი ნედლი ბამბა, შარშან კი ნათესების სივრცე ავიდა 6.000 დესეტინამდე, მოსავალი—100.000 ფუთამდე.

შემდეგ მომხსენებლმა დაახასიათა სოფლის მეურნეობის სხვა დარგები და ის ღონისძიებები, რომლებსაც იღებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი მათ განსავითარებლად.

კამათი ამხ. ჭოჭიკაშვილის და გეგეჭკორის მოხსენებების გარშემო გაიდო 14 მარტის დილის სხდომისათვის.

ყრილობის დელეგაცია ზაჰესში

12 მარტს დილის სხდომის დამთავრების შემდეგ საქართველოს პროფკავშირთა ყრილობა სრული შემადგენლობით საგანგებოდ დანიშნულ მატარებლით გაემგზავრა ზემო-ავჭალის ჰიდროელსადგურის დასათვალიერებლად. ზაჰესში გამგზავრებას საზეიმო ხასიათი ჰქონდა. დელეგატებთან ახლდათ ორი სამხედრო მუსიკა. ზაჰესში დელეგატებს შეეგებენ ადგილობრივი მუშაკები—ტეხნიკური პერსონალი და მუშები. საზეიმოდ იყო მორთული ზაჰესის კლუბი და სათეატრო დარბაზი.

პირველად დელეგატებმა დაათვალიერეს ზაჰესის სათავე ნაწილები—მთავარი საგუბარი (კაშხალი), განათხარი, წყლის მიმღები და სხვ. ნაშენობანი.

შემდეგ დელეგატები მიწვეულ იქნენ სათეატრო დარბაზში, რომელიც სრულიად გაივსო დელეგატებით და ადგილობრივი მუშებით. მოხსენება ზაჰესის მუშაობათა მიმდინარეობაზე გააკეთა სამუშაოთა უფროსმა ინჟ. ბ. პიჭინაძემ.

სათავე ნაწილში—ამხ. პიჭინაძის გადმოცემით,—თითქმის ყველა მთავარი სამუშაოები დასრულებულია. საჭიროა მუშაობა მხოლოდ მექანიკურ მოწყობილობათა დარგში, რომელიც უკვე სწარმოებს.

დამთავრებულია აგრეთვე არხი, რომელიც ალაგ-ალაგ საჭიროებს დატინობებას, რომელიც ყინვების გამო შეჩერებული იყო და ორი დღის წინად განახლდა. არხის დატინობება დამთავრდება რამოდენიმე დღის განმავლობაში. ამჟამად მთავარი მუშაობა სწარმოებს საგენერატორო მთავარ სადგურის ასაგებად. იდგმება მიმშვები მილები, რაც დიდ ტეხნიკურ სიძნელეს წარმოადგენს. მილების შემდეგ ჩადგმულ იქნება ტურბინები. უკვე დაიწყო სადგურის კედლების არჩევა, რომელიც მარტის დამლევს დამთავრდება. პირველ მაისისათვის დაიწყება ტურბინების აწყობა.

თბილისში დამთავრებულია ოთხავე ქვესადგურის შენობა და ამჟამად მიმდინარეობს ქვესადგურების მოწყობა. სხვა მოსამზადებელი სამუშაოებიც დამთავრებულია. აგვისტოს დამლევისათვის ამუშავდება პირველი ტურბინა და არა უგვიანეს პირველი სექტემბრისა თბილისი მიიღებს ზაჰესისაგან პირველ ელდენს. ბოლოს მომხსენებელი შეეხო ზაჰესის ეკონომიურ მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის სამეურნეო განვითარებისათვის. მოხსენების შემდეგ ნაჩვენები იქნა კინო-ქრონიკა: „ზაჰესის სამუშაოები“.

დასასრულ დელეგატები ვაგონებით ჯგუფ-ჯგუფად გაემგზავრნენ მთავარი სადგურის დასათვალიერებლად. მათ თან გაჰყვენ ადგილობრივ მომუშავე სპეციალისტები, რომელნიც დათვალიერების დროს სათანადო განმარტებებს აძლევდენ დელეგატებს.

ზაჰესის გრანდიოზულმა სანახაობამ დელეგატებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა.

ბეჭდვითი სიტყვის ამიერ-კავკასიის თათბირი

ხვალ, 15 მარტ, სალამოს 6 საათზე, საკავშირო კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებაში (ჯუღაშვილის ქ., № 4) გაიხსნება **ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ამიერ-კავკასიის თათბირი.**

თათბირის დღის წეს რიგში სდგას:

1) მოხსენება ადგილებიდან (კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტების და ლენინური კომკავშირის ამიერ-კავკასიის კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილებები); გამომცემლობათა თანამოხსენებები; 2) პარტიის მორიგი ამოცანები ბეჭდვითი სიტყვის დარგში ამიერ-კავკასიაში; 3) მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობა; 4) შინავაჭრობის სახ. კომისარიატთან არსებული ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის შესახებ; 5) ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა გავრცელება; 6) საგაზეთო ინფორმაცია (ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო) და 7) სხვადასხვა.

პარიზის კომუნის 55 წლის თავი და რემედასის ამოცანები

1. 1871 წლის 18 მარტს პარიზის გმირულმა პროლეტარიატმა დაამხო სისხლის მსმელ ბურჟუაზიის ტახტი და თვით აიღო ძალა-უფლება ხელში. გამოცხადდა პარიზის კომუნა. მაგრამ ეს პირველი მუშური სახელმწიფო სისხლის მორევში ჩაახრჩო გამხეცებულმა ბურჟუაზიამ, რომელმაც სასტიკად იძია შური კომუნარებზე. 30.000 რევოლიუციონერი დაეცა ბარიკადებზე. 15.500 საუკეთესო შვილი საფრანგეთის მუშათა კლასის დასაჯეს სიკვდილით, გადაასახლეს და ჩაყარეს საპყრობილეებში. ამ შავბნელ საქმეებს მეთაურობდნენ ბურჟუაზიის ბელადი ტიერი და მისი გენერალი გალიფე.

2. საბჭოთა კავშირის მშრომელმა მასებმა უკვე მეცხრე წელიწადია, რაც გაინთავისუფლეს თავი მემამულეთა და ბურჟუაზიის მონობისაგან და შეუდგენ ახალ, კომუნისტურ ცხოვრების მოწყობას. მათ ყველა იმ ციხეებს და საპყრობილეებს, რომლებშიაც ისინი წინედ მომწყვდეული იყვნენ ბურჟუაზიის მიერ, ეხლა თვით მშრომელთა მასის მტრები და ორგულებია მომწყვდეული.

3. სხვა ქვეყნებში ბურჟუაზია ჯერ კიდევ ბატონობს და თავის ბატონობის განსამტკიცებლად მიმართავს ყოველგვარ სისასტიკეს მის წინააღმდეგ გამოლაშქრებულ მშრომელთა წინააღმდეგ, რომელთა მოძრაობა თანდათანობით მატულობს და ფართოვდება. ძლიერდება თეთრი ტერორი, რომლის მსხვერპლთა რიცხვი ითვლება ათასობით და ათი ათასობით.

4. ბურჟუაზიის განკარგულებაშია მსაჯულები, პოლიცია, ჟანდარმერია და ოხრანკა, მას აგრეთვე ემსახურებიან და ხელს უწყობენ ყველა ჯურის მენშევიკ-სოციალისტები და ხალხის გამყიდველნი. ამ ყველა ამის წყალობით ბურჟუაზია მუსრავს და ხვრეტს მუშათა მოძრაობის საუკეთესო მეთაურებს და ბელადებს. ლიბკნეხტი, ლიუქსენბურგი, იოგიხე, კონგისენი, მაქს კოლგშტეინი და სხვა გახდენ მსხვერპლნი გამხეცებულ ბურჟუაზიისა.

5. 1871 წ. ეგრედწოდებულ მაისის კვირაში საფრანგეთის მუშათა კლასმა ათი ათასობით დაჰკარგა მებრძოლი გმირები. ეხლა კი მუშათა რევოლიუციონური მოძრაობა იწირავს მსხვერპლად ასი ათას მებრძოლს და საუკეთესო რევოლიუციონერებს.

გერმანიაში დაპატიმრებულთა რიცხვი 1925 წ. უდრიდა 7.000 კაცს. 1925 წ. 1-ლ ოქტომბრამდე დააპატიმრეს 610 კაცი, სხვადასხვა შეტაკებების დროს დაიჭრენ 378 კაცი, დახვრიტეს 8.

პოლონეთში 1925 წელს დაჭერილია 13.500 კაცი, დაჭრილია—2.045, დახვრეტილია და ნაწამები 20 კაცი.

იტალიაში 1925 წლისათვის დატუსაღებული იყო 5.500 კაცი, 1925 წლ. 1-ლ ოქტომბრამდის კი დაპატიმრებულთა რიცხვმა მიაღწია 11.300 კაცს, დაჭრილი და დაშავებულია მუშათა სხვადასხვა გამოსვლების დროს 1765 კაცი, დახვრეტილი და ნაწამები 90 კაცი, ქონების კონფისკაცია უყვეს 900 კაცს.

ბულგარეთში 1925 წლისთვის დატუსაღებული იყო 3.000 კაცი, 1925 წლის 1-ლ ოქტომბრამდის კი 6.200 კაცი, დაჭრილთა რიცხვი უდრის 3.900 კაცს, დახვრეტილთა 675 კაცს, ქონების კონფისკაცია უყვეს 13.

სამხრეთ სლავიაში 1925 წლისთვის იყო 3.000 დატუსაღებული. 1925 წ. კი 2.880 კაცი, დაჭრილთა რიცხვი უდრის 575 კაცს. დახვრეტილთა—20.

რუმინეთში 1925 წლის 1-ლ ოქტომბრამდის დაჭერილთა რიცხვი უდრიდა 880 კაცს, დაჭრილთა რიცხვი უდრის 680 კაცს, დახვრეტილთა რიცხვი—50 კაცს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1925 წ. 1-ლ ოქტომბრამდის დატუსაღებულთა რიცხვი იყო 1904 კაცი, დაჭრილები—130 კაცი, დახვრეტილია 4.

სულ 1925 წლ. 1-ლ ოქტომბრისათვის ყველა კაპიტალისტურ და კოლონიალურ ქვეყნებში იყო დატუსაღებული 51.041 კაცი, დაჭრილ-დაშავებული—15.911 და დახვრეტილნი—10.148, ქონება ჩამოართვეს—1.111 კაცს.

6. პარიზის კომუნის დამარცხების მიზეზი იყო ის, რომ მან ვერ გამოიჩინა საკმაო გაბედულება და რევოლიუციონერობა არ ჩაიგდო ხელში ბანკები, არ დაუწყო დევნა ყველა იმ კონტრ-რევოლიუციონერებს, რომელნიც პარიზში დარჩენილნი ეწეოდენ კომუნის საწინააღმდეგო აგიტაციას. მოკლედ, ვერ გამოიჩინა ის რადიკალობა და გამბედაობა, რომელიც საჭიროა ძალაუფლების ხელში შესანარჩუნებლად. დამარცხების მეორე მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ კომუნა გამოცხადდა მხოლოდ ერთ ქალაქში—პარიზში. დანარჩენი საფრანგეთი კი მას არ უჭერდა მხარს. აგრეთვე პარიზის კომუნას არ ქონდა საერთაშორისო დახმარება. პარიზის პროლეტარიატი მარტო დარჩა ბრძოლაში. აი ზოგიერთი მთავარი მიზეზი, რომ პარიზის კომუნა ეგრე მალე და სასტიკად დამარცხდა.

7. პარიზის კომუნის დამარცხებამ ერთგვარი მაგალითი მისცა სხვა ქვეყნების მუშებს. ეხლა ყველასათვის აშკარა შეიქნა, რომ პროლეტარიატის გამარჯვების სიმტკიცეს წარმოადგენს ყველა ქვეყნის მუშებისა და გლეხების მჭიდრო შეკავშირება ერთ მთლიან მუშათა ფრონტათ. ამისათვის არის, რომ დღეს საერთაშორისო რევოლიუციისათვის მებრძოლი ამხანაგები მარტო არ არიან გადამწყვეტ ბრძოლებში, და მათ მხარს უჭერენ ყველა ქვეყნის მუშათა კლასის საუკეთესო ნაწილი, რემედასის სახით.

8. ოქტომბრის გამარჯვებისა და საბჭოთა კავშირის განმტკიცების შემდეგ კაპიტალისტურ სამყაროს წინაშე წამოიჭრა კომუნიზმის წითელი აჩრდილი. ყველა ქვეყნებში გაჩნდენ და გაძლიერდენ კომუნისტური პარტიები, რომელნიც დღეს უშიშრად და გმირულად იბრძვიან საერთაშორისო სოციალისტურ რევოლიუციის გასამარჯვებლად. თითქმის ყველა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს წინაშე წამოიჭრა თავისი „ოქტომბრის“ საკითხი, რამაც შიშის ზარი დასცა თავს, ისედაც დამბლა დაცემულ ბურჟუაზიას. ამისათვის არის, რომ ეს უკანასკნელი გააფთრებით ებრძვის კომუნიზმის ყოველგვარ ჩანასახს და სისხლის ტბებს აყენებს მის მიერ დახოცილ მუშებისაგან და გლეხებისაგან.

ბავარიის და უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკები სისხლის ზღვაში ჩახრჩობა, იტალიაში ფაშისტების მიერ მუშათა მოძრაობის განადგურება, ბულგარეთის სისხლიან პრემიერის საგმირო საქმეები, ბესარაბიის და პოლონეთის სხვა წვრილ ეროვნებათა ტრაგედია და სხვა ბევრი, აი ის სისხლიანი სახე, ბურჟუაზიის მძვინვარებისა თანამედროვე ევროპაში, რასაც თავსთავად თან ახლავს უამრავი მსხვერპლი მუშებისა და გლეხებისა.

9. ბურჟუაზიის ტყვეებს და დევნილებს ძმურად გვერდში უდგას და ეხმარება რევოლიუციისათვის მებრძოლთა დამხმარე საერთაშორისო ორგანიზაცია—რემედასი. რემედასი დაარსდა სამი წლის წინ ყოფილ კატორღელთა და ძველ რევოლიუციონერთა თაოსნობით. ის კაპიტალის ტყვეების დასახმარებლად აგროვებს თანხებს, როგორც საწევრო გადასახადით, ისე სხვადასხვა ნებაყოფლობითი შემოწირულებებით.

10. სამი წლის მუშაობის შემდეგ რემედასს მთელ საბჭოთა კავშირში ყავს 5 მილიონზე მეტი წევრი. რემედასი დაარსებიდანვე დიდ დახმარებას უწევს, როგორც ციხეში მოქცეულ რევოლიუციონერებს და მათ ოჯახებს, ისე იმ პოლიტ-ემიგრანტებსაც, რომლებსაც ათასობით მიერეკება თეთრი ტერორის ტალღები საბჭოთა ქვეყნებისაკენ. რემედასის ფულადი დახმარება ამ სამი წლის განმავლობაში 1925 წ. 1-ლ დეკემბრამდის გამოიხატება—5.218.803 მან. აქედან რემედასის სექციებს გადაუგზავნია დაახლოვებით 90 ათასი მანეთამდის, კაპიტალისტურ ქვეყნებში არსებულ სექციებს შეუგროვებიათ 1.663.500 დოლარი, რაც ჩვენ ფულზე დაახლოვებით უდრის სამ მილიონ მანეთზე მეტს. მაშასადამე, სულ რემედასის ყველა სექციებს საერთაშორისო რევოლიუციისათვის მებრძოლ ამხანაგების დასახმარებლად 8 მილიონზე მეტი თანხა შეუგროვებია.

რემედასის სექციები არსებობენ თითქმის ყველა კაპიტალისტურ და კოლონიალურ ქვეყნებში მაგ. გერმანიაში, ჩეხო-სლოვაკიაში, საფრანგეთში, იტალიაში, პოლონეთში, სპარსეთში, ბულგარეთში, ინგლისში, ამერიკაში, რუმინეთში, ავსტრიაში ჩინეთში, ინდოეთში და სხვაგან. რემედასის წევრთა რიცხვი ამ ქვეყნებში შეადგენს: 1.708.000, ამათგან გერმანიაში—400.000 წ., ჩეხო-სლოვაკიაში—850.000 წევრი, იტალიაში—130.000 წევრი, საფრანგეთში—40.000 წევრი და სხვა.

11. რადგან დასავლეთ ქვეყნებში ბურჟუაზიული რეაქცია არ აძლევს ადგილობრივ მშრომელთ თავიანთ ტყვე ამხანაგებზე ზრუნვის საშუალებას, მათზე დახმარების გაწევის 80% წილად ხვდა საბჭოთა კავშირის გლეხებს და მუშებს.

12. მაგრამ გაწეული დახმარება ჯერ-ჯერობით მაინც უმნიშვნელოა, რემედასს ჯერ კიდევ არა აქვს საშუალება დაეხმაროს ყველა ტყვე რევოლიუციონერებს. ამისათვის ეს დახმარება ათჯერ უნდა გადიდდეს, რომ რემედასმა დააკმაყოფილოს როგორც პოლიტ-ტუსაღები და მათი ოჯახები, ისე ბრძოლაში დაღუპულთა უპატრონო ქვრივი-ობლები. მხოლოდ მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელი შეიგნებს თავის მოვალეობას და შევა რემედასის რიგებში, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს მძიმე, მაგრამ აუცილებელი ამოცანა მსოფლიო მუშათა კლასის გამარჯვებისა შესაძლებელი იქნება. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი რევოლიუციონერთა მდგომარეობის შემსუბუქება.

13. არ არის საკმარისი მარტო მატერიალური დახმარება, ჩვენ ყოველმხრივ უნდა დავუმტკიცოთ დასავლეთის რევოლიუციონერებს, რომ ისინი მარტო არ არიან თავის მტრებთან ბრძოლაში, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ ერთი მეორეს გვაშორებენ ციხე-საპყრობილეების შავი კედლები და თეთრი ტერორის ტალღები, ჩვენ მაინც ერთად ვართ, საბჭოთა კავშირის გამარჯვებული მუშათა კლასს არ ავიწყდება მათი უმწეო მდგომარეობა. იგი ყოველთვის იქნება იმ ამხანაგებთან, რომლებიც ათეულ წლების განმავლობაში სისხლს ღვრიან სოციალისტური რევოლიუციისათვის დასავლეთის და აღმოსავლეთის კოლონიალურ ქვეყნებში.

ასე, მაგალითად, საბჭოთა კავშირში რემედასის წევრთა ზრდა გამოიხატება შემდეგში: 1924 წ. 1-ლ იანვრისათვის იყო 500.000 წევრი, ამავე წლის 1-ლ აგვისტოსათვის—1.947.000 წევრი, 1925 წ. 1-ლ იანვრისათვის—3.717.024, ამავე წლის 1-ლ აგვისტოსათვის—5.048.480 წ., ამავე წლის 1-ლ ოქტომბრისათვის—5.057.261 წ. ჩქარი ტემპით იზრდება რემედასის საქ. სექციის წევრთა რიცხვიც. ყველა ეს კი იმის მანიშნებელია, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებს, ესმით რა კაპიტალის ტყვეებისათვის დახმარების მნიშვნელობა, არ ზოგავენ არავითარ ძალ-ღონეს, რათა გააძლიერონ რემედასი როგორც რაოდენობით, ისე ნივთიერად.

14. რემედასი წმინდა კლასიური პროლეტარული ორგანიზაციაა. შემოწირულებათა და დახმარების ყოველი კაპეიკი უნდა ხმარდებოდეს ტყვე რევოლიუციონერების მძიმე მდგომარეობის შემსუბუქებას და ახალ მებრძოლთა რიგების შექმნას. ამით მუშათა კლასს გაუადვილებს მიიტანოს უკანასკნელი მძლავრი იერიში მსოფლიო მტაცებელთა წინააღმდეგ, რითაც მუშათა კლასის გამარჯვება კაპიტალიზმთან ბრძოლაში სრულიად უზრუნველყოფილი იქნება.

15. საბჭოთა კავშირი დიდი ტანჯვითა და წვალებით აღდგენს თავის დაცემულ მრეწველობა-მეურნეობას, ომისა და რევოლიუციის შემდეგ ის გარშემორტყმულია მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებით. პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვება-განმტკიცება დააჩქარებს მრეწველობის აღდგენას, რომელიც ერთ-ერთი მთავარი პირობაა ჩვენი ქვეყნის სიძლიერე-სიმაგრისა.

ამასთან ერთად საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები უნდა ეხმარებოდენ კიდევ იმ მებრძოლ რევოლიუციონერებს, რომელნიც მოქცეულნი არიან კაპიტალის კლანჭებში.

16. ვინც თანაუგრძნობს კაპიტალის ტყვე რევოლიუციონერებს, ვისთვისაც ძვირფასია მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვება, არ უნდა დარჩეს რემედასის რიგებს გარეშე. ყველა პატიოსანი მშრომელი, მუშა და გლეხი, უნდა ცდილობდეს რევოლიუციისათვის მებრძოლთა დახმარების საერთაშორისო ორგანიზაციაში შეიტანოს თავისი წვლილი. ეს საუკეთესო საშუალებაა პარიზის კომუნისათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნის აღსანიშნავად. მათი ხსოვნისათვის უდიდესი პატივისცემაა დღევანდელ ბურჟუაზიულ ციხეებში მომწყვდეულ პოლიტ-პატიმრების დახმარება.

რემედასის საქ. ცენტრალური კომიტეტი.

პროფილაქტიური გადახრა მედიცინაში

(დისპანსერები და დისპანსერიზაცია)

მეცნიერებამ დაამტკიცა, რომ ადამიანის ჯანმრთელობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ სცხოვრობს ის, როგორ იკვებება, მუშაობს და სხ. რამდენათ კარგია ცხოვრების პირობები, იმდენათ ჯანსაღი და ამტანია ორგანიზმი, იმდენათ უფრო მედგრად ებრძვის ის სნეულებებს.

ამის მიხედვით ფართოვდება საზოგადოებრივი მედიცინის ამოცანები. წინეთ საზოგადოებრივი მედიცინა ემყარებოდა ცალკე ავადმყოფთა ინიციატივას. მოსახლეობა საექიმო დახმარებას, უმეტეს შემთხვევაში, მძიმე ავადმყოფობის და ძლიერი ტკივილების დროს მიმართავდა, ან მაშინ, როცა სნეულება გარეგნულ გამოსახულებას მიიღებდა, როცა მომხდარი ცვლილებები უკვე აშკარა იყო. საავადმყოფოებს მოსახლეობასთან კავშირი არ ქონდა. საავადმყოფოები არ იცნობდენ გარემოს, შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებს, რომლებშიც ავადმყოფი იმყოფებოდა, მათთვის სრულიად უცხო იყო სნეულების სოციალური მიზეზები. ამის გამო სნეულებების მიზეზს თვით ავადმყოფში და მის ორგანიზმში ეძებდენ.

ასეთ მდგომარეობაში ლაპარაკიც არ შეიძლება გამაფთხილებელ ზომების მიღებაზე, სნეულების აღმოჩენაზე მისი განვითარების პირველ პერიოდში და პროფსნეულებებთან ბრძოლაზე.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში პირველ რიგში სდგას უკვე დასნეულებულის მკურნალობის საკითხი. საბჭოთა მედიცინა კი არ უარყოფს ავადმყოფის მკურნალობის საჭიროებას, მაგრამ მან წამოაყენა აგრეთვე გამაფრთხილებელ მედიცინის ლოზუნგი, რომ სნეულების შესაძლებლობა ადრიანად იქნეს გამოცნობილი იმ მიზეზების თავიდან ასაცილებლად, რომელთაც წარმოშვეს სნეულება, რომელიც ხელს უწყობენ მას და, მეტ წილად, შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებში იმალებიან.

ამჟამად სამედიცინო ლიტერატურაში, ყრილობებზე და თათბირებზე მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს პროფილაქტიურ ღონისძიებებს საექიმო დახმარების საქმეში.

ჯერ კიდევ ჯანმრთელობის განყოფილებათა მე-5 ყრილობაზე წამოყენებულ იქნა ლოზუნგი — „ეპიდემიებთან ბრძოლიდან შრომისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისაკენ“. ამავე ყრილობაზე სოლოვიოვმა თავის მოხსენებაში „სამკურნალო საქმის დისპანსერიზაცია“ აღნიშნა, რომ ყოველი საექიმო ღონისძიება, თუ მას არ ახლავს გარემოს, შრომის და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, უნაყოფოა სოციალურ სნეულებებთან ბრძოლის საქმისთვის. საექიმო ღონისძიებების დაკავშირება ასეთ გაუმჯობესებასთან შეიძლება დისპანსერულ მეთოდით, რომელიც არა მარტო ოჯახს შეეხება, არამედ მთელ ეკონომიურ პირობებს, რომლებშიც ავადმყოფი და მისი ოჯახი იმყოფება.

ამ მეთოდს ჯერ-ჯერობით მარტო ე. წ. სოციალურ სნეულებების მიმართ ხმარობენ, მაგრამ ის გავრცელებულ უნდა იქნას აგრეთვე ყველა პათოლოგიურ ფორმებზე და ყველა სამკურნალო დაწესებულებები უნდა გადაყვანილ იქნან მუშაობის დისპანსერულ მეთოდზე. მათ მიზნად უნდა დაისახონ ერთის მხრივ გარემოს შესწავლა, რომელშიც ავადმყოფი სცხოვრობს, მისი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების შესწავლა და მეორეს მხრივ, ავადმყოფის გარემო პირობებზე ორგანიზაციული ზეგავლენა მათი გაჯანსაღების მიზნით.

სანიტარულ, ვიწრო სამედიცინო პროფილაქტიკასთან ერთად ფართოდ უნდა სწარმოებდეს სოციალური პროფილაქტიკა, ამ უკანასკნელის გასატარებლად საჭიროა მედიცინას პროფილაქტიური განხრა მიეცეს და სამკურნალო ამოცანები პროფილაქტიკურ ამოცანებს დაუკავშირდეს. ამისთვის კი საჭიროა სამკურნალო დაწესებულებათა გადაყვანა მუშაობის დისპანსერულ მეთოდებზე.

რა არის დისპანსერი და მუშაობის დისპანსერული მეთოდები ჩვენს წყობილებასა და სოც.-ეკონომიურ ურთიერთობაში?

დისპანსერი ეს ისეთი დაწესებულებაა, რომელიც არა მარტო წმინდა სამკურნალო მიზნებს ისახავს, არამედ აგრეთვე გამაფრთხილებელ ამოცანებსაც: გამაფრთხილებელ მუშაობას კი ეს დაწესებულებები აწარმოებენ მთელი რაიონის გამოკვლევის, მოსახლეობასთან უშუალო ცოცხალი კავშირის გაბმითა და ავადმყოფთათვის დახმარების აღმოჩენით არა მარტო მაშინ, როცა ისინი დახმარებისთვის მიმართავენ, არამედ ბინაზეც, მათ ჩვეულებრივ მდგომარეობაში.

ავადმყოფების განაწილება დაწესებულებებს შორის და იქიდან გამოსვლის შემდეგ მათი თვალყურის დევნება დისპანსერის ამოცანას შეადგენს. დისპანსერი ერთგვარად ხელმძღვანელობას უწევს გამაფრთხილებელ ღონისძიებებს: ის აგრეთვე აწყობს დახმარებას, ან თვით უშუალოდ უწევს დახმარებას თავის რაიონის მცხოვრებთ.

დისპანსერი სათანადოთ უნდა იყოს მოწყობილი, რომ გამოყენებულ იქნეს მკურნალობისა და სნეულების გამოცნობის ყველა საშუალებები. დისპანსერს ახლო კავშირი უნდა ჰქონდეს ყველა ადგილობრივ დაწესებულებებთან. ის უშუალოდ უნდა გაეცნოს მისი რაიონის მოსახლეობას, ავადმყოფები მას აღრიცხვაზე უნდა ჰყავდეს აყვანილი. ამ მიზნით დისპანსერები იკვლევენ ყველა ავადმყოფთა ოჯახის წევრებს, დიდებსაც და ბავშებსაც, რომელთა მეთვალყურეობა მათ ასე თუ ისე უხდებათ. ამ გზით ხანდისხან შეიძლება სნეულების აღმოჩენა მანამდე, სანამ მან მიიქცია ახლო მყოფ პირთა ყურადღება.

შეკრებილ ცნობების საშუალებით დისპანსერს შეუძლია ბევრ შემთხვევაში ხელი შეუწყოს ავადმყოფის დახმარებას ბინაზე. ხანდისხან ეს დახმარება უნდა გამოიხატოს ავადმყოფის ბინის შეკეთებაში, ავადმყოფისთვის ცალკე საწოლის მიცემაში, ან სხვაგვარ ნივთიერ დახმარების აღმოჩენაში. დისპანსერისა და მისი რაიონის მოსახლეობის დაკვირვებას ძლიერ ხელს უწყობენ დისპანსერებთან მოწყობილი კომიტეტები, რომლებშიც შედიან დისპანსერისა და შეკავშირებულ მცხოვრებთა წარმომადგენელნი. ჩვენში ამ კომიტეტებს სოციალურ დახმარების საბჭოებს უწოდებენ.

ასეთი კავშირი საშუალებას აძლევს დისპანსერს გაიგოს ყოველთვის, თუ რა ღონისძიებებია საჭირო ამ რაიონისათვის, მეორეს მხრივ კი დისპანსერის მიერ გაწეული პროპაგანდა აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ პირდაპირ აღწევს იმ წრეს, სადაც ეს საჭიროა.

დისპანსერული მეთოდები იწვევენ ავადმყოფის შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების, ბინის, კვების, ჩაცმა-დახურვის, ბავშთა აღზრდისა და სხ. გაუმჯობესებას.

მუშაობის დისპანსერული მეთოდები გამოიხატება ფართო სანიტარულ განათლებაში, დისპანსერებისა და მშრომელი მოსახლეობის ერთმანეთთან დაკავშირებაში და მცხოვრებთა წარმომადგენელებთან ახლო კავშირში ყოველდღიური მუშაობის დროს.

ამავე დროს არ მცირდება სამკურნალო ღონისძიებათა როლი; პირიქით სამკურნალო ამოცანებს უფრო მეტი მნიშვნელობა ეძლევა, თუ მათ გამაფრთხილებელ და პროფილაქტიურ ამოცანებს დაუკავშირებენ.

დისპანსერიზაცია აერთებს სამკურნალო და პროფილაქტიურ ამოცანებს. თუ დღემდე ეს პრინციპი ტარდებოდა მხოლოდ სპეციალურ დაწესებულებებში სოც. სნეულებებთან ბრძოლის, დედათა და ბავშთა დაცვის და სხ., დღეს დისპანსერიზაცია საფუძვლად უნდა დაედოს გამოუკლებლივ ყველა სამკურნალო დაწესებულების მუშაობას.

ქალაქებში ეს სისტემა ასე უნდა გატარდეს. ყველა სამკურნალო დაწესებულებებს, დაწყებული სულ მცირე უბრალო დაწესებულებიდან და გათავებული დიდი ცენტრალურ დაწესებულებებით, უნდა ჰქონდეს პროფილაქტიურ ღონისძიებათა გატარების მთლიანი გეგმა. რასაკვირველია, ამ დაწესებულებათა ხასიათის მიხედვით, თითეულმა მათგანმა უნდა დაისახოს თავის საკუთარი ამოცანა, რაც დამოკიდებული უნდა იყოს იმაზე, თუ რა ტიპისა, ხასიათის და შინაარსისა ამა თუ იმ დაწესებულებების მუშაობა. მაგალითისათვის ავიღოთ ამბულატორია. აქ ჩვენ შეგვიძლია პირდაპირ მიუახლოვდეთ დისპანსერიზაციის პრინციპს. ამბულატორიამ, რომელიც დახმარებას უწევს განსაზღვრულ რაიონს, პირველ ყოვლისა უნდა გააერთიანოს მისი რაიონ. უჯრედები, პირველი დახმარების პუნქტები—წარმოებებში და დახმარება ბინაზე. ასეთი გაერთიანება ამბულატორიას საშუალებას მისცემს შეისწავლოს იმ მუშების შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები, რომელთაც ის დახმარებას უწევს, აღრიცხვაზე აიყვანოს და გამოყოს ჭლექით, ვენერიზმით და ახ. სნეულებით საეჭვო ავადმყოფი.

რაც შეეხება საექიმო დახმარებას ბინაზე, ეს ხდებოდა ცალკე მომენტებში და ამის მიზანი იყო უშუალო საექიმო დახმარების აღმოჩენა. საექიმო დახმარების დისპანსერიზაციის დროს კი ექიმს, უშუალო დახმარების გარდა, ეკისრება თვალყური ადევნოს ავადმყოფის შინაურ ცხოვრების პირობებს მისი საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ, გამოიკვლიოს ყოფა-ცხოვრების პირობები და იზრუნოს მათ გაჯანსაღებაზე; როცა ექიმი ბინაზე მისვლის შემდეგ შეამჩნევს მთელ რიგ არანორმალურ პირობებს, რომელნიც სნეულების განვითარებას ხელს უწყობენ, მან მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ მავნე პირობების მოსპობაში, რომლებშიც ბინა იმყოფება, მან უნდა ასწავლოს ავადმყოფს წესიერი კვება, შეაჩვიოს ინდივიდუალურ ჰიგიენას და სხ.

ყველაფერი ეს, რასაკვირველია, გულისხმობს ექიმის ბინაზე გაწვევის წესის შეცვლას. ავადმყოფის ინიციატივით ექიმის შემთხვევით გაწვევა უნდა შეიცვალოს სისტემატიური მეთვალყურეობით და ყოფა-ცხოვრების სისტემატიური გაუმჯობესებით. ჩვენ საავადმყოფოებს დღემდი სუსტი კავშირი ქონდათ დისპანსერულ მეთვალყურეობასთან. საავადმყოფოს დისპანსერიზაციის შემდეგ მას უნდა დაეკისროს შესწავლა და მეთვალყურეობა სტაციონალურ ავადმყოფობაზე იმ მასალების მიხედვით, რომელიც თავს იყრიან ქვედა უჯრედებში და რომელთა დამუშავებას აწარმოებენ სანიტარულ მეთვალყურეობის ორგანოები. ავადმყოფის მეთვალყურეობა, რომელიც სწარმოებდა მისი სტაციონალურ დაწესებულებაში ყოფნის დროს, უნდა გაგრძელდეს მაშინაც, როცა იგი საავადმყოფოდან გამოდის და თავის სახლს უბრუნდება.

დისპანსერულ დაწესებულებათა შორის ყველაზე უფრო გავრცელებულია ჩვენში დედათა და ბავშთა დაცვის კონსულტაცია. მაგრამ ეს კონსულტაც. ჯერ არ არის კარგად დაკავშირებული დისპანსერულ მუშაობის საერთო სისტემასთან. კონსულტაცია ბავშის მეთვალყურეობას ახდენს 2, მაქსიმუმ 3 წლამდე, შემდეგ ბავში ან ბაღში გადაყავთ—სადაც არის ბავშთა ჯანმრთელობის დაცვის მეთვალყურე ექიმი—ან საერთოდ მეთვალყურეობა აქ თავდება და ხშირად კონსულტაციაში მეთვალყურეობის მდიდარი მასალა იკარგება.

სოფლის ადგილებში უნდა გადავიდეთ სამკურნალო, სოციალურ და პროფილაქტიურ დახმარების სისტემაზე, უნდა ვაწარმოოთ მოსახლეობის ფიზიკური მდგომარეობისა და ყოფა-ცხოვრების აღრიცხვა; ექიმმა მეტი აქტივობა უნდა გამოიჩინოს მოსახლეობის დახმარების საქმეში და ორგანიზაციულად უნდა მიუდგეს მისი ცხოვრების კონკრეტიულ პირობებს. რასაკვირველია, სოფლის ცხოვრებას თავისებური მხარეები ახასიათებს; მაგალითად, ისეთი პირობები, რომელნიც დამოკიდებულია მოსახლეობის არა მჭიდროდ დასახლებაზე, სოფლების შორ მანძილზე საავადმყოფოებთან, გზები და სხ., შემდეგ მისაღებია მხედველობაში სოფელთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები.

მაშინ, როცა ქალაქში ჩვენ გვაქვს კოლექტიური შრომის ორგანიზაციული ფორმები, სოფლად სჭარბობს ინდივიდუალური შრომა. სოფლად აღრიცხვისა და მეთვალყურეობის წარმოება უფრო ადვილია, ვინემ ქალაქად, რადგან გლეხობა იქ უფრო დიდხანს სცხოვრობს ერთ ალაგზე და უფრო მჭიდროთაა დაკავშირებული განსაზღვრულ სამკურნალო დაწესებულებასთან.

სოფლად გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი შრომის პირობების გაუმჯობესებიდან კი არ უნდა დავიწყოთ, არამედ ყოფა-ცხოვრების პირობებიდან.

ჩვენი იდეალია, რომ თითეული მოქალაქე დისპანსერულ მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდეს მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

დისპანსერულ მეთვალყურეობის ობიექტი უნდა იყოს ადამიანი იმ პირობებში, რომლებშიც ის სცხოვრობს და შრომობს. ცხოვრებისა და შრომის მეთვალყურეობა და გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი უნდა შეეხოს ცხოვრების ყველა მხარეს. პირველ ყოვლისა უნდა შევისწავლოთ მოსახლეობის იმ ჯგუფების ფიზიკური მდგომარეობა, რომელთაც შემდეგში გაეწევათ მეთვალყურეობა, მერმე უნდა გამოვიკვლიოთ შრომისა და ყოფა-ცხოვრების საერთო-სანიტარული პირობები, რომლებზედაც, უმთავრესად, დამოკიდებულია მოსახლეობის ჯანმრთელობა.

აღრიცხვაზე აყვანის შემდეგ სწარმოებს თვით დისპანსერული მეთვალყურეობა, რომელსაც მიზნად აქვს თვითეული ცალკე ობიექტის ფიზიკური და ნერვიულ-ფსიქიური მდგომარეობის გამორკვევა, ამის შემდეგ კი უნდა იყოს აქტიური ზეგავლენის მოხდენა მისი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობებზე—გამაფრთხილებელ ზომების მისაღებად და სათანადო დახმარების აღმოსაჩენად.

შეგვიძლია თუ არა ჩვენ გავატაროთ, მიუხედავად ჩვენი სიღარიბისა, პროფილაქტიური ღონისძიებები? რასაკვირველია, შეგვიძლია და პროფილაქტიური მედიცინა, უკეთ რომ ვსთქვათ, პროფილაქტიური მედიცინის შეჭრა სამკურნალო მედიცინაში—ეს სინამდვილეა. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა განყენებული ამოცანა კი არ არის, არამედ ის მჭიდროთ არის დაკავშირებული სოციალისტურ აღმშენებლობის ამოცანებთან. ჯანმრთელობის ორგანოების ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ თავის მოქმედება სოციალისტურ აღმშენებლობის ამოცანებს დაუკავშირონ. საბჭოთა წყობილება იძლევა ყველაფრის საშუალებას, რაც აუცილებელია პროფილაქტიურ მედიცინის ამოცანების გადასაჭრელად.

გრ. კუჭაიძე.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული
ყოფილ მენშევიკთა შორის მომუშავე განყოფილების ორგანო

ახალგზელი

კოწია სულაქველიძის რედაქტორობით

კვირა, 14 მარტი 1926 წ.

გაზ. „კომუნისტი“-ს ყოველკვირეული დამატება

№ 9

ეროვნული ბიბლიოთეკა

სინამდვილე

როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემს წინააღმდეგ ამხედრდნენ. ჯერ ადგილობრივად ს.-დ. ცეკიდან უსუსური ბალღები ერთ-ერთ თავის ბინძურ მოწოდებაში ლანძღვა-გინებით გამიმასპინძლდნენ, შემდეგ კი „ზედაურებმა“ „ბრძოლა“-ში მიძღვნეს „შენიშვნა“. მართალი გითხრათ, არც ბალღებს „ცეკიდან“ და არც „ზედაურთ“ პასუხს არ გავცემდი (ლანძღვა-გინებას რა პასუხი უნდა გაეცეს!), რომ „ბრძოლა“-ს „შენიშვნაში“ ჩემი დღევანდელი ყოფადობა წუმპეში ჩაფლათ არ მოენათლათ. წუმპეში ჩაფლული მართლა ვიყავი, და ვიყავი სწორედ მაშინ, როდესაც თქვენ გვერდში ერთად ვიდექი და კომუნისტების წინააღმდეგ თქვენთან ერთად „ვიბრძოდი“. დღეს კი ნურას უკაცრავად. და აი სწორეთ არ შემიძლია ამის შესახებ არ ვილაპარაკო მით უმეტეს, რომ ეს არ არის საზოგადოებრივ ინტერესსაც მოკლებული.

რომ საქართველოს ს.-დ. მ. პ. მოღვაწეობას თან ახლდა წუმპეს არსებობა, მე ამის შესახებ ბევრი რამ მსმენია. მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, ჩემი სოც.-დემოკრატიული მუშაობა ყოველთვის მიმდინარეობდა ცენტრიდან შორს და ამით წუმპეს ყოველთვის დაშორებული ვიყავი. წუმპე ცენტრის გარშემო არსებობდა და სწორედ იქ, სადაც ნოე რამიშვილი და მისი დამქაშნი მოღვაწეობდნენ. სამწუხაროდ, ამ წუმპეს კარგად გავეცანი დღიდან ჩემი საზღვარგარეთ წასვლისა და, გულახდილად უნდა ვაღიარო, რომ უნებლიეთ თუ ნებსით, სულ ერთია, ამ წუმპეში ღრმად მოცურავე გახლდით. გასინჯეთ თვით თქვენ, მკითხველო; მე მხოლოდ ფაქტებს მოვიყვან.

ყველამ იცის, რომ 21 წელში ჩვენ სასტიკად და სამარცხვინოდ დავმარცხდით და იძულებული ვიყავით გავხიზნულიყავით საზღვარგარეთ. თავის თავად იგულისხმება, სამარცხვინო არაფერია იმაში, რომ ჩვენ გადავწყვიტეთ ბრძოლის გაგრძელება, რადგან ჩვენ დარწმუნებული ვიყავით ჩვენს სიმართლეში. სამარცხვინო და ქართველი ხალხისათვის საბედისწერო ის იყო, რომ ჩვენ დამარცხების შემდეგაც ვერ მივხვდით, რომ ჩვენი ბრძოლა კომუნისტურ რუსეთთან იყო ბრძოლა არა ქართველ ხალხსა და რუს ხალხს შორის, არამედ ის იყო **ერთი ეპიზოდთაგანი იმ უდიდესი ბრძოლისა, რომელსაც რუსეთის რევოლიუცია აწარმოებს მთელი ქვეყნის რეაქციის წინააღმდეგ.** და ასეთმა ჩვენმა არგაგებამ გამოიწვია ის, რომ ჩვენ მთელი ჩვენი მუშაობა ავაშენეთ რეაქციონურ ძალებთან თანამშრომლობაზე და მათ თანაგრძნობაზე; და რეაქციონურ წუმპეში ღრმათ ჩავეფალით პირველი დღიდან ჩვენი მოკალათებისა საზღვარგარეთ.

ჩვენი მუშაობა უმთავრესად მიმართული იყო იქით, რომ მოკავშირენი, დამხმარენი მოგვენახა ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მთავრობებში. ამ მიზნით ჩვენ, საშობაო მეალილოებივით, გადავდიოდით ერთი სატახტო ქალაქიდან მეორეში და თავს ვაბეზრებდით ამა ქვეყნის ძლიერთა: ვინახულეთ მილიერანი, აუდიენციის ღირსნი გავხდით იტალიის მეფესთან, შევეცადეთ, მართალია, უშედეგოდ, აწ განსვენებულ კერზონის ნოტას და სხვადასხვა.

შედეგი ამ ჩვენი მოღვაწეობისა უდრიდა ნულს, რადგან ის, რაც ვერ გავიგეთ ჩვენ, კარგად გაიგო ბურჟუაზიამ: საქართველოში წარმოებული ბრძოლა იყო ბრძოლა **არა პატარა და დიდ ერს შორის, არამედ ის იყო გამოძახილი სოციალისტურ და ბურჟუაზიულ ქვეყნებს შორის წარმოებულ ბრძოლისა.** ამიტომ საქართველოს სეპარატიულ გამოსვლას ის უყურებდა, როგორც ყოველგვარ აზრ-მოკლებულ ნაბიჯს. ეს აზრი რომ მართალია, იქიდან სჩანს, რომ, მიუხედავად თავგამომაბეზრებელ მუდარისა და ღიტინისა, პუანკარეს მთავრობამ ერთი გროში არ მისცა ჩვენ ყოფილ მთავრობას საქართველოში ანტისაბჭოთა მუშაობის გასაძლიერებლად მაშინ, როდესაც ერთი ან ორი მილიონი ფრანკის გაცემა, თუ გინდ საიდუმლო თანხებიდან, საფრანგეთის მთავრობისათვის არაფერს არ წარმოადგენდა.

ყველა იმისათვის, ვინც საზღვარგარეთ ვიყავით გახიზნული, აშკარა იყო, რომ ბურჟუაზიული მთავრობები თითს თითზე არ დაარტყამდნენ საქართველოსათვის.

ოღონდ ასეთ დამოკიდებულებიდან საქართველოს საკითხისადმი არ გამოდის, თითქოს ბურჟუაზიული ქვეყნები არ ფიქრობდნენ და არ ცდილობდნენ საქართველოს **გამოყენებას** თავის რეაქციონურ ზრახვებისათვის, თავიანთ რეაქციონურ ბრძოლის საწარმოებლად როგორც საერთაშორისო მასშტაბით, ისე, კერძოდ, თავიანთ მუშების წინააღმდეგაც.

პირიქით, ყოველ აქ მომხდარ ამბავს აზვიადებდნენ, აღიდებდნენ, თავის სასარგებლო ელფერს აძლევდნენ და ისე ასაღებდნენ თავის ქვეშევრდომთა შორის. ჩვენ მიერ მათდამი გადაცემულ ამბავს დიდი სიამოვნებით იღებდნენ და იმ სახით აქვეყნებდნენ, რომ **თვით ჩვენც** ვერ ვცნობილობდით შემდეგ მას. მაგალითისათვის მოვიყვან აჯანყების დროს ევროპაში გავრცელებულ ჭორებს. ჩვენ ვიცოდით საქართველოში მომხდარ ამბების შესახებ სინამდვილე აჯანყების მესამე დღესვე. მე პირადად ვიყავი 4 ვერსის მანძილზე ბათომიდან, იქ მივიღე დაწვრილებითი ცნობები—წერილები, გაზეთები,—და ამ ამბებით დავსწიე უკან. მეორე დღესვე დეპეშით ვაცნობე სტამბოლს, თუ რაში იყო საქმე. ეს ცნობები სტამბოლიდან იმავე დღესვე გადაეცათ როგორც სხვადასხვა **სახელმწიფოების წარმომადგენელთათვის**, ისე პრესისათვის,—მაშ **სინამდვილე** მათაც მალე გაიგეს. მიუხედავად ამისა, ორი კვირის განმავლობაში ისეთი სენსაციური ამბები იგზავნებოდა სტამბოლიდან ევროპის პრესაში, როგორიც, მაგალითად, ბაქოსა და დერბენტის აღება ქართველ აჯანყებულთა მიერ.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრნა, თითქოს ევროპის ბურჟუაზია ჩვენი გამოყენებით დაკმაყოფილდებოდა და შესაძლებელს ბოლომდე არ ამოსწურავდა. მან ს. ს.-დ. მ. პ. ცეკა და საზღვარგარეთის ბიურო **თავის შპიონურ ორგანიზაციათ აქცია.** თანახმად საზღვარგარეთის მოთხოვნისა, აქაური ცეკა კრეფდა და აგზავნიდა სისტემატიურად ცნობებს აქაური ჯარის შესახებ. მე დარწმუნებული ვარ—ჩვენი დამოუკიდებლობის დროს იმდენი სრული ცნობები ბოლშევიკების ჯარის შესახებ ჩვენ გენერალ. შტაბს არ ჰქონია, რაც ჩვენ მაშინ გვქონდა. სტამბოლში კი ამ ცნობებს სისტემატიურად აძლევდნენ საფრანგეთის და პოლონეთის სამხედრო შტაბების აგენტებს: საფრანგეთისას—დილიმარსკის და ერთ ოფიცერს, რომლის გვარი არ მახსოვს, და პოლონეთისას—ჯერზობოცკის, და მისი გადადგომის შემდეგ, ახალ სამხედრო ატაშეს. თუ ყოველ კვირა არა, არ კვირაში ერთხელ მაინც ჩვენი წარმომადგენელი ხვდებოდა ამ აგენტებს ურთიერთ საინფორმაციოთ, როგორც ისინი ამბობდნენ.

ასეთი ცნობების გადაცემის გარდა, ჩვენ ხშირად ვასრულებდით სხვა **ჯაშუშურ საქმეებსაც. მაგალითად, ერთხელ საფრანგეთის საიდუმლო ცნობების შემკრებ ორგანიზაციის თხოვნით მათ მივეცით კაცი, რომელიც გამოაგზავნეს საქართველოში განსაკუთრებული დავალებებით.**

საინტერესო აქ ის არის, რომ ადგილობრივმა ცეკამ და ჩვენმა ამხანაგებმა საქართველოში ასეთ ჩვენ მოღვაწეობაზე არაფერი არ იცოდნენ. ერთ-ერთ წერილში, მახსოვს, გოგიტა ფაღავა განცვიფრებით გვეკითხებოდა, თუ რად ვთხოულობთ ჩვენ დაჟინებით სამხედრო ცნობებს, და ძლიერ ფრთხილად უმატებდა: „სხვას ხომ არავის აძლევთ. თუ ეს ასეა,—დასძენდა ის,—ჩვენ მაშინ არაფერს არ მოგაწვდით“-ო.

ამის დასამტკიცებელი მეორე მაგალითი იყო ასეთი. პოლონელმა აგენტმა გადასცა ჩვენს რწმუნებულს სტამბოლში ხელით საზიდავი რადიო იმ პირობით, რომ ჩვენ ის გადმოგვეგზავნა საქართველოში, იქ მოგვეწყო და საიდუმლოდ გვეჭირა ის სამხედრო დეპეშები და ცნობები, რომელსაც მოსკოვი და თბილისი ერთმანეთს უგზავნიდნენ. განსაკუთრებით თხოულობდნენ ისინი შიფრიან დეპეშებს. „გახსნით ჩვენ გავხსნითო“,—ამბობდნენ ისინი. სტამბოლმა ეს ამბავი შეატყობინა თბილისს, და კოტე ანდრონიკაშვილისაგან მივიღეთ, დაახლოებით, შემდეგი პასუხი: „რადიო ჩვენ არ გვჭირია, რადგან ჩვენ საჭირო ცნობებს ყურადითაც გავიგებთ, სხვა ცნობები კი ჩვენ არ გვაინტერესებს“-ო.

მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ, თუ ასეთი ამბები ხდებოდა საზღვარ-გარეთ, და ცეკამ ამის შესახებ არაფერი არ იცოდა; საერთოთ ინტრიგა, მუშების ზურგს უკან საქმეების კეთება,—ეს ჩვეულებრივი მოვლენაა იმ ორგანიზაციაში, სადაც ნოე რამიშვილი ხელმძღვანელ როლს თამაშობდა. მახსოვს, პარიზიდან სტამბოლმა მიიღო ნოე რამიშვილის ფრიად საიდუმლო ბარათი. იქ ის იტყობინებოდა, **თითქო ნოე ჟორდანიამ მოლაპარაკება დაიწყო ბოლშევიკებთან შეუთანხმებლად. ნოე რამიშვილი ითხოვდა ეს ამბავი შეგვეტყობინებია საქართველოში ნოე ხომერიკისათვის და გვეთხოვნა მისთვის იქაური ორგანიზაციების სახელით სასტიკი საყვედური და პროტესტი შემოეთვალათ ნოე ჟორდანიასათვის; „ოღონდ,—დასძენდა ნოე რამიშვილი,—ეს ისე უნდა მოხდეს, რომ კაცმა არ იცოდეს, თითქო საქართველომ ეს ამბავი საზღვარგარეთიდან გაიგო. უნდა შექმნეს ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ეს ამბავი მანდვე ბოლშევიკების წრეებიდან გაეგოთ“-ო. ამ წერილმა თავისი შედეგი გამოიღო: საქართველოდან მივიღეთ ნოე ჟორდანიას წინააღმდეგ მიმართული პროტესტი.**

აჯანყებას რომ აპირებდნენ, ეს საზღვარგარეთ არ იცოდნენ არამც თუ იქ გახიზნულმა მუშებმა,—ჩვენი ზედაფენების დიდმა ნაწილმაც კი. ვინც იცოდა, მათგანაც 90 პროცენტი ამ ავანტიურის წინააღმდეგი იყო. მე ვიცი ფაქტი, რომ აჯანყების წინა დღეებში ნოე რამიშვილი ბრძანდებოდა სტამბოლში. იქ აჯანყების შესახებ ელაპარაკნათ ძლიერ ვიწრო წრეში,—უმეტესი ნაწილი პასუხისმგებელ ამხანაგებისა სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ, მიუხედავად ამისა, ეს ბოროტი ადამიანი მაინც სწერდა საქართველოში თავის აგენტებს წამქეზებელ წერილებს.

უფრო მეტსაც ვიტყვი. თქვენ კარგად იცით ყველამ ნოე ჟორდანიას წერილის შინაარსი აჯანყების შესახებ. იქ ის აჯანყებას არყოფს უარს, ოღონდ ამას შესაძლებლად სცნობს, თუ აჯანყება იქნება მოწყობილი ამიერ-კავკასიის მასშტაბით და თუ აჯანყებას დაიწყებს მთა და აზერბეიჯანი. ეს წერილი ცივი წყლის გადასხმაა აჯანყების იდეისათვის, თუ შეადარებთ იმ წერილებს, რომელსაც ნოე რამიშვილი საზღვარგარეთის ბიუროს უგზავნიდა საქართველოს შესახებ. ამას კარგად გრძნობდა თვით რამიშვილიც, და აი მისი კარნახით სტამბოლმა (რამიშვილი მაშინ სტამბოლში იყო) რამოდენიმე თვე დააკავა ეს წერილი. სტამბოლიდან ეს წერილი გამოგზავნილი იყო 2 ივლისის თარიღით, როდესაც პარიზიდან ის წამოიღო ვლასა მგელაძემ აპრილის რიცხვებში. მიზეზი წერილის ასეთი დაგვიანებისა ის იყო, რომ ეშინოდათ—ამ წერილს უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა აჯანყების საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე.

და ასეთი ბევრი რამ იყო, ოღონდ მოყვანილიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, თუ მართლა **რა წუმპეში ვიყავი ოთხი წლის განმავლობაში.**

ბოლოს, არ შემიძლია აქ არ მოვიყვანო ერთი ამბავი იმ ბოროტი ადამიანის შესახებ, რომელიც ფაქტიურად სათავეში უდგია დღევანდელ ბრძოლას კომუნისტების წინააღმდეგ. ნოე ჟორდანია ძლიერ ავად გახდა. ექიმები ძლიერ შიშობდნენ, რომ ის ვერ გადაიტანდა ამ ავადმყოფობას, და აი ნოე რამიშვილი წერილს გზავნის სტამბოლში და გვთხოვს შეგვეტყობინებია საქართველოში საქმის მდგომარეობა და გვეთხოვა ცეკასათვის, რომ მას ჟორდანიას **მაგიერობა მიენდო მისთვის.** ამან ისეთი აღშფოთება გამოიწვია თვით რამიშვილის შინა ყმათა შორის, რომ საქართველოში წერილის გაგზავნის მაგიერ ერთ-ერთ წევრს მიანდვეს მისთვის წერილის მიწერა და გალანძღვა. მისწერეს წერილი თუ არა, არ ვიცი,—შეიძლება ვერ გაბედეს, ოღონდ ასეთი სურვილი ერთხმად იყო გამოთქმული.

მახსოვს, როდესაც საქართველოდან გავეშურეთ საზღვარგარეთ, მიშა არსენიძემ კერძო საუბარში მითხრა: „ჩვენი პარტიის როლი ქართველ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს; რაც არ უნდა მოხდეს, დარჩება კომუნისტური ხელისუფლება საქართველოში, თუ არ დარჩება—სულ ერთია, ჩვენი პარტია საქართველოში ვერ იმუშავებს; არ ყოფილა ისტორიაში მაგალითი, რომ ერთხელ გაძევებული მთავრობა და ამ მთავრობის წარმომშობი პარტია კვლავ დაბრუნდეს იმავე სახით სამშობლოში“-ო. აი აქ, საქართველოში, უნდა ბრძანდებოდეთ თქვენ ყველა, ვინც დღეს პარიზში იმყოფებით, რომ დარწმუნდეთ ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში.

ერთ-ერთი მიზანი ამ წერილისა არის ის, რომ რაც შეიძლება მალე ჩამოშორდნენ წუმპეს ის ამხანაგები, რომლებმაც მთელი თავისი ახალგაზრდობა შესწირეს პროლეტარიატის ინტერესებისათვის ბრძოლას და დღეს ისინი, თვისდაუნებლიედ, სდგანან იმ ადამიანთა რიგებში, რომელნიც უსასტიკეს ბრძოლას აწარმოებენ სწორედ პროლეტარიატის წინააღმდეგ.

კ. სულაქველიძე.

საბჭოთა დემოკრატია

ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენ გვიხდება წერა ისეთ საკითხების შესახებ, რომლებიც ათეულ წლების უკან იყო გამორკვეული ყოველ კეთილსინდისიერ სოციალისტისათვის, მაგრამ მიუხედავათ ამისა მაინც სადაოთ დარჩენილა ზოგიერთებისათვის. მე მყავს მხედველობაში ის „სოციალისტურად“ მოაზროვნე პირები, რომელთაც დემოკრატია, როგორც პოლიტიკური ცნება, თვით მიზნათ გადაუქცევიათ, მიუხედავათ იმისა, საზარალო არის მისი საქართველოს დღევანდელ პირობებში საბრძოლველ საკითხად დასმა, თუ სასარგებლო.

არის დემოკრატიაც და დემოკრატიაც. ყოველი სოციალისტი უნდა ებრძოლოს დემოკრატიას და იბრძოლოს დემოკრატიისათვის. იგი უნდა ებრძოლოს ბურჟუაზიულ დემოკრატიას და იბრძოლოს მუშურ დემოკრატიისათვის. რევოლიუციონური მარქსიზმის თვალსაზრისით, პროლეტარიატის დიქტატურა უარყოფს დემოკრატიას, როგორც სახელმწიფოებრივ მმართველობის ფორმას, მაგრამ გულისხმობს მუშურ დემოკრატიას, როგორც პროლეტარულ მასების აქტიობის საფუძველს.

რომ გამოვარკვიოთ, თუ რა ყალბი თვისების არის მაკდონალდ-ბერნშტეინ-შეიდემანის დემოკრატია, საჭირო იქნება მიმოვიხედოთ უკან და გავიხსენოთ ის, რაც ბოლშევიკების წინააღმდეგ დაპირისპირებამდე ყველა ჩვენთაგანმა იცოდა. მე ვლაპარაკობ სახელმწიფოზე, როგორც პოლიტიკურ ჩაგვრის ორგანოზე.

საზოგადოებრივ განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე წარმოშობილი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია—უფლებრივი გამოხატულება არის იმ წინააღმდეგობის, რომელიც ახასიათებს საზოგადოებრივ ურთიერთობას. ამ წინააღმდეგობათა მოსპობასთან ერთად, უნდა მოისპოს სახელმწიფო, როგორც პოლიტიკურ მმართველობის ორგანიზაცია. სახელმწიფოს არსებობა შესაძლებელი არის იქ, სადაც კლასიურ წინააღმდეგობათა შეთანხმება შეუძლებელი არის.

რევოლიუციონური მარქსიზმის თვალსაზრისით სახელმწიფო ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში კლასიური ბატონობის ორგანო არის. ბურჟუაზიულ დემოკრატიის თვალსაზრისით კი, ის კლასთა შემრიგებელ-შემთანხმებელი ორგანოა.

მუშათა კლასის განთავისუფლება შეუძლებელი არის მანამ, სანამ სახელმწიფო, როგორც ბურჟუაზიულ კლასების ბატონობის ორგანო, არ მოისპობა. ამ მისიას აასრულებს რევოლიუციონური პროლეტარიატი, სოციალურ რევოლიუციის დროს.

რევოლიუციონურ მარქსიზმის ეს ანბანური ჭეშმარიტება ერთ დროს არ იწვევდა დავას მარქსის მიმდევრებს შორის, მაგრამ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა და ისინი, ვინც ერთ დროს ამ იდეოლოგიურ დროშის ქვეშ იდგენ, ბარიკადების იქეთა-აქეთა მხარეზედ დაბანაკებულან.

I

სახელმწიფო, თვით შეიარაღებულ ორგანოთ, განსაკუთრებით ბურჟუაზიულ წესწყობილების დროს გადაიქცა. ამ თვით შეიარაღებულ ძალას აღარ აშინებდა აზრის თავისუფლება და ამ თავისუფლებას ის ითმენდა მანამ, სანამ ის არ დაუპირისპირდა მას, როგორც უარმყოფელი ძალა.

დემოკრატიული რესპუბლიკა კაპიტალისტური საზოგადოების მმართველობის იდეალური ფორმა არის. პარლამენტის ღია კარებით სცდილობდა ბურჟუაზია სამოქალაქო მშვიდობიანობის შენარჩუნებას. მან პარლამენტის კარები მუშათა კლასსაც კი გაუღო და მით მოინდომა მისი „მოშინაურება“, ე. ი. რევოლიუციონური ნებისყოფის ჩაკვლა მასში. რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა ამ კარებს კი არ უჩვენა ზურგი, არამედ რიხით შეაღო და თავის რევოლიუციონური ნების ყოფა ხამეტყველა საპარლამენტო ტრიბუნიდან.

მან საერთო არჩევნების საშუალებით ბურჟუაზიულ პარლამენტში წარგზავნა თავისი წარმომადგენლები, რომელთა მიზანს საპარლამენტო ტრიბუნიდან კაპიტალისტურ წესწყობილების შინაგან წინააღმდეგობათა მხილება წარმოადგენდა.

მუშათა კლასი საპარლამენტო მუშაობაში ჩაება უმთავრესად არა იმ მიზნით, რომ დადებითი მუშაობა ეწარმოებია ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრიობის ნიადაგზე, არამედ იმიტომ, რომ მუშათა ფართე მასებისათვის თვალები აეხილა იმ სიდუხჭირის შესახებ, რომელსაც არც ისე ადვილათ ამჩნევდნენ ისინი. როდესაც მუშათა წარმომადგენლებმა შედგეს პირველი ნაბიჯი „დემოკრატიულ“ პარლამენტში, მათ ოდნავათაც არ უფიქრიათ, რომ სოციალიზმი პარლამენტის ოთხ კედელს შუა სიტყვიერი გაკამათებით შესცვლიდა კაპიტალიზმს. პარლამენტს გარეშე მასების რევოლიუციონური დარაზმვა და სოციალურ საკითხის ქუჩაში გადაწყვეტა იარაღით ხელში თვითშეიარაღებულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს წინააღმდეგ,—აი რა საბრძოლველი პროგრამა ეხატებოდა თვალწინ რევოლიუციონურ პროლეტარიატს. თავის პარლამენტარულ ბრძოლით ის ხელს უწყობდა პროლეტარიატის რევოლიუციონურ თვითშეგნების განვითარებასა და დარაზმვას.

ასეთ ბრძოლას ევროპის პროლეტარიატი აწარმოებდა მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში. ის გაიზარდა და მომწიფდა პოლიტიკურად ამ ბრძოლაში. როდესაც მან ამ მიზანს მიაღწია, როდესაც რევოლიუციონურ სოციალიზმის დროშის ქვეშ თავი მოიყარა პროლეტარიატის გათვითცნობიერებულმა, დიდმა ნაწილმა, ამის შემდეგ მას აღარაფერი დარჩა საკეთებელი პარლამენტში. საყოველთაო არჩევნებმა ის აღზარდა პოლიტიკურად და ასეთ აღზრდის გარდა, ენგელსის თქმის არ იყოს, არაფრის მიცემა არ შეუძლია საყოველთაო არჩევნებს წარმომადგენლობით სახელმწიფოში.

მასის მიერ შეთვისებული რევოლიუციონური იდეა რეალურ ძალად იქცევაო, ამბობს კ. მარქსი. და აი სწორედ, დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიას, პროლეტარულ მასების მიერ შეთვისებული რევოლიუციონური იდეა, თავის პოლიტიკურ საქმიანობით რეალურ ძალად უნდა ექცია. მაგრამ ეს არ მოხდა. რატომ?

რომ ამ კითხვას უპასუხოთ, საჭირო იქნება პასუხი გავსცეთ იმ კითხვას, მიაღწია თუ არა ბურჟუაზიამ იმ მიზანს, რომელსაც ის დემოკრატიულ წარმომადგენლობიდან მოელოდა, ე. ი. შესძლო თუ არა მან პარლამენტარულ ფერხულში მუშათა კლასის ჩარევით მისი რევოლიუციონური ნებისყოფის გატეხა? რეფორმისტების ხელმძღვანელობით მუშათა კლასის პარლამენტარულ საქმიანობაში ჩაბმამ დადებით თანამშრომლობის ხასიათი მიიღო ბურჟუაზიულ პარტიებთან. რეფორმიზმი, რომელიც სოციალ-დემოკრატიის საზოგადო იდეოლოგიათ გადაიქცა, გამოდიოდა იმ ყალბ დებულებიდან, რომ პროლეტარიატი, როგორც ბურჟუაზიულ საზოგადოების მემკვიდრე, დაინტერესებულია დადებით მუშაობით თვით ბურჟუაზიულ საზოგადოებაშივე. რამდენათ ეს წინაპირობა მიღებული იქნა პარლამენტარულ საქმიანობის საფუძვლად, იმდენათ ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო იმის შესახებ, რომ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის ისტორიული დავა ქუჩაში გადაწყდებოდა იარაღით, ე. ი. პროლეტარიატის ძლევამოსილ რევოლიუციით.

ამ თვალსაზრისიდან გამოდიოდა სოციალ-დემოკრატია, როდესაც წამოაყენა დებულება „დემოკრატიით სოციალიზმისაკენ“.

რეფორმიზმის გაგებით სოციალიზმის საკითხი გადასწყდება არა რევოლიუციონურ გადატრიალებით, არამედ პარლამენტარული საქმიანობის შედეგათ. ამ მუშაობის პროცესში მისი აზრით კაპიტალიზმი შეეზრდება სოციალიზმში და ერთ მშვენიერ დღეს პარლამენტში უბრალო კენჭის ყრით გადასწყდება სოციალიზმის აუცილებლობა. მას ავიწყდება, რომ ასეთ კენჭის ყრის დროს ბურჟუაზია უბრალო თითის აწევით კი არ დაკმაყოფილდება, არამედ თოფს ასწევს კითხვის გადაწყვეტის ჟამს. ჩვენ გვაქვს საბუთი ასე ვიფიქროთ.

როდესაც ევროპაში მუშათა მოძრაობა გამოცოცხლდა და პოლიტიკური აქტიობა გამოიჩინა, ბურჟუაზიამ თითის აწევით კი არ გადასწყვიტა მასთან სადაო საკითხი, არამედ ფაშისტურ დიქტატურით უპასუხა მას.

დემოკრატიას ბურჟუაზია ინელებს მანამ, სანამ ის მის კლასიურ ინტერესებს ემსახურება, მაგრამ როდესაც ის ამჩნევს, რომ აზრის თავისუფლება მისი ბატონობის დანგრევას ფიქრობს, მას ერთი ხელის მოხმით გადააქვს ბრძოლა პარლამენტის გარეშე და ამ „დემოკრატიულ წარმომადგენლობის“ ორგანოს „დემოკრატიული“ თავისუფლების უფლებებს ფეხქვეშ თელავს. ამის საუცხოვო მაგალითი არის იტალია და თანამედროვე ინგლისი, სადაც თავისუფალი აზრის დევნას მიჰყო ხელი კონსერვატიულმა ფაშიზმმა.

ამ ისტორიულ მაგალითების შემდეგ კიდევ შეუძლია ვისმეს სერიოზულად დაიჯეროს, რომ სოციალიზმის საკითხი თანამედროვე დემოკრატიულ საშუალებებით განხორციელდება?

რამდენათ რეფორმიზმი ამ გზას დაადგა, იმდენათ მან ჩაჰკლა პროლეტარიატში რევოლიუციონურ ბრძოლის ნებისყოფა. მაშასადამე, ჩაითრია რა მუშათა კლასი პარლამენტარულ ბრძოლაში, ბურჟუაზიამ მოაშინაურა ის და მასთან ერთად ინარჩუნებს „სამოქალაქო მშვიდობიანობას“.

ჩვენ მოვიხსენიეთ ზემოთ, რომ პროლეტარიატი საარჩევნო ბრძოლაში და პარლამენტარულ საქმიანობაში იზრდება და იწვრთნება პოლიტიკურათ. მაშასადამე, მისთვის ბურჟუაზიული დემოკრატია წარმოადგენს პარლამენტს გარეშე, რევოლიუციონურ პროლეტარიატის დარაზმვის საშუალებას. აქ თავდება ბურჟუაზიულ დემოკრატიის როლი სოციალისტურ ბრძოლისთვის ხელშეწყობაში. აქედან იწყება პროლეტარულ მასებში შეთვისებულ იდეების რეალურ ძალათ ქცევა. და აი სწორედ ამ შემთხვევაში არის საჭირო ძლიერი და დისციპლინიანი პარტია, რომ მოძრაობას შესაფერისი მიმართულება მისცეს.

ევროპის პროლეტარიატის ტრაგედია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ რევოლიუციონურ აფეთქების დროს არ გამოჩნდა ისეთი ძლიერი სოციალისტური პარტია, რომ გამბედაობა ჰქონებოდა აეფრიალებია სოციალისტური რევოლიუციის დროშა.

რუსეთის დიდი რევოლიუციის მაგალითმა თვალსაჩინოდ დაგვანახვა, რომ ფოლადისებურ პარტიის ხელმძღვანელობის გარეშე ვერ იხეირებს რევოლიუცია.

II

პარლამენტარიზმი, ე. ი. დემოკრატია გამოყენებულ უნდა იქნეს ბურჟუაზიულ წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად. დემოკრატიზმი გზა არის სოციალიზმისათვის ბრძოლის და არა მიზანი. საყოველთაო არჩევნები პარლამენტში ააშკარავებს მუშათა კლასის პოლიტიკურ სიმწიფეს. ეს მაქსიმუმია იმისი, რასაც პროლეტარიატი ბრძოლაში დემოკრატიულ საშუალებებით მიაღწევს. უტოპია იქნებოდა ფიქრი იმის შესახებ, რომ საზოგადოება პარლამენტარული დემოკრატიის გზით გადავა სოციალიზმში.

რევოლიუციონური მარქსიზმი იმ თვალსაზრისზე სდგას, რომ შეუძლებელი არის დემოკრატიული საშუალებებით ბრძოლა უარვყოთ ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში. საზოგადოებრივ განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე ეს გზა აუცილებელი არის. სოციალიზმისთვის ბრძოლის წარმოება უნდა წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: მუშათა კლასი კაპიტალისტურ წყობილებ[illegible]ს იბრძვის თავის დემოკრატიულ უფლებებისათვის. ამ მიზნით ის მიდის პარლამენტში და პოლიტიკურად მწიფდება; საზოგადოებრივ განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, როდესაც საყოველთაო არჩევნები გამოააშკარავებს პროლეტარიატის პოლიტიკურ სიმწიფეს, ის ორგანიზაციულად დარაზმული, უკანასკნელი იერიშებით მიდის ბურჟუაზიულ ციხე-სიმაგრეზე, ანგრევს მას და ამყარებს პროლეტარიატის დიქტატურას, რომელშიაც ვაღწევთ ჭეშმარიტ, მუშურ დემოკრატიას. ბურჟუაზიულ დემოკრატიის ადგილს პროლეტარული დემოკრატია იჭერს. ეს დემოკრატიზმის იდეის დიალექტიური განვითარება არის. ის იბადება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, მას უარყოფს პროლეტარიატის დიქტატურა, რომლის საშუალებით საზოგადოება ეწყობა ჭეშმარიტ დემოკრატიის საფუძველზე.

III

საბჭოთა ხელისუფლება ჭეშმარიტ მუშათა დემოკრატიის შინაარსით ივსება. როგორც ამხ. ს. ორჯონიკიძემ განაცხადა საქართველოს კომპარტიის მეოთხე ყრილობაზე, პატიოსან მუშასა და გლეხს სრული 100%-ით მიეცემა დემოკრატია.

თუ ამნაირ დემოკრატიას გვაძლევს საბჭოთა ხელისუფლება, რაღა დაგვრჩა მასთან საბრძოლველი?

საბჭოთა დემოკრატია, რომელიც არსებობს და რომელიც გაფართოვდება, სრულიად უზრუნველყოფს სწორ გზას სოციალიზმისაკენ.

ამიტომ სრულიად მისაღებია ყოველ მარქსისტისათვის საბჭოთა მმართველობის სისტემა.

სწორედ ამიტომ საქ. სოც. დემოკრატიულ პარტიიდან რევოლიუციონურ მარქსიზმის დროშის ქვეშ განაგრძობს ბრძოლას მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც ახალგზელების სახით მივიდა კომუნისტურ ხელისუფლებასთან და აღუთქვა მას ერთად ბრძოლა და სიკვდილი სოციალისტურ იდეალებისათვის ბრძოლაში.

ისტორიულად სწორედ ამაში მდგომარეობს ახალგზელების სიმართლე.

ზ. ჩახვაძე.

„მავრმა გააკეთა თავისი საქმე, მავრს შეუძლია წავიდეს“

ყველაფერი მოძრაობს, ყველაფერი იცვლება, უცვლელია ამ ქვეყნად მხოლოდ ნოე რამიშვილის და მის ამყოლ ქართველ მენშევიკთა, მშრომელ საქართველოსთვის სამუდამოდ დაკარგულ ჯგუფის ბუნება.

ჩვენ დიდათ არ შევჩივლებთ ისტორიას, თუ ეს უცვლელი ბუნება მარადის შეუდრეკელი დარჩება საქართველოს საზღვრების გარეშე, ვინაიდან ღრმათ ვართ დარწმუნებული, რომ ამ ჯგუფის კონტრ-რევოლიუციონური აზრი ოდნავ რეალიზაციას ვერ იპოვის დამოუკიდებელ საქართველოს მიწა-წყალზე.

5 წელი ემიგრანტულ ხეტიალისა, და რამდენი უსიამოვნება... საღად მოაზროვნე მუშა-ემიგრანტებმა იქ, ევროპაში, იგრძნეს ის მძლავრი ენერგია, რომლითაც მშრომელი საქართველო კულტურულ-ეკონომიურ აღორძინებისაკენ მიექანება... და ვაი ნოეების უბედურებას, — მიექანება ბოლშევიკურ რელსებზე.

შეიძრა ემიგრაცია, ამოძრავდა მისი მუშური ნაწილი და ამხ. გ. სულაქველიძე - ალიხანაშვილის მეთაურობით ემიგრანტ მუშათა პირველი ჯგუფი გამოეშურა საქართველოსაკენ, მაგრამ იქ, კბილის მატლივით კიდევ დაურჩა ნოეებს მუშათა მეორე ჯგუფი, რომლის საქმიანობამ საკმაოდ შეაშფოთა მენშევიკურ ბუნების უმოძრაო ჭაობი. პარიზის ემიგრაციამ ამ ამოძრავებას უბადრუკი ტორტმანით უპასუხა. ევროპიდან დაიძრა მუშათა მეორე ჯგუფი ამხ. ა. ხელაძის მეთაურობით.

მაგრამ ჩვენამდე კიდევ მოაღწია ცნობამ, რომ იქ დარჩენილი მუშები კიდევ არ ცხრებიან და ძილს უფრთხობენ საქართველოს არამკითხე „განმანთავისუფლებლებს“. თუ რა გრანდიოზული იქნება ეს რღვევა ემიგრაციისა, დავინახავთ ახლო მომავალში, ხოლო აქედანვე შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოდ, რომ პარიზში დარჩებიან ნოეები და მათი თითოოროოლა პოლიტიკური ატაშე.

ისტორია მშრომელ საქართველოსათვის მუშაობს, ისტორია საფლავს უთხრის ემიგრანტებს.

ფრიად ღირსშესანიშნავი იყო ის შეხვედრა, რომელიც გაუმართა საქართველოს პროლეტარიატმა ემიგრაციიდან ეხლახან დაბრუნებულ მუშათა ჯგუფს.

ნაძალადევის მუშურ უბანს ერთი

ევროპის „სტაბილიზაცია“

„ბრძოლის“ პროგნოზით, ევროპის სტაბილიზაცია ხდება. ის მაგრდება და მტკიცდება ევროპაში, დემოკრატიული კლასები იმარჯვებენ და, თურმე ნუ იტყვით, ეს გამარჯვებული დემოკრატია ევროპისა დაახრჩობს კომუნისტებს და აღვიძებს საქართველოს ფორმალურ დემოკრატიას. აი ამ დასკვნით გამოითქმის „ბრძოლის“ პოლიტიკური პერსპექტივა.

—

როგორც ვიცით, საერთაშორისო ომი გათავდა „ვერსალის ზავით“. ანტანტამ ამ ზავში გამოხატა ძალთა ახალი განწყობილება, მან დამარცხებულ სახელმწიფოებს (გერმანიას და სხვებს) თავზე მოახვია ვალდებულებანი, მუხრუჭი შემოავლო მათ და ეკონომიური და პოლიტიკური წარმატების პირობები შეუბორკა.

გამარჯვებულ მოკავშირეებს, რასაკვირველია, სურთ ის ნაციონალური დოვლათი, ის ეკონომიური ფუძე, რომელიც შთანთქა ამ საერთაშორისო ომმა,—გაანადგურებინოს და აანაზღაურებინოს დამარცხებულებს. ამ მიზანს ემსახურება ანტანტის სარეპარაციო ან საკონტრიბუციო პოლიტიკა.

მეორე მხრივ, ომით გამარჯვებული მოკავშირენი ფაქტიურათ დამარცხებული გამოვიდნენ ამ საერთაშორისო კატასტროფიდან, ვინაიდან არა თუ დამარცხებულების სამეურნეო-საეკონომიო ცხოვრება დაეცა და განიავდა, არამედ გამარჯვებულ ქვეყნებსაც საშინელება დაატყდათ თავს. ეკონომიკა და ფინანსები ამ ქვეყნებისა დღესაც განიცდიან დაშლითი პროცესს. მოკავშირეებმა გამარჯვება ხომ ამერიკის ოქროთი იგეს და აი დღეს ამერიკა ამ ვალის გადახდას მოითხოვს. მაგრამ ვალის გადახდის სიძნელეს ყველა გრძნობს და ამისათვის იყო, რომ ზოგი გამოჩენილი ფინანსისტი, როგორც ევროპის ისე ამერიკის, ამტკიცებდა მოკავშირე სახელმწიფოთა პოლიტიკური ე. ი. სამხედრო ვალების ლიკვიდაციის საჭიროებას. მაგრამ უმთავრესი კრედიტორი, ამერიკა, თავის ბაჟაღლო ოქროს ხელს არ უშვებს და მის განაღდებას აუცილებლივ მოითხოვს, ეს განაღდება კი ძლიერ დიდ თანხებს თხოულობს, და რომ ის გამარჯვებულებმა შესძლონ, ამისთვის თავდაპირველათ რეპარაციის საქმე უნდა მოწესრიგდეს ე. ი. დამარცხებულებისაგან [illegible] ფინანსები უნდა ჩაიჯიბონ.

საკითხი რეპარაციის გადაჭრისა, მისი მოწესრიგებისა, ერთი მხრივ, და, მეორე მხრივ, საკითხი მოკავშირე სახელმწიფოების დავალიანებისა და მათ შორის გადახდისა უძნელეს პრობლემათ არის დღეს მიჩნეული.

ეს პრობლემა, რაც დრო გადის, თანდათან რთულდება და მისი გადაჭრა თითქმის აღარ ხერხდება, ამიტომაც არის, რომ ამ მხრივ „ვერსალის ზავი“ და მის მიერ შემუშავებული მოდუსები ჰაერში აკიდებული არიან (კანის, გენუის, ლოზანის, ჰააგის, ვაშინგტონის, ლონდონის და, უკანასკნელათ, ლოკარნოს კონფერენცია ამას ამტკიცებს, მაგრამ ლოკარნოზე შემდეგ). ამას კარგად გრძნობენ ამ ქვეყნის დღევანდელი მესვეურნი, ბურჟუაზიული კლასები და მათი მთავრობები, მათი ეკონომისტ-ფინანსისტები და ექსპერტები ოფლში იწურებიან, კონფერენციებს და კონგრესებს მრავლად იწვევენ, ერთი კაბინეტი მეორეს სცვლის, სხვადასხვა კურსი და სისტემა ამ საკითხისათვის არ ეშურებათ. მაგრამ დასკვნას მაინც ვერ აღწევენ—ქვეყნის დაწყნარება და ეკონომიური აღორძინება წინ ვერ მიდის.

ამიტომ თამამათ ითქმის, რომ ევროპა მოჯადოებულ წრეში გახლართა და მისი გამოყვანა ამ წრიდან არ ძალუძთ იმ კლასებს, ვინც შექმნა ეს მდგომარეობა.

უსათუოდ ძალზე შეირყა ბურჟუაზიული სამყარო. დაირღვა ამ სამყაროს წონასწორობა, მოიშალა მისი ეკონომიკა, რომელმაც ფინანსიურ კრიზისამდე მიიყვანა მრავალი სახელმწიფოები. დიახ, დაეცა და განადგურდა ნაციონალური და საერთაშორისო საწარმოვო ძალები გაღატაკდა, მყიდველობითი უნარი დაკარგა მშრომელმა მასებმა. დაცემული წარმოება—უმუშევრობა ასი ათასობით და მილიონობით ხრონიკულ მოვლენათ იქცა.

აი სტატისტიკური ცნობაც:

1922 წ. საერთო რიცხვი გაფიცულებისა ევროპა (კონტინენტი) ინგლისში უდრის 2.867.000 კაცს.

ომის შემდეგ, გაპროლეტარებული მასების რიცხვი ევროპაში და ინგლისში 92,9 მილიონია და ამერიკაში 30,5 მილ.

უმუშევართა რიცხვი 1922 წ. ევროპაში 7 მილიონი, ამერიკაში 3.800.000 მუშა.

ომის წინ 1914 წ. მთელი კაცობრიობის სიმდიდრე უდრიდა 1000 მილიარდ დოლარს, ომმა კი შეიწირა 350 მილიარდი დოლარი—ე. ი. მთელი ქონების ერთ მესამედზე მეტი.

ასეთივე კრიზისია თვით ომის თეატრის გარეშე მყოფ ამერიკაშიც. იმ ამერიკაში, რომელიც დღეს საერთაშორისო მევახშეა, და სადაც ოქროთი გატენილი სკივრები თანდათან იზრდება, მაგრამ ეს ოქრო უძრავათ—უქმად სდევს და კაპიტალის ფუნქციას ვერ ასრულებს.

დიახ, საერთაშორისო სისხლის დაღვრამ, გამოწვეულმა კაპიტალისტურ კლასების ინტერესთა წინააღმდეგობით, ერთობ ბუდიდან ამოაგდო ბურჟუაზიული სამყაროს ეკონომიკა, მისი ძაფები გასწყვიტა და გამოუვალ ჩიხში მოამწყვდია.

ამერიკა, მართალია, ომის შემდეგ ეშველება სესხით როგორც გამარჯვებულ გერმანიას (დაუესის გეგმის მიხედვით) რათა ამ ქვეყნების განადგურებული ვალიუტა ფეხზე წამოაყენოს. მაგალითად, ინგლისი იღებს მისგან სესხს 300 მილ. დოლარს და ამით ამაგრებს სტერლინგის კურსს. მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში მის მრეწველობის კრიზისს და მილიონ ნახევარ უმუშევარს, რომლის შენახვა სახელმწიფოს აწევს თავს, ცხადია, რომ ეს გარემოება შლის ფინანსიურ წონასწორობას.

საფრანგეთი 100 მილიონ დოლარს ღებულობს —, რაც ამაგრებს ფრანკის კურსს, მაგრამ ეხლა მას ეტყობა ძლიერი ტენდენცია დაქვეითებისა (რადგან ვერ მოგვარდა სესხის გადახდის საკითხი ამერიკასთან).

ფაშისტური იტალიაც ხომ ამერიკაში ნასესხი 50 მილ. დოლარით აწესრიგებს სახელმწიფო მეურნეობას. იტალიის ლირაც ამ სესხმა წამოაყენა ფეხზე—მაგრამ მისი წარმოების კრიზისი და უმუშევრობა მაინც გრძელდება!

და ბოლოს გერმანიაც ხომ დაუესის გეგმით იღებს სესხს ამერიკიდან, და ახერხებს თითქოს „ვალიუტის შექმნას“.

დიახ, დაუძლურებული ევროპა დღეს ამერიკის კრედიტით ცხოვრობს, მაგრამ ვინ არ იცის რომ ამ კრედიტს გადახდა უნდა, გადახდას კი, სამრეწველო ძალების აღდგენა და განა შესძლებს ამას ევროპა??

თითქოს ერთი შეხედვით . ევროპა ჩაება სამრეწველო აღორძინების საქმეში, მაგრამ სინამდვილე სხვას გვეუბნება. როგორ „სწყდება“ გერმანეთის საკითხი? ჩვენ ვიცით რომ გერმანეთმა დაბოლოს მიიღო დაუესის გეგმა; ამით მან მთელი თავისი ეკონომიკა და სასიცოცხლო ძალები მოკავშირეების კონტროლის ქვეშ დააყენა—მათ ეკონომიურ და პოლიტიკურ მონათ იქცა, მას ჩამორთმეული აქვს მთელი რიგი ტერიტორიებისა მეტროპოლიაში და კოლონიებში და მისი ასპარეზი ვიწროა.

გერმანეთს ეჭირა ომამდე 542.622 ოთხ კუთხი მილი, მან დაკარგა ევროპაში 70.540 ოთხ კუთხი მილი, 13 პროც. მთელი ტერიტორიისა და 6.5 მილიონი მცხოვრები ე. ი. მთელი მცხოვრებლების 10 პროც. და ყველა თავისი კოლონიები—2.953.000 ოთხ კუთხი კილომეტრი და 12.3 მილიონი მცხოვრებით. გერმანეთს შეუძლია თავისი ნაციონალური პროდუქციით მხოლოდ შინაური ბაზარი დააკმაყოფილოს ე. ი. დაახლოებით ამის ნახევარი, ტერიტორიით და ასპარეზით, რაც ომის წინეთ ქონდა მას. არც ინგლისი, არც ამერიკა, და მით უფრო არც საფრანგეთი გერმანიის ნაწარმოებს თავიანთ ბაზარს არ დაუთმობენ და ამიტომ, თუ გერმანეთს ექსპორტი დიდათ ესაჭიროებოდა ომის წინა დროს, ომის შემდეგ ეს გაცილებით უფრო: გერმანეთის ნაციონალური ინდუსტრია, რასაკვირველია, ვერ ჩაეტევა თავის ეხლანდელ ნაციონალურ, ძლიერ შევიწროებულ ფარგლებში (სხვათა შორის—გერმანეთის და საბჭოების სავაჭრო ხელშეკრულება ამ აუცილებლობის ფაქტით არის ნაკარნახევი, მაგრამ ამაზე შემდეგ). გერმანეთს გარეთ გამოსვლა დასჭირდება, ამას მოითხოვს მისი სასიცოცხლო ინტერესები და აქ, მან ძალა უნებურათ უნდა დაარღვიოს სტატუსი, ამას ის ვერ ასცდება, ვერც ამერიკის სესხით, ვერც ინგლისის „პოლიტიკური სიმპატიით“. ამ რიგათ გერმანეთის და საფრანგეთის მორიგების საქმე ვერ იქნება მტკიცე ნიადაგზე აშენებული თუ გინდ გერმანიამ დღეს ღონე მიხდილმა საგარანტიო ხელშეკრულებას ხელი მოაწეროს და ხალხთა ლიგაშიც შევიდეს წევრათ, ეს იქნება მხოლოდ დროებითი ზავი „передышка“.

ხოლო გერმანეთ - საფრანგეთის კონფლიქტი დაბადებს სხვა კონფლიქტებს აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპის მიწა-წყალზე. (ის კრიზისი, რომელიც ლოკარნოს შემდეგ დაიწყო გერმანეთში ამტკიცებს, რომ გერმანეთს ფაქტიურათ არ მიუღია ჯერ კიდევ ლოკარნოს „შემარიგებელი“ ხაზი...)

დიახ, ევროპის წონასწორობის საკითხი ვერ არის გადაჭრილი და არც გადაიჭრება, ვინაიდან კაპიტალიზმს აქვს თავისი კანონები, თავისი ლოღიკა. ის თავისი შინაგანი ძალით, დინამიური პროცესით მიექანება თავის დაშლისკენ, კონფლიქტებისკენ და ომებისკენ.

დიახ, ევროპაში მაინც ყველგან ომისთვის ემზადებიან და აი ამერიკაც უკვე შეუდგა 3 მილიონიან არმიის შექმნას. ის ოფიციალურათ აცხადებს, რომ მას სურს არ ჩამორჩეს და გაასწროს კიდეც სხვა ქვეყნებს მილიტარისტული ორგანიზაციის გაძლიერებაში. ინგლის-საფრანგეთი ხომ ეწყობა ამ მხრივ? მუსოლინის იტალიაც ხომ იარაღის ჩხარუნშია? და მომავალი ომი თავისი გრანდიოზობით და საშინელებით, რომელშიაც ქიმიური საშუალებები ძლიერ ფართოთ იქნებიან გამოყენებულნი, თითქმის განადგურებას უქადის მთელ კაცობრიობას.

რატომ ემზადებიან ასე გამალებული, მილიტარიზმის განმტკიცებაში, როგორც ამერიკა ისე ევროპა-იაპონია? რისთვის, საერთაშორისო ბაზრის ხელში ჩასაგდებათ. ბაზარი—სფერო ეს ის არის, რასაც ელტვის იმპერიალიზმი და რადგან ყველა სახელმწიფოებს სურთ თავის სფერო—ბაზარი და საექსპლოატაციო კოლონიები უფრო დიდი და კარგი იყოს, ცხადია აქ, მეტოქეობაც უფრო ინტენსიურია.

იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა ტენდენცია ეხლაც უკვე ნათლად სჩანს. ამერიკა მტკიცედ უპირდაპირდება აზიაში ინგლისს და იაპონიას. ის ვერ ითმენს ამ სახელმწიფოების მეტოქეობას წყნარ ოკეანეში. უმთავრესი ობიექტი შეჯახებისა, რასაკვირველია, ჩინეთის სახელმწიფოა იმ ბუნებრივი უხვი სიმდიდრით, რაც მის მიწა-წყალზე მოიპოვება.

იაპონიაც და ინგლისიც არ არიან გულზე ხელ დაკრეფილნი. უმთავრესათ იაპონია გაათკეცებული ენერგიით ემზადება ამერიკის საწინააღმდეგოთ.

ევროპაში კი, ამერიკა უპირდაპირდება ინგლისს და საფრანგეთს. თავის მხრივ, საფრანგეთი ინგლისს უპირდაპირდება გერმანეთის საკითხში და ხმელთა შუა ზღვაზე ბატონობის განმტკიცებაში—იტალიასაც.

ჩვენ ვიცით, რომ საწარმოო და ფინანსიური კაპიტალი თავის ნაციონალურ ზღუდეებში ვერ ეტევა და ამისთვის ის მიილტვის გარეთ და ამ ნიადაგზე მოხდება სწორედ შეიარაღებული კონფლიქტები, რომელთაც ვერც ლიგა და ვერც „პაქტი“ ვერ აგვაცილებს. აი საით მიექანება თანამედროვე ბურჟუაზიული ევროპა.

დღეს ყველამ იცის, რომ ევროპა—იტყვის „ბრძოლა“,—დიახ, ეს მომავლის უტყუარი ფაქტია, მაგრამ დღესაც ხომ არ არის დამშვიდებული ევროპა.

დღეს ყველამ იცის, რომ ევროპა—ამერიკის სახელმწიფოები უხვათ სარგებლობენ კოლონიებზე პროტექტორატით.

ამ პროტექტორატში გამოიხატება მეტროპოლიის მიერ კოლონიების ეკონომიური და პოლიტიკური დამონება და უსაზღვრო ექსპლოატაცია, ეს, რასაკვირველია, ხდება „ცივილიზაციის“ სახელით. (მაგალითად, ინგლისის კოლონიები თავის ტერიტორიის სივრცით 107-ჯერ მეტია, ვიდრე თვით მეტროპოლია, მცხოვრებთა რიცხვი კი კოლონიებში 9-ჯერ მეტია, ვიდრე, მეტროპოლიაში—სხვა ქვეყნები კოლონიებზე აქ, ზოგიერთ მოსაზრებით არ შევჩერდებით).

და აი დღეს, გაბატონებულ მეტროპოლიებს უჯანყდება კოლონიები—ისინი მიილტვიან განთავისუფლებისაკენ, დამოუკიდებლობისკენ და ამისთვის აღმართეს ბრძოლის დროშა... გადაავლეთ თვალი ჩინეთის ნაციონალურ განმათავისუფლებელ მოძრაობას და ბრძოლას. გადაავლეთ თვალი აფრიკა-აზიაში მკვიდრ ტომთა განმანთავისუფლებელ მოძრაობას, რომელიც ფარავს დღეს ყველა სამანდატო ტერიტორიებს.

ჯერ კიდევ არ გაეთავებია ლიგას გასულ სექტემბერში თავისი სხდომები, რომ ახლო აღმოსავლეთში წამოიჭრა მოსულის კითხვა. მოსულის ნავთის წყაროების ხელში ჩასაგდებათ ოსმალეთი და ინგლისი ერთმანეთს ეჯახებიან და დღესაც ეს კითხვა გადაუჭრელი და საბედისწეროა.

და ბოლოს დაგვრჩა ლოკარნოს გარანტიის პაქტი და „შემარიგებელი“ ხაზი. გერმანეთის დელეგაციამ მოაწერა ხელი „ლოკარნოს ზავს“. ამ ხელის მოწერით გერმანეთი, რასაკვირველია, კიდევ უფრო მარცხდება. და ამისთვის არის, რომ დღეს გერმანეთში დიდი პოლიტიკური კრიზისია, და ლოკარნოს პაქტის მიღება დიდ კითხვის ქვეშ სდგას.

ლოკარნოს საზეიმო კრება ჯერ კიდევ არ იყო გათავებული, რომ უეცრივ საბერძნეთი და ბულგარეთი დაეჯახნენ ერთმანეთს და კინაღამ ომი გაჩაღდა; და ვინც იცნობს ბალკანეთის ყოფა ცხოვრებას, იმისთვის აშკარაა, რომ ომის საფრთხე აქ ყოველ წუთშია მოსალოდნელი და ლიგის კომბინაციები სრულიად ვერ ამოსწურავენ ამ საკითხს.

ახლა შევეხოთ საბჭოთა კავშირის პოლიტიკას ლოკარნოსადმი.

უდავოა, რომ დღეს ინგლისი, ცდილობს რა დაამყაროს „მშვიდობიანობა“ ევროპის კონტინენტზე, ამავე დროს აწყობს ძალთა ახალ კომბინაციას, რათა საბჭოთა კავშ. იზოლიაციაში მოაქციოს და გერმანიაც საბჭოთა საწინააღმდეგო კოალიციაში ჩააბას. რათ სჩადის ამას ინგლისი და მისი კონსერვატიული მთავრობა? სპარსეთში, ავღანისტანში და ინდოეთში ინგლისი ვერ გრძნობს თავს კარგად: „კომუნისტები მიჯანყებენ ხალხს“-ო გაიძახის, და აი ინგლისიც ცდილობს საბჭოებს სამაგიერო გადაუხადოს; მაგრამ კითხვა ისმის, შესძლებს ინგლისი ანტი საბჭოთა კოალიციის შედგენას და დარაზმვას?—და ამ მხრივ, სრულიად გადამწყვეტილ პასუხს იძლევა გერმანეთის და საბჭოების ეხლახან დადებული სავაჭრო ხელშეკრულება.

ლოკარნო ვერსალის დამთავრებაა და ამით გერმანეთი სრული დამარცხებულია. მე-16 მუხლი და აღმოსავლეთის საგარანტიო ხელშეკრულების საკითხიც, რითაც ის იძულებულია იცნოს საფრანგეთი, როგორც დამზღვევი, პოლონეთთან და ჩეხოსლოვაკიასთან დამოკიდებულებაში, სავსებით ადასტურებს მის დამარცხების ფაქტს. მოკავშირეები, მართალია, შეპირდნენ გერმანეთს ზოგიერთ რამეებს: კელნის ზონის დაცლას, რეინის ოლქის ოკუპაციის ვადის შემცირებას, საარის ოლქში საოკუპაციო რეჟიმის შემსუბუქებას—მაგრამ ეს კიდევ დაუესის გეგმით იყო ნაგულისხმევი და ლოკარნო აქ არაფერ შუაშია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გერმანეთის და საბჭოების სავაჭრო ხელშეკრულება ძლიერ საყურადღებოა—ეს ფაქტი ამტკიცებს იმას, რომ გერმანეთს თავის სასიცოცხლო ეკონომიური ინტერესები უკარნახებენ საბჭოთა კავშირთან მტკიცე მეგობრულ განწყობილებაში იყოს, რათა მან შესძლოს თავისი ნაციონალური წარმოების განვითარება.

მეორე მხრივ, თვით საბჭოთა კავშირი ამ სავაჭრო ხელშეკრულებით ეკონომიური და პოლიტიკური თვალთახედვის ისრით—ბევრს იგებს და ესეც უდაო გამარჯვებაა საერთაშორისო სფეროში; ამ ფაქტით ჩემბერლენის პოლიტიკა, შუაზე წყდება, და გერმანეთის და საბჭოების თანამშრომლობა, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, ძალაში რჩება...

ამავე დროს საბჭოების მოსაზღვრე სახელმწიფოები: პოლონეთი, ლიტვა, ლატვია და სხვა ესენი, ლოკარნოს შემდეგ რწმუნდებიან, რომ დიდი სახელმწიფოები მათ თავიანთ ბრმა იარაღათ სთვლიან—და საჭიროების დროს ადვილათ სტოვებენ ალალ ბედზე; ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ პოლონეთი, უმთავრესი კოზირი დიდი სახელმწიფოებისა, ანტისაბჭოთა პოლიტიკური ინტრიგის შექმნის მაგიერ, საგარეო პოლიტიკის კურსის შეცვლას იწყებს, საბჭოებთან დაახლოვებას აცხადებს. ვიმეორებთ, ასეთ დაახლოვების გზას ადგებიან პოლონეთის შემდეგ სხვა პატარა მოსაზღვრე სახელმწიფონიც. ამით საბჭოები მოიგებენ და ლიმიტროფები კიდევ უფრო მეტათ.

ლოკარნოს შემდეგ, ასეთი ტენდენცია გადაჯგუფებისა უკვე ნათლათ სჩანს.

ამის შემდეგ შეუძლებელია იმის თქმა, რომ საბჭ. კავშ. „ევროპის სტაბილიზაციით“ იზოლიაციაში მოხვდება. არა, ბატონებო „ბრძოლის“ რედაქციიდან, ეს ნაყოფია თქვენი ავათმყოფური ოცნებისა და ეწინააღმდეგება სინამდვილეს და ფაქტების გაგებას.

თქვენი ტრაგიზმი იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ გამოდიხართ სუბიექტიურათ თქვენი სურვილების გრძნობიდან და აშენებთ ამ სურვილებზე ხელოვნურათ „ფაქტებს და პერსპექტივებს“. ეს ხელოვნური ხუხულა, „რასაკვირველია“ ვერ უძლებს ვერავითარ საღ კრიტიკას.

მაგრამ „ბრძოლას“ დიდი იმედი აქვს ევროპის დემოკრატიული კლასებისა. ეს კლასები გაიმარჯვებსო, ამბობს ის, და მაშასადამე მოკავშირეთ გაუხდება „ბრძოლას“ და კომუნისტებს დაამარცხებსო! უნდა ითქვას, რომ დემოკრატია დიდი შეყვარებული ყავს ამ ხალხს. მაგრამ აქ საკითხია, რომელ დემოკრატიაზეა ლაპარაკი? ისტორიამ იცის პირველყოფ. დემოკრატია. საშუალო საუკუნების დემოკრატია, და თანამედროვე პარლამენტარული ანუ ფორმალური დემოკრატია. თანამედროვე ფორმალურმა დემოკრატიამ თავისი დასაწყისი მიიღო დიდი საფრანგეთის რევოლიუციით—აბსოლიუტიზმი დაამარცხა მესამე წოდებამ და აღმართა პარლამენტარულ დემოკრატიის დროშა. მხოლოთ სოციალური უთანასწორობა, სიმდიდრე-სიღატაკე, ერთის გაყვლეფა და მეორეს გამდიდრება, ამ პოლიტიკურ დემოკრატიის სოციალურ ფუძეთ დარჩა.

თანამედროვე ევროპა - ამერიკის მართავს ეს ფორმალური დემოკრატია. აი სწორეთ ამ მმართველმა ევროპამ, და მისმა ფორმალურმა დემოკრატიამ იცნო საბჭოთა რუსეთი და გააბა მასთან ეკონომიური და პოლიტიკური კავშირი.

ამ ფორმალურ დემოკრატიას ოპოზიცია ყავს. რომელიც მედგრათ ებრძვის მას და საბოლოო ანგარიშით დაამარცხებს კიდეც მას. ეს გახლავთ ჭეშმარიტი სოციალური დემოკრატია, ეს არის ევროპა - ამერიკის მშრომელი დემოკრატია და მისი ავანგარდი, მუშათა კლასი, პროლეტარიატი. აი ამ ძალამ ჭეშმარიტმა პროლეტარულმა დემოკრატიამ, სხვა თანასწორ პირობებთან ერთად, აიძულა გაბატონებული კლასები და მათი პოლიტიკური ორგანოები პარლამენტარული დემოკრატია ეცნო რუსეთის საბჭოები.

აი ეს ძალა არის ის, რომელიც ასე ენერგიულათ ექომაგება და ნებას და საშუალებას არ აძლევს ბურჟუაზიულ კლასებს აგრესიული გამოსვლები გააკეთონ საბჭოების წინააღმდეგ. დიახ, ევროპა - ინგლისის მუშათა კლასი მედგრათ იცავს საბჭოებს და ეხლა ვიკითხოთ, რომელ დემოკრატიულ კლასზე ლაპარაკობს „ბრძოლა“, რომელიც მას მიემხრობოდა ბოლშევიკების ჩამოგდებაში?

ფორმალური დემოკრატია მათ ჩამოგდებას ვერ მოახერხებს. პროლეტარული დემოკრატია კი ბოლშევიკებს იცავს, მაშ ვინ არის თქვენი მოკავშირე? დიოგენის ფარნით რომ ეძებთ, თქვენ რეალურ მოკავშირეებს ევროპაში ვერსად ნახავთ.

„ბრძოლის“ პუბლიცისტთა საუბედუროთ სტაბილიზაცია საბჭოთა კავშირში, რუსეთ - საქართველოში ხდება, ხოლო მათ მიერ შეყვარებული ევროპა თუ რაიმე პროცესს განიცდის,—ეს პროცესი უფრო „დესტაბილიზაციით“ შეიძლება მოინათლოს.

ალფესი ხელაძე.

დიდი ზეიმი ახსოვს. ეს იყო ირ. წერეთლის ჩამოსვლა 1917 წელში. ქართველი მუშები, რომლებიც მენშევიკების დროშით დადიოდენ, დიდი ზეიმით შეხვდენ რუსეთში დამარცხებულ „დემოკრატიის“ ბელადს. აქ იყო ზეიმით შეხვედრა რუსეთში დამარცხებულ ოპორტიუნიზმის ბელადისა. ის ზეიმობდა დამარცხებულ ბელადის ჩამოსვლას.

მაგრამ ნაძალადევმა ნახა მეორე ზეიმი. ეს იყო შეხვედრა ქართველი მუშებისა ევროპიდან დაბრუნებულ მუშებისადმი. ზეიმი, არა ნაკლები 1917 წლის ზეიმისა, მაგრამ იყო განსხვავებაც. ქართველი მუშათა კლასი აქ შეხვდა ზეიმით მენშევიზმის ისტორიულ დამარცხებას. აქ მუშათა ერთი ჯგუფი ანგარიშით წარუდგა აქ დარჩენილ მუშათა მასებს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ზეიმი აშკარა ისტორიულ დემონსტრაციად გადაიქცა იმათ წინააღმდეგ, ვინც მშრომელი საქართველოს სახელით ბნელ საქმეებს აკეთებს პარიზის დიპლომატიურ კულუარებში.

დამთავრდა ბნელი ისტორიული ტრაღედია და ქართველი მუშების ამ საზეიმო დემონსტრაციამ ერთხელ კიდევ მიჯნა გაავლო თავის რიგებსა და მენშევიკურ საქმიანობას შორის. ანგარიში მოსმენილია, განაჩენი გამოტანილია და იქ, ევროპაში დარჩენილ მუშებს, მართებთ შესაფერისი დასკვნები გააკეთონ და გამოეშურონ აქ მშრომელთა რიგებისაკენ. მოსვლას ეხლა აქვს ისტორიული მნიშვნელობა ემიგრანტების საქმეების ჩასაშლელად. დაგვიანება და ზედმეტი ფიქრი სწორედ იმ საქმეს ავნებს, რომელთა მოჩვენებითი სამსახურისათვის გაიხიზნენ საქართველოდან.

თბილისს არ ახსოვს ასეთი ერთსულოვანი დემონსტრაცია,—ზღვა ხალხი, რომელიც აღფრთოვანებით ისმენდა ორატორების სიტყვას. ავსტრიის მუშათა დელეგაციამ, რომლის შემადგენლობაში უმრავლესობა სოც.-დემოკრატებია, თავის თვალით ნახა ეს და, არ იქნება ზედმეტი, თუ მისგან მიიღებს ჩვენი ემიგრაცია საჭირო ინფორმაციას. შინაურ ემიგრანტებს კი მართებთ ჩაუკვირდენ 25 თებერვლის ზეიმს, რომელმაც ცხადჰყო, რომ მენშევიზმმა საქართველოში გააკეთა თავისი საქმე და მას შეუძლია ისტორიას ჩაბარდეს.

მოხუცი.

ღია წერილი ნაცნობებს და მეგობრებს

ათეული წლების მუშათა მოძრაობის ფერხულში ჩაბმამ მრავალი ნაცნობ-მეგობრები შემძინა ჩვენში; და აი ამ წერილსაც მათ ვსწერ, მით უმეტეს, რომ ხშირად შემთხვევით შეხვედრის დროს ბევრი მაძლევენ კითხვას, თუ რას ვაკეთებ მე დღეს: ისევ მენშევიკი ვარ, თუ გავბოლშევიკდი, ან საით არის ჩემი სიმპატია—მენშევიკებისაკენ, თუ ბოლშევიკებისაკენ? აი ამ კითხვაზე მინდა გავსცე პასუხი შემკითხველებს და დეე, ეს სხვებმაც იცოდეს. მე **დღეს უპარტიო** ვარ და ჯერ-ჯერობით არ მინდა ვიყო არც ერთ სოციალისტურ ბანაკში. ჩემთვის თვითეულ ბოლშევიკ ან მენშევიკ-მუშის სიკვდილი ნიშნავს ხელის თითების დაჭრას, მარჯვენაზე იქნება ეს თითების დაჭრა, თუ მარცხენაზე სულ ერთია. მაშასადამე მთელი ჩემი არსება მიმართულია გაერთიანებისაკენ. მე სულ ყოველთვის ვიყავი მემარცხენე და ასეც დავრჩები ბოლომდის. მართალია მენშევიკებს ჰყავთ კიდევ მიმდევარი მუშები, მაგრამ მე გადაჭრით შემიძლიან ვსთქვა, რომ მენშევიკების პარტია, როგორც სოციალისტური მუშათა პარტია, აღარ არსებობს ჩვენში და არც შეიძლება იარსებოს, თუ გინდ მთელი გადახვეწილი ლიდერები დაბრუნდნენ. რაც შეეხება საბჭოთა წეს-წყობილებას, ეს რომ არ გვქონდეს, უნდა ვიბრძოლოთ ამის მოსაპოვებლად; და ეს ასეც მოხდებოდა, რომ ბოლშევიკები არ შემოსულიყვნენ საქართველოში.

მუშათა კლასს გრძელი მანძილი აქვს საველი სოციალიზმამდის და ბევრი ლიდერები დაჰყრიან ფარხმალს ბრძოლაში, მიეცემიან ფუფუნებას და ჩამოგვშორდებიან; მაგრამ ამან ჩვენ არც უნდა გაგვაკვირვოს და არც უნდა დაგვაღონოს, „წყალი წავა და წამოვა, ქვიშანი დარჩებიანო“-ო.

ჩვენ მუშებს, ბოლშევიკების მემარცხენეობისა კი არ უნდა გვეშინოდეს, არამედ უნდა გვეშინოდეს იმისა, რომ არ გამემარჯვდნენ. დღეს კი ასეთ მთავრობას, როგორიც არის ბოლშევიკური მთავრობა, რომელიც თავგამოდებით იცავს მუშათა კლასის ინტერესებს, ჩვენ უნდა მხარი დაუჭიროთ, სიფრთხილით შევინახოთ. აბა ქვეყანაზე რომელი მთავრობაა ამისთანა?!. გვეუბნებოდნენ და დღესაც სცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ კომუნისტების მთავრობა, საბჭოთა ხელისუფლება ვერ გასძლებს, ის დღეს იქნება თუ ხვალ დამარცხდებაო. უნდა ვსთქვათ, რომ კომუნისტების დამარცხებაზე ლაპარაკი წინადაც ძნელი იქნებოდა, რომ ყველა სოციალისტური პარტიები გვერდში ამოსდგომოდნენ და მათთან ერთად ეკეთებინათ დიდი სოციალისტური აღმშენებლობის საქმე: მაგრამ მათ, ხელისშეწყობის ნაცვლად, პირი იბრუნეს მუშათა კლასის დაუძინებელ მტრებისაკენ—ბურჟუაზიულ პარტიებისაკენ და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეს სოციალიზმს. ლენინს ესერებმა ტყვია ესროლეს, მენშევიკები თეთრგვარდიელების ბანაკში გადასახლდნენ და დაირაზმენ კომუნისტების დასამარცხებლად. და რა საკვირველია, რომ ამ ბურჟუაზიულ რკალში მომწყვდეულ-ლი კომუნისტების მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. მაგრამ თუნდაც დამარცხდნენ, რა დამტკიცდება ამით? ის, რომ, მათი ბრძოლა არ არის სწორი საკაცობრიო იდეალისთვის? სოციალიზმისთვის?!. სრულიადაც არა, ჩვენ რომ დავმარცხდით 1905 წლის რევოლიუციაში, იმიტომ დავმარცხდით, რომ შემცდარი ვიყავით? სრულიადაც არა! დავმარცხდით იმიტომ, რომ „ხულიგანურმა“ ძალებმა გვაჯობეს. რევოლიუციას აჯობა კონტრრევოლიუციამ, არც მეტი, არც ნაკლები. „სპარტაკი“ დამარცხდა იუნკერებთან ბრძოლაში, მაგრამ ვის შეუძლიან „სპარტაკი“ ცუდათ მოიხსენიოს, ამ დროის ფეოდალების და მათი უნებლიე მომხრეების გარდა?

მეორე ინტერნაციონალის ლოზუნგია: „მშვიდობა ქვეყანად, სათნოება კაცთა შორის, დაჰყარეთ, მუშებო, ბრძოლის იარაღი, მოდით ბურჟუაზიასთან ერთად სამუშაოდ, ვაძოვოთ თხა და მგელი ერთად“-ო. ხელაღებით უნდა დაიგმოს მეორე ინტერნაციონალი. მის ბელადებს გაუტკბათ მინისტრების პორტფელები და უარყოფენ რევოლიუციას, მით ჭეშმარიტად იმსახურებენ კონტრრევოლიუციონერის სახელს. პროლეტარიატს შორდებიან და ბურჟუაზიაზე ლოცულობენ.

რაც შეეხება ეროვნულ საკითხს, მე ერთში ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სოციალისტური მთავრობის ხელში, სოციალიზმის ბრძოლის პროცესში, უფრო შესაძლებელია, წვრილი ერების განთავისუფლება, ვიდრე ბურჟუაზიულ წესწყობილების დროს. სადაც მუშათა კლასი იბატონებს, იქ ადგილი არ ექნება უსამართლო ჩაგვრას, რადგან მთავარი ფუძე პრინციპი კლასთა ბრძოლისა არის ყოველგვარი ჩაგვრა, ბოროტების მოსპობა და თანასწორი უფლებების დამყარება ქვეყნათ. თუ პოლიტიკაში მერყეობა დასაძრახისია, ჯიუტობა ათასჯერ გასაკიცხია; ჩვენი ქვეყანა და მუშათა კლასის სასიცოცხლო ინტერესები მოითხოვენ ჩავებათ გულწრფელათ აღმშენებლობის საქმეში, გაასკეცებულ ენერგიით უნდა ჩავებათ პროფ-კავშირების მუშაობაში, კოოპერატივებში, გლეხკომებში და კულტურულ მუშაობაში; ეს არის გზა სწორი, ვისაც ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობა გულწრფელად სწამს და სხვა ქვენა გრძნობები არ ამოქმედებს. ძალიან შესცდება, თუ ვინმე იფიქრებს, რომ მე ვისმე გავლენა მალაპარაკებდეს, ან კარგ მდგომარეობაში ყოფნა. მე ერთ მიყრუებულ სოფელში ვარ მიგდებული და კმაყოფილი ვარ მხოლოდ იმით, რომ შეძლებისდაგვარად ხალხს ვემსახურები.

თებერვალი, 1926 წ.

თქვენი **სოსო მაჭავარიანი.**

წერილები ადგილებიდან

სენაკი

ჩვენ ენერგიულ მუშაობას ვაწარმოებთ, როგორც ყოფილ მენშევიკებში, აგრეთვე უპარტიოებშიაც. ეს მუშაობა ალბათ უფრო გაძლიერდება მომავალში.

ერთი თვის წინად ცენტრიდან მივიღეთ სახელმძღვანელო ინსტრუქცია.

უკვე გადავდგით პრაქტიკული ნაბიჯები. 1905 წლის რევოლიუციის მოგონების დღე დანიშნული იყო 10 იანვარს. ქ. ახალ-სენაკში მაზრის ყველა კუთხიდან დანიშნულ დროს მოწვეული იქნა 1905 წ. მონაწილენი. თავი მოიყარა ასსზე მეტმა რევოლიუციონერებმა, მონაწილეთა 98 პროცენტი აღმოჩნდა „ახალი გზების“ პლატფორმაზე მდგომი. მოგონების მეორე დღეს პარტკომის შენობაში მოხდა თათბირი წვეულთა შორის ხელისუფლების მომუშავე ამხანაგებთან ერთად. თათბირში მონაწილეობდა მაზრის კუთხეების მოწინავე ელემენტები.

კრება საქმიანი და ბეჯითი იყო. მათ გავაცანით სახელმძღვანელო ინსტრუქცია და ვიმსჯელეთ მომავალი მუშაობის გეგმის შესახებაც.

ბარნაბა ძველაია.

სუფსა

ბრისაში იყო მოთავსებული რამოდენიმე წერილი, სადაც სუფსის აფთიაქის გამგეს აფრასიონ ურატაძეს ბრალს სდებდენ ლოთობაში და საერთოდ ცუდ ყოფა-ქცევაში.

ქვემოდ შემოკლებით მოყვანილი მოწმობა იმის მაჩვენებელია, რომ ეს ხმები არ შეესაბამება სინამდვილეს:

„სუფსის თემის აღმასკომი ამით ადასტურებს, რომ სუფსის აფთიაქის გამგე აფრასიონ ურატაძის მუშაობა სუფსაში: როგორც აფთიაქის მოწყობა-გაუმჯობესება და წამლების მიწოდება არის სავსებით დამაკმაყოფილებელი და მან, ურატაძემ, საგრძნობათ ასწია აფთიაქის პრესტიჟი ხალხის თვალში. რაც შეეხება მის კერძო ცხოვრებას არას დროს აღმასკომის მიერ არ ყოფილა შენიშნული ცუდ ყოფა-ქცევაში, როგორც არის ლოთობა და სხვა“.

ა.

რედაქტორი კ. სულაქველიძე

პარტიული ცხოვრება

საქ. კ. პ. (ბ) ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

ცირკულიარულად.

ს. კ. პ. (ბ) სოფლის უჯრედების პასუხისმგებელ მდივანთა ყოველთვიურ გადასამზადებელ კურსების მორიგი მოწვევა დანიშნულია 23 მარტისათვის. ადგილების განაწილების მიხედვით საოლქო, სამაზრო კომიტეტებს ევალებათ აღნიშნულ დროისათვის დაუგვიანებლათ გამოგზავნონ ამხანაგები. ჩამოსვლისას ისინი უნდა გამოცხადდენ ს. კ. პ. (ბ) ცეკას კომენდანტთან საჭირო ცნობების მისაღებათ.

ადგილების განაწილება:

სიღნაღის მაზრა—3; თელავის—2; დუშეთის — 2; გორის—2; ბორჩალოს—1; ახალციხის—1; შორაპნის—2; ქუთაისის—2; ლეჩხუმის—3; რაჭის—3; სენაკის — 1; ოზურგეთის—1; აჭარისტანს — 1; ოსეთს — 1; სვანეთს—1; აფხაზეთს — 1; ახალქალაქს—1; ფოთს — 1; ზუგდიდს — 1.

ს. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანი **მ. ოკუჯავა.**

საგიტ. საპროპ. განყ. გამგის მაგიერ **გორდელაძე.**

ბეჭდვითი სიტყვის მომუშავეთა თათბირისათვის

ხვალ გაიხსნება ამიერ-კავკასიის ბეჭდვითი სიტყვის მომუშავეთა თათბირი. თათბირმა პირველად უნდა განიხილოს, თუ რა მდგომარეობაა ადგილებზე, რა კეთდება იქ ამ დარგში. ამისათვის დღის წესრიგში პირველად დგას მოხსენებები ადგილებიდან. ამ მოხსენებებიდან უნდა გამოირკვეს: როგორაა დაყენებული ცალკე რესპუბლიკებში გაზეთ-ჟურნალების და წიგნების გამომცემლობის საქმე.

უნდა ითქვას, რომ ეს საქმე ყველა რესპუბლიკებში და კერძოთ საქართველოში სწრაფი ნაბიჯით ვითარდება. არასოდეს არ ყოფილა, არც მენშევიკების და, მით უმეტეს, თვითპყრობელობის დროს, რომ ამდენი სხვადასხვა ჟურნალ - გაზეთები და წიგნები გამოცემულიყვეს. ამ დარგში სახელმწიფო აუარება თანხებს ხარჯავს. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ გამომცემლობის საქმე ჯერ-ჯერობით მოუწესრიგებელია. მაგალითად, იცემა ბევრი საუწყებო ჟურნალები, რომლებიც მხოლოდ ხარჯებს იწვევენ და მიზანს კი ვერ აღწევენ, ვერ ამართლებენ თავის დანიშნულებას. ხშირად გამოდის ორი-სამი ერთი და იგივე ხასიათის ჟურნალი, რომლებიც ცალცალკე სუსტნი არიან, მაგრამ რომ გაერთიანდენ და ერთი ჟურნალი გამოვიდეს ამის მაგივრათ—მეტი მნიშვნელობა ექნებოდა.

გარდა ამისა იცემა ისეთი წიგნები, რომელთა გამოცემას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, მაშინ როდესაც ვერ ვცემთ ფართოდ გლეხურ ლიტერატურას, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა სოფლად; არ გვაქვს არც ერთი წიგნი მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობაზე. ამ მხარეს უსათუოდ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს თათბირმა და ეს საკითხი მოაწესრიგოს.

შემდეგ, თათბირის დღის წესრიგში დგას ჟურნალ - გაზეთებისა და ლიტერატურის გავრცელების საკითხი. ეს მხარეც მოუწესრიგებელია. ჩვენი ქვეყნის ბევრი კუთხეები, სოფლები და თემები ულიტერატუროთ რჩება, მაშინ როდესაც ცენტრი სავსეა ასეთით. თათბირმა უნდა გამოარკვიოს, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრით ადგილებზე და ზომები მიიღოს შემჩნეულ ნაკლულევანებათა გამოსასწორებლად.

მუშკორთა და გლეხკორთა მოძრაობამ ჩვენში საკმაოდ ფართო ხასიათი მიიღო. დღეს იშვიათ ფაბრიკას ან ქარხანას შეხვდებით, რომ რამდენიმე მუშკორი არ ჰყავდეს. რომელი სოფელი გინდათ, რომ გლეხკორი არ აშუქებდეს გაზეთებში მის ცხოვრებას. ჩვენს გაზეთებში ფართოდ შუქდება ფაბრიკა - ქარხნებისა და სოფლების მდგომარეობა.

საჭიროა, რომ მუშკორთა და გლეხკორთა შორის მუშაობა გავაძლიეროთ; ვაწარმოოთ მათში პოლიტიკურ განმანათლებელი მუშაობა და მათი კულტურული დონე ავსწიოთ. მართალია, ამდენი ხანიც სწარმოებდა მათში მუშაობა, მაგრამ ეს მუშაობა სუსტი იყო. მუშკორთა შორის მუშაობა, რასაკვირველია, უკეთაა დაყენებული ვიდრე გლეხკორთა შორის. თათბირი გამოიმუშავებს სხვადასხვა ზომებს მუშკორ - გლეხკორთა შორის მუშაობის გასაცხოველებლად.

დღის წესრიგში გარდა ამისა მნიშვნელოვანი საკითხებიც დგას. თათბირმა უყურადღებოთ არ უნდა დატოვოს ბეჭდვითი საქმის არც ერთი მხარე, და შესაფერი დადგენილებები გამოიტანოს მომავალში მუშაობის საწარმოებლად.

ლ.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

უჯრედების გაერთიანებული კრება

(ლეჩხუმი)

ა. ლ. კ. კავშირის ცაგერის თემკომმა ამ ბოლო დროს გამოაცოცხლა მუშაობა. თემკომმა შემოიარა მის თემში შემავალი კოკავშირის უჯრედები და გაიგო, თუ სად როგორი ხელმძღვანელობაა საჭირო. მასთან ერთად დაიჭირა სოფლის უჯრედებთან მჭიდრო და ცოცხალი კავშირი, თემკომის ინიციატივით მოწვეულ იქნა 7 მარტს თემის ყველა უჯრედების გაერთიანებული კრება, რომლის მიზანი იყო სოფლის უჯრედების მუშაობის უარყოფითი მხარეების გამორკვევა და მის გამოსასწორებლად ზომების მიღება.

კრების დღის წესრიგში დასმული იყო ორი საკითხი: პირველი, თემში შემავალ ყველა უჯრედის მდივნების მოხსენება თავიანთ უჯრედების მდგომარეობაზე; მეორე, სოფლად მუშაობის საკითხი. როგორც გამოირკვა უჯრედების მდივნების მოხსენებებიდან, ზოგიერთ უჯრედებში მუშაობა სუსტი ყოფილა, რისთვისაც გაერთიანებულმა კრებამ მისცა უჯრედის ბიუროებს პრაქტიკული მითითებანი მომავალი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

მეორე საკითხი იყო სოფლად მუშაობის შესახებ, მომხსენებელმა ამხ. ნ. ჭაბუკიანმა ნათლად დაახასიათა, თუ რა უშლის ხელს სოფლად უჯრედების მუშაობას და როგორ უნდა გადალახონ ეს ხელისშემშლელი პირობები უჯრედებმა და მისმა ბიუროებმა.

გაერთიანებულმა კრებამ მთელი რიგი დადგენილებები გამოიტანა სხვადასხვა ნაკლულოვანებათა გამოსასწორებლათ. სასურველია, რომ ხშირად მოეწყობოდეს ასეთი კრებები, რაც ხელს შეუწყობს კომკავშირის საქმიანობის თავის დონეზე დაყენებას.

ნ. ლ.

რა გვაწუხებს

(გალის მაზრა)

ახ. ლ. კ. კ. თავიდანვე მიაქცია ყურადღება ფიზ-კულტურას. დაარსდა სოფლის უჯრედებში ტანთ-ვარჯიშთა წრე, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ეს წრეები დაიშალა, რადგან არ გვყავდა ხელმძღვანელები. რამოდენჯერმე მივმართეთ თხოვნით აღმასკომს და პროფ-ბიუროს, მაგრამ მათ ყურადღება არ მოგვაქციეს. ვიყიდეთ ბურთი, ხელმძღვანელი არავინ არა გვყავს და ისე უწესოდ მიმდინარეობს მეცადინეობა. უპარტიო ახალგაზრდობასაც ეტყობა მისწრაფება ამ საქმეში. უმაღლეს ფიზ-კულტურის საბჭომ ამ საქმეს ყურადღება უნდა მიაქციოს და ჩვენ მივარდნილ მაზრას მეტი დახმარება გაუწიოს.

ახკორე ვ. ქეცბა.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

მუშაობა ფოთის ნავთსადგურში

ფოთი, 13 მარტი. ზამთრის პერიოდის დამთავრების გამო განახლდა მიწის ამოღება ნავთსადგურში.

ამხ. ელიავას სახელობის გემების სარემონტო ქარხანამ შეაკეთა რეფულერი „პოლლეტსი“, რომელიც შეუდგა მუშაობას გამოსაყვან არხის გასაღრმავებლად.

ფოთი, 13 მარტი. 18 მარტს ფოთის ნავთსადგურში მოელიან გერმანელების გემს „მარმარა“-ს, რომელიც წაიღებს ადესაში 2.000 ტონა ძირტკბილას.

მუშკოოპის რწმუნებულთა ყრილობა

ფოთი, 13 მარტი. დასრულდა მუშკოოპის რწმუნებულთა ყრილობა. ყრილობას დაესწრო ასზე მეტი წარმომადგენელი და მრავალი კოოპერატივის წევრი.

გამგეობის ანგარიშის თანახმად წარსულ წლის განმავლობაში კოოპერატივის წევრთა რიცხვი შარშანდელთან შედარებით გაიზარდა 100 პროცენტით (802-დან 1.676 წევრამდე). გაიზარდა ძირითადი თანხა და მოგება.

კოოპერატივი ამზადებს ხელოვნურ ყინულს და აწვდის მას საზღვარ-გარეთელ გემებს.

ყრილობამ დაადგინა გახსნას კოოპერატიული დუქანი სოფელ ზატარაფოთში.

ცეცხლი ცაკის შენობაში

ცხინვალი, 13 მარტი. გუშინ ღამით გაუფრთხილებლობის გამო ცაკის შენობაში უეცრად ცეცხლი გაჩნდა. მილიციონერებმა თავის დროზე მიიღეს ზომები და ცეცხლი ჩააქრეს. ზარალი უმნიშვნელოა.

წერილები

კრედიტი იგვიანებს

(ახალ-სენაკი)

მალე ორი წელი იქნება, რაც ახალ-სენაკის საკრედიტო ამხანაგობა დაარსდა. პირველ ხანებში ამხანაგობაში ირიცხებოდა 34 წევრი. მას შემდეგ წევრთა რიცხვი ავიდა 800-მდე. ამ-ბამ შეიძინა ერთი ტრაქტორი „ფორზონი“-ს სისტემისა, რომელმაც ვერ დააკმაყოფილა მოთხოვნილება.

გამგეობას დავალებული აქვს კიდევ ერთი ტრაქტორი შეიძინოს, რომ ნახევრათ მაინც დაკმაყოფილდეს გლეხობის მოთხოვნილება.

დიდი მოთხოვნილებაა სესხზე, რომელიც გლეხებს ესაჭიროებათ: ვენახის, მუშა და ჯიშიანი საქონლის და კულტურული მცენარეების გასაშენებლათ. მაგრამ ამ-ბა ვერ აუდის მოთხოვნილებას ფინანსიური ხელმოკლეობის გამო. გლეხებს კი სესხის საქმეზე ყოველ დღე უსარგებლო სიარულში ეკარგებათ დრო.

როდესაც ამ-ბას ქონდა კავშირი ბათუმის განყოფილებასთან, ის ღებულობდა საკმაო სესხებს, ხოლო ქუთაისის განყოფილებაში მიწერის შემდეგ კრედიტმა იკლო და მასთან მოცემასაც აგვიანებენ. საჭიროა სესხი გლეხობას მიეცეს თავის დროზე.

ა. ცივისპირელი.

უჩხოვური ექსკურსია

(გურია)

5 მარტს, უჩხობის შვიდწლედის მოწაფეები მასწავლებლების ხელმძღვანელობით გაემგზავრა ვაკიჯვარში საყდრის ნანგრევების დასათვალიერებლათ. დღე კარგი იდგა. მოწაფეთა სულიერი განწყობილება მშვენიერი იყო და მასწავლებლების კიდევ უკეთესი. მაგრამ ამ საერთო სიხარულმა დიდხან ვერ გასტანა.

ვაკიჯვარში არის საყდრის ნანგრევები—ძველი კულტურის უენო მოწმე. მაგრამ არის თანამედროვე კულტურის კერაც —ოთხწლედი სკოლა. ამ სკოლას ჰყავს პურმარილის მეტის-მეტად მოყვარული მასწავლებელი ქეთო ინწკირველი. მოჰკრა თუ არა თვალი ქეთომ უჩხობელ მასწავლებლებს, მაშინვე ციბრუტივით დატრიალდა. ხაჭაპურები, (კივი ღვინო, მსუქანი დედლები, დიდი კეცის მჭადი, ჩურჩხელები და არაყი თვალის დახამხამებაში გაჩნდა მაგიდაზე.

აბა, გიყვარდეს უჩხობელო მასწავლებლებო პურის ჭამა. ნასიარულევ კუჭზე და ისიც ვაკიჯვრის სუფთა ჰაერზე—ასეთი სუფრა „ცოლის მზითევსაც ვერ შეედრება“. ყველაფერი დაავიწყდათ ნერწყვმორეულ მასწავლებლებს სუფრის ხსენებაზედ. მოწაფეებიც, თავისთავიც და აბა საყდრის ნანგრევებმა, ხომ ჭირი მოგჭამათ. ბავშვებს სასტიკათ ებრძანა, რომ ადგილიდან არ დაძრულიყვნენ. პედაგოგები კი სუფრას მოუსხდენ და გაიმართა ქეიფი. ბოთლი ბოთლზე გადადიოდა, ხაჭაპური ხაჭაპურზე. მაგრამ არც დროს ეძინა. საათები საათს მისდევდენ. დაღამება ისე მოეპარა მასწავლებლებს, როგორც კურდღელს დაგეშილი მაძებარი.

მშიერ-ტიტველი ბავშვები კი ვინ იცის ამ დროს რას სჩადიოდენ ორღობეებში. სანამ დაღამდებოდა მათ კიდევ თამაშით თავი გაირთეს. მაგრამ, როცა სიბნელეს შუქმა შემოჰკრა, ბავშვებს შეეშინდათ, შესცივდათ კიდეც და დედის კერიც მოენატრათ. რამდენჯერმე სცადეს მოწაფეებმა მოქეიფე მასწავლებლებთან მისვლა ამბის გასაგებათ, მაგრამ მათ ეზოდან ჯოხით მოერეკებოდენ.

ამასობაში გულგახეთქილი დედები ლოყებისკაწვრით ერთმანეთს შესჩიოდენ: „დაგვეღუპა ბალღები, ღმერთმა ამფერი სტავილაც შეაჩვენოს და რაცხა ჯანდაბა ესუსიეა“-ო. მამლის პირველ ყივილს ბევრი არაფერი დააკლდებოდა, როცა ექსკურსიიდან დაბრუნებულ მოწაფეებმა თავი ბალიშზე დადვეს. ვინ მეტი მოიგო ამ ექსკურსიიდან: მასწავლებლებმა თუ მოწაფეებმა, ეს არც ისე ძნელი გამოსარკვევი საქმეა. მით უფრო ადვილია ამის გამორკვევა ოზურგეთის განათლების განყოფილებისათვის.

ეწრიელი.

ხალხის ფული შაქრათ შერჩა

(სოფ. ქვაჟუდი, ქუთაისის მაზრა)

ჩვენს სოფელს სკოლა თავზე დაალპა, მაგრამ არავითარმა ცდამ სკოლის აღდგენისათვის არ გასჭრა. სკოლით ორი სოფელი სარგებლობს: ქვაჟუდი და გორმაღალი. დღეს სხვა უბედურებასთან ერთად მოინდომეს სკოლის ადგილიდან დაძვრა—ქვაჟუდე თავისაკენ იწევს—გორმაღალი—თავისკენ.

ერთმა გარემოებამ მეტად შეუწყო ხელი ამ საქმეს. 1922 წელში ამ სოფლებს ქარმა დაუმტვრია ერთი სკოლის შენობა. გლეხებმა მოაგროვეს 446 ლირა, რომელიც მიითვისა ლარვენტი გეგუჩაძემ და მიიმალა. გასული წლის თებერვლის რიცხვებში ამ საქმის გამოსარკვევად ქუთაისიდან ჩამოვიდა ამხ. ვაშაყმაძე. ის დაპირდა ხალხს დამნაშავის დასასჯელად ზომების მიღებას. შემდეგი კი დაპირებას არაფერი მოჰყოლია. დღეს ბოროტმოქმედებით დაშინებულ სოფლების ერთიანობამ და კინკლაობამ საქმე იქამდი მიიყვანა, რომ 120 მანეთამდის იხდიან სკოლის ბინის ქირას და ახალს არ აშენებენ. ძველი შენობებიც ლპება და ფუჭდება—აქ, ორნაირი ზარალია.

ი. გამვლელი.

შეფი სკოლას ეხმარება

(დიღომი, თბილისის მ.)

სოფ. დიღომში დაარსდა სამეურნეო სკოლა. ახალ სკოლას გლეხები დიდათ უწყობენ ხელს. მაგრამ მათ არც 1-ლი ქართული ლეგიონი რჩებათ უკან. ამას წინათ ლეგიონმა ბოსტანის მოსახნავათ ათხოვა სკოლას სამი დღით ხარები. სკოლა აშენებს ვენახს. საჭირო იყო ერთი დესეტინა მიწის გადაბრუნება. ორ მარტს მოვიდენ სამუშაოთ ჩვენი შეფები, 1-ლი ლეგიონის წითელარმიელები, რიცხვით 200 კაცამდი. წითელარმიელების ხალისიანმა მუშაობამ გლეხობა აღფრთოვანა და ყველანი ერთად შეუდგენ მუშაობას. გახარებული გლეხები იძახოდენ: „შეფებიც ასეთი უნდაო“.

ს. თათრაშვილი.

ექიმბაშმა ხარი მოჰკლა

(კინჩხის თემი, ქუთ. მ.)

ჩვენს თემში ჯერ კიდევ აქვს გასავალი ცრუმორწმუნოებას ექიმბაშები სარგებლობენ ხალხის უმეცრებით და ხშირად აბამენ თავიანთ ბადეში გლეხებს.

ამას წინათ გაცოფებულმა ძაღლმა ერთ გლეხს დაუკბინა ხარი. როდესაც ძაღლი თვით გლეხს მივარდა საკბენად, გლეხმა მოასწრო ცოფიან ძაღლის მოკვლა, მაგრამ ძაღლის სისხლში გაისვარა. შეშინებულმა გლეხმა არ იცოდა რა ექნა. ის აყვა სოფლის ნაძირალებს და მიმართა მახლობელ სოფელში ექიმბაშ კირთაძეს. უკანასკნელმა მისცა „უებარი“ წამალი. გლეხმა წამალი დაალევინა დაკბენილ ხარს და თვითონაც აპირებდა დალევას, მაგრამ შედეგა: „ენახო როგორ იმოქმედებს ხარზეო“. ორ საათსაც არ გაუვლია ამის შემდეგ და ხარმა ფეხები გასჭიმა. ამრიგათ, სრულიად შემთხვევით გადარჩა სიკვდილს თვითონ გლეხი. ადგილობრივ ხელისუფლებამ გაიგო ეს ამბავი, მაგრამ არავითარი ზომები არ მიუღია ექიმბაშ კირთაძის წინააღმდეგ.

ქარიშვილი.

საბჭოთა არჩევნები

არჩევნები დამთავრდა

(გეზათ-გულუხეთის თ., სენ. მ.).

გეზათ-გულუხეთის თემში ერთი თვით ადრე დაიწყო წინასწარი საარჩევნო მზადება, რომელსაც ხელმძღვანელობდა მაზრის აღმასკომის რწმუნებული. მოწვეულ იქნა მოწინავე გლეხების კრება. თათბირზე ამხანაგებმა გამოიმუშავეს გეგმა მომავალ საბჭოს არჩევნებისათვის: თემი ტეხნიკურ მოსაზრებით დაყვეს ორ საარჩევნო უბნათ და შეადგინეს მომავალ საბჭოს კანდიდატების სია. მეორე დღეს თემში გააკრეს ამომრჩევლების და ხმის არ მქონე მოქალაქეების სიები. მასთან გაკრულ იქნა მომავალ საბჭოს კანდიდატების სიაც მოსახლეობისათვის გასაცნობად და შესაფასებლად, რათა უვარგისი კანდიდატი საბჭოში არ შეპარებოდათ. მოქალაქეებს წინასწარ დაურიგდათ საარჩევნო უწყება. არჩევნებს დიდძალი ხალხი მოაწყდა.

აღსანიშნავია, რომ არჩევნებში ქალები და მამაკაცები გაცხოველებულ მონაწილეობას იღებდენ. იყო შემთხვევა, რომ ქალები მამაკაცებს ეჯიბრებოდენ საბჭოში დეპუტატ ქალის გასაყვანად.

საბჭოში არჩეულ იქნა 21 წევრი, (15 უპ., 5 კომუნ. და 1 კომკავშ.). სარევიზიო კომისია არჩეულ იქნა 5 კაცისაგან. საბჭოში შედის აგრეთვე სოფლის ინტელიგენცია.—მათ ხალხში ნდობა დაიმსახურეს და მათგან ხალხი შემდეგშიაც ბევრს მოელის; იმედია მასწავლებლობაც გაამართლებს ამ იმედებს.

ი. წ—ძე.

ქალები ნაკლებ აქტივობას იჩენდენ

(ტობანიერი, ქუთ. მ.)

მზადება საბჭოს არჩევნებისათვის სამი თვის განმავლობაში სწარმოებდა. 28 თებერვლიდან დაიწყო თემის უბნებში რიგრიგობით არჩევნები, რომელიც დასრულდა 4 მარტს. უნდა ითქვას, რომ კრებები ტარდებოდა ცოცხლად და ამომრჩევლები გაცხოველებულ ინტერეს იჩენდენ არჩევნებისადმი.

აღსანიშნავია, რომ ქალები ნაკლებ აქტივობით ესწრებოდნენ კრებებზე, რაც მომავალში უნდა გამოსწორდეს. ყველა უბნებში ამომრჩევლები ავალებდენ ახლად არჩეულ საბჭოს წევრებს, რომ მათ მეტი ყურადღება მიაქციონ ხიდებისა, გზების შეკეთებას, და სასკოლო შენობის დამთავრებას, რომელიც სამი წელია რაც დაწყებულია. მართლაც ამ შენობის დამთავრება მთავარი კითხვა, რომელსაც ახალმა საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. ეს საკითხი დაყოვნებას არ ითმენს.

საბჭოს პირველი სხდომა მოხდა 5 მარტს. საბჭოში არის სულ 75 წევრი. მათ შორის: 72 მამაკაცი და 3 ქალი. წევრების უმრავლესობას შეადგენს მშრომელი გლეხობა. არჩევნების წესიერად ჩასატარებლად დიდ აქტივობას იჩენდა მასწავლებლობა.

საარჩევნო კრებებზე აღნიშნული იყო ძველი საბჭოს უმოქმედობა.

შუამთელი.

უვარგისი გზა

(გურია)

ამ გზაზე უხდება მიმოსვლა ნაწილობრივ სამეგრელოს, ხიდისთავის და ჩოხატაურის რაიონსაც. გზას აკრავს ჭანეთის თემი და თვით ნიგოითიც. მიუხედავათ ამისა, გზა ძალიან ცუდია. ზამთრობით და ნაწილობრივ ზაფხულობითაც მიმოსვლა სჭირს.

საჭიროა გაერთიანდეს ზემოთ დასახელებული რაიონი და თემები და შეუდგენ მომავალში გზის გაყვანას, რაც დიდათ გააადვილებს ამ რაიონებს შორის მიმოსვლას. ვფიქრობთ, ახალი თემსაბჭოები მიაქცევენ ყურადღებას ამ გზას და არ დააყოვნებენ ამ დიდმნიშვნელოვან გზის შეკეთებას. სოფლის მოსახლეობა შრომას არ დაიშურებს.

დათიკო ვაჩეიშვილი.

რა აკლია ჩვენს ქალაქს

(დუშეთი)

სამხედრო თეატრში 850 ამომრჩევლებიდან შეიკრიბა 515 კაცი. ქალაქს ბევრი ნაკლი აქვს, როგორც მაგალითად: 9 წლედი და საბავშვო ბაღი უმწეო მდგომარეობაშია, გზები და ბოგირები ძალზედ დაზიანებულია, ზოგან ქუჩები დახრამულებია, ქალაქს სჭირია წისქვილი და სახერხი მანქანა, ხალხი განიცდის გაჭირვებას უწყლობის გამო, მუნიციპალიზაცია ქმნილი შენობები მოითხოვენ სასწრაფო რემონტს, სანიტარული მდგომარეობა ვერ არის კარგათ დაცული. ორატორების უმრავლესობა ხაზგასმით აღნიშნავდა ამ საჭირბოროტო კითხვებს.

დასასრულ არჩეულ იქნა 30 დეპუტატისაგან ქალაქის ახალი საბჭო. მათ შორის კომუნისტია—12, პარტიის კანდიდატი—6, კომკავშირის წევრი—1, უპარტიო—11. საერთო რიცხვიდან ქალი 8.

გრ. კარანაძე.

ღირსეულ საბჭოს—ღირსეული მემკვიდრე

(ამაღლების თ., გურია)

არჩევნები თემში დიდი ხალისით ჩატარდა. ძველი საბჭოს მუშაობა მოწონებული იქნა. საბჭოს ერთი წლის მუშაობა გამოიხატება გზების გაყვანაში, ხიდების აგებაში, საექიმო პუნქტის გახსნაში, სკოლის შეკეთებაში და ქვრივ ობოლთა დახმარებაში. კომპარტია და კომკავშირი დიდ მონაწილეობას იღებენ ამ მუშაობაში.

ახალ საბჭოში არჩეული იქნა 46 კაცი და ერთი ქალი. აქედან კომუნისტი 15, დანარჩენი უპარტიო მშრომელი გლეხები. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ქალები ვერ იჩენენ იმდენს გაბედულობას და საქმისადმი მიდგომას, როგორც ამას მოითხოვს საქმის საჭიროება. სოფლის ინტელიგენცია დიდ მონაწილეობას იღებდა, როგორც ძველი საბჭოს მუშაობაში, ისე საარჩევნო სამზადისის წარმატებით ჩატარებაში.

ძველმა საბჭომ პირუთვნელად შეასრულა თავისი მოვალეობა, ვნახოთ რას გააკეთებს ახალი.

დევ. კანკათელი.

ეკონომიური ცხოვრება

აბაშის ჰიდრო-ელექტრო სადგურის გამოკვლევა

ამიერ-კავკასიის და საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ დამთავრებულია აბაშის ჰიდრო-ელექტრო სადგურის გამოკვლევა.

გამოკვლევის პროცესში გამოირკვა, რომ სადგურის ასაგებად გაწეული ფაქტიური ხარჯები საგრძნობლად აღემატება ხარჯთ-აღრიცხვით წავარაუდევ თანხებს.

გამოკვლევამ შემდეგ გამოარკვია მთელი რიგი დეფექტები აღმშენებლობის ორგანიზაციის, ტეხნიკის და მისთვის ფინანსების მიწოდების სფეროში.

ყველა შემჩნეული დეფექტების შესახებ შემუშავებულია პრაქტიკული ღონისძიებები, რომლებიც სათანადო ნაწილებში შეთანხმებულია დაინტერესებულ დაწესებულებებთან.

კერძოთ მუშათა და გლეხთა ინსპექციამ საჭიროთ მიიჩნია, რომ აბაშის ჰიდრო-ელექტრო სადგურის აღმშენებლობას ფინანსიური კონტროლი გაუწიოს საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატმა.

ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოში

ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოწერა

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოში ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოწერის შესახებ ჩვენს თანამშრომელს აცნობეს შემდეგი:

— მიმდინარე წლის დასაწყისში ჩვენ სასოფლო-სამეურნეო მანქანები შეუკვეთეთ რამოდენიმე საზღვარგარეთელ ფირმას. შეკვეთა რუდოლფ საკკის და ფლეტტერის გუთნებზე, მიუხედავად ქარხნების დატვირთვისა, თავის დროზე იყო შესრულებული და ეს გუთნები უკვე მიღებულია ამიერ-კავკასიაში.

შეკვეთების უმეტესობა შესრულებულია, იარაღები მიღებული და განაწილებულია სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის.

საზღვარგარეთიდან გამოწერილია რუდოლფ საკკის და ფლეტტერის გუთნები, ფოცხები—100 ცალი, კულტივატორები—1.000 ცალი, ავსტრიული ცელები—100.000 ცალი, სამთითები—100.000 ცალი, შაბიამანი — 80.000 ფუთი, გოგირდი—60.00 ფუთი, სეტყვის საწინააღმდეგო შუშხუნები—20.000 ცალი, ამერიკული ვაზის სანერგეები—4.000.000 მეტრი, გოგირდის მოსაყრელი მანქანები ვერმორელის, პერრასის და პლაცის სისტემისა—2.000 ცალი, ტრაქტორები ფორძონის სისტემისა—550 ცალი, (150 ცალი უკვე მიღებულია), ხოლტის სისტემ. (საქართველოსათვის)—20 ცალი, კეისის სისტემისა (სომხეთისათვის)—10 ცალი, ძნების შესაკრავი თოკი—28.000 მანეთის, რთული საცეხვავი მანქანები მექანიკური მამოძრავებლებისათვის—20 ცალი.

ამას გარდა, ამერიკაში გაგზავნილია სასწრაფო შეკვეთა მანქანების და იარაღების სხვადასხვა ნაწილებზე.

ღვინის ბაზარზე

მიუხედავად იმისა, რომ ღვინოზე მეღვინეობის რაიონებში ფასმა დაიკლო, თბილისში როგორც კოოპერატიულ, ისე კერძო სავაჭროებში მაღალი ფასები მასზე ჯერ კიდევ უცვლელი რჩება.

მოთხოვნილება საერთოდ სასმელებზე და კერძოთ ღვინოზე საგრძნობლად შემცირდა, რადგან მაღალი ფასების გამო იგი მიუწვდომელია ფართო მასისათვის.

ღვინის ბაზარზე დამახასიათებელ მოვლენად ითვლება ის, რომ იმერული და გერმანული ღვინის ფასები ეთანაბრებიან კახეთისას.

კერძო ვაჭრობაში ვედრო კახური ღვინო 11 გრადუსიანი ფასობს 9 მანეთად.

საპნის წარმოება

საქართველოში საპნის წარმოება დაკისრებული აქვს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საპონ-ზეთის სახელ ტრესტს, რომელსაც კომუნალურ ქუჩაზე აქვს განსაკუთრებული ქარხანა.

უკანასკნელ დრომდე ამ ქარხანაში დამზადებული ხელისაბანი საპონი თავისი ღირსებით არ ჩამოუვარდებოდა რუსეთის ქარხნების ფაბრიკატს. ამ გარემოების მიზეზი იყო ნაკლები ღირსების თესლისაგან გამოხდილი ზეთი, რომელიც საპნის დასამზადებლად იხმარებოდა.

ამჟამად ტრესტს ხელშეკრულება აქვს დადებული, რომლის ძალით ნედლეულის მომწოდებელი ორგანოები ვალდებული არიან ქარხანას მიაწოდონ კარგი ღირსების ნედლეული, რაც ქარხანას საშუალებას მისცემს დაამზადოს უკეთესი ღირსების საპონი.

ნაკლები ღირსების იყო აგრეთვე ქარხნის მიერ დამზადებული ე. წ. მარმარილოს საპონი, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ მის დასამზადებლად იხმარებოდა ცხიმოვანი ნივთების საჭიროზე ნაკლები რაოდენობა. საწარმოო თათბირის დადგენილების შემდეგ მაგარი ცხიმოვანი ნივთიერების ნარევის გადიდების შემდეგ, მარმარილოს საპნის ღირსება საგრძნობლად გაუმჯობესდა.

ცუდს ნაწარმოებს წარმოადგენდა აგრეთვე ოთხკუთხი ხელსაბანი საპონი. ამ მოვლენის მიზეზი იყო ის, რომ მუშები დაწესებულ ნორმაზე მეტი დამუშავების მიზნით, საპონს ალაგებდენ ყუთში ვადაზე უფრო ადრე.

ამ მიზეზის გამო ზეთს იდენდა და ჰკარგავდა ცხიმოვნებას.

უკანასკნელ ხანებში ქარხანაში დადგმულ იქნა ვენტილიატორები, რომლებიც ხელს უწყობს საპნის სწრაფ გაშრობას.

შეცვლილი იქნა აგრეთვე რეცეპტი, რომლის მიხედვით ახლა იხმარება მაგარ ცხიმოვან ნივთიერების მეტი რაოდენობა.

ამჟამად საპნის ქარხანა საშუალოდ თვიურად ამზადებს 15 ფუთს საპონს. ქარხნის ფაბრიკატი საღდება ამიერ-კავკასიის ბაზარზე. ფაბრიკატის კარგ ღირსების გამო კერძო მწარმოებელნი იძულებულნი არიან დახურონ თავიანთი ქარხნები, რადგან ვერ უძლებენ ქართულ საპნის კონკურენციას.

კოოპერაცია

მუშკოოპის რწმუნებულთა ყრილობის შედეგები

11—12 მარტს, 2 დღის განმავლობაში, მუშაობდა თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა ყრილობა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდენ არა მარტო კოოპერაციაში გაერთიანებული თბილისის მცხოვრებნი, არამედ მუშკოოპის მუშაობის რაიონში შემავალ სოფლების რწმუნებულ გლეხთა მრავალრიცხოვანი ჯგუფიც.

გამგეობამ წარმოადგინა თავისი მუშაობის ანგარიში 1924 წლის 1 იანვრიდან, ე. ი. ფორმალურად 21 თვის, ფაქტიურად კი 2 წლის განმავლობაში. ამ პერიოდში დიდი მუშაობა იქნა შესრულებული, რომელმაც საკმაო შედეგებიც მოიტანა. ყრილობას სრული საფუძველი ჰქონდა ესაყვედურებია გამგეობისათვის იმაზე, რომ ის არ იწვევდა თავის დროზე რწმუნებულებს, არ აცნობდა მათ თავის მუშაობას, არ უკეთებდა ანგარიშს და სხვა.

ორ საანგარიშო პერიოდში (1924 წლის 1 იანვრიდან 24 წლის 1 ოქტომბრამდე და 1 ოქტომბრიდან 25 წლის პირველ ოქტომბრამდე) ვიზარალეთ თითქმის 300.000 მანეთი. აქედან 100.000 მანეთზე მეტი არის განსაკუთრებული სახის ზარალი: მუშკოოპი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ფულის რეფორმის გატარებაში და ჩვენი საბჭოთა აღმშენებლობის ამ უდიდეს მიღწევას მან შესწირა 611.000 მანეთი; გარდა ამისა 48 ათასი მანეთი მან მისცა სხვადასხვა დაწესებულებებს, რომელთაც ეს თანხა აღარ დაუბრუნებიათ.

მაგრამ ზარალს ჩვენ უნდა დაუპირდაპიროთ ის დადებითი მიღწევები, რომლებიც მტკიცე საფუძველს წარმოადგენენ მუშკოოპის მომავალი ნაყოფიერ მუშაობისათვის. მათი გავლენა უკვე აშკარა შეიქნა მიმდინარე 1925—26 წლის პირველ მეოთხედში. ეს გავლენა გამოიხატა 170.000 მანეთის მოგებაში. სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ 1925—26 წლის ბოლოში არამც თუ დაფარული გვექნება მთელი ძველი ზარალი, არამედ ცოტაოდენ თანხასაც დავაგროვებთ.

როგორია ეს მიღწევები?

რწმუნებულთა ყრილობამ აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში მუშაობის პირობები მეტად ძნელი იყო, მაგრამ მიუხედავათ ამისა **მუშკოოპის სამეურნეო მოღვაწეობა შესამჩნევად გაიზარდა და გაძლიერდა მშრომელ მომხმარებლის საჭიროებათა უშუალოდ და რაც შეიძლება უფრო მეტად დაკმაყოფილების მხრივ.** კონკრეტულად ეს გამოიხატა საქონლის ტრიალის არაჩვეულებრივად გადიდებაში, რომელმაც 1924—25 წელში მიაღწია 10.300 ათას მანეთს, აქედან მხოლოდ 3,3 პროცენტი მოდის საბითუმო გაყიდვაზე (უმთავრესად მიეცა კოოპერატივებს), ხოლო დანარჩენი გაყიდულია მომხმარებლებზე. ფასების განსხვავებაზე კერძო ბაზართან შედარებით **მუშკოოპის მყიდველმა მარტო პურზე შემოინახა 400 ათასი მან. (980 ათას ფუთ პურზე), ხოლო დანარჩენ საქონელზე--არა ნაკლებ 700 ათასი მანეთისა.**

ენერგიულ მუშაობას თავისი მეურნეობის და მის შესაძლებლობათა შესასწავლად შედეგათ მოჰყვა **მიმდინარე წელს მუშკოოპის მთელი სამეურნეო მუშაობის გეგმიან საფუძველზე მოწყობა.** რწმუნებულთა კრებამ დაამტკიცა მუშაობის გეგმა და 1925—26 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც ჰგულისხმობს საქონლის ბრუნვას 14 მილ. მანეთის რაოდენობით.

დაბოლოს, მესამე—საორგანიზაციო სტრუქტურის ცვლილებები, რომელიც არის შედეგი წარსულის გამოცდილების ზედმიწევნით შესწავლისა. რწმუნებულთა სარაიონო საბჭოები რაიბიუროს ხელმძღვანელობით და სადუქნო კომისიები თვით მომხმარებელთაგან,—ყველაფერი ეს შეადგენს **იმ საზოგადოებრივ აქტივს, რომლის საშუალებით გამგეობას შეუძლია მუდმივი და ცოცხალი კავშირი იქონიოს მასებთან.** ეს აქტივი ეწყობა არა მარტო ქალაქებში, არამედ სასოფლო რაიონებში.

დასასრულ უნდა აღინიშნოს **სასოფლო რაიონებში მუშკოოპის მუშაობის ის აღფრთოვანებული შეფასება,** რომელსაც იძლეოდენ გლეხები თავის სიტყვებში.

ამჟამად უმთავრესი ყურადღება, როგორც აღნიშნავს რწმუნებულთა ყრილობა თავის რეზოლიუციაში, **მიქცეულ უნდა იქნეს მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებაზე.** რეზოლიუციის სადირექტივო ნაწილში დაწვრილებით ჩამოთვლილია ის ღონისძიებები, რომელთაც ხელი უნდა შეუწყონ მუშკოოპის ფინანსიურ გაჯანსაღებას.

ყრილობა ჩატარდა საზოგადოებრივ აქტივობის გამოცოცხლების და საქმიანობის ატმოსფერაში.

შემდგომი მუშაობის გზები უკვე დასახულია. მუშკოოპის უწინდელი ხელმძღვანელები (გამგეობა და სარევიზიო კომისია) ხელახლად არიან არჩეული, რადგან წევრთა მასამ მათ ნდობა გამოუცხადა. ახალი ენერგიით—ახალი მიღწევებისაკენ!

დ. ზ.

თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა მე-6 ყრილობა

11 მარტს სად. 6 ნახ. საათზე გაიხსნა თბილისის მუშკოოპის რწმუნებულთა მე-6 ყრილობა, რომელზედაც თავი მოიყარა 200-მდე დელეგატმა.

პრეზიდიუმის არჩევის, დღის წესრიგის დამტკიცების და რეგლამენტის შემუშავების შემდეგ, ყრილობა გადავიდა საქმიან მუშაობაზე და მოისმინა გამგეობის მოხსენება განვლილ საქმიანობის შესახებ.

გამგეობის საქმიანობა

გამგეობის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ერისთავი, რომელიც ყრილობას უსურათებს განვლილ საქმიანობას 1924 წლ. 9 თვის და 1924 წ.-25 წლის განმავლობაში და მიმდინარე წლის 1-ლ მეოთხედში.

როგორც მოხსენებიდან სჩანს, ამ პერიოდების ერთმანეთთან შედარებით მუშკოოპის მუშაობა თანდათან ვითარდება და უფრო მეტად იპყრობს თბილისის ბაზარს.

მუშკოოპის ცალკე დარგების განხილვის დროს ყრილობის წინაშე წარმოსდგა სურათი მისი გაძლიერებისა და წარმატებისა ყოველ დარგში გარდა ფინანსიური ოპერაციებისა, რომელიც გასულ საოპერაციო წელში დამთავრდა ზარალით.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა მუშკოოპის მიღწევები მიმდინარე წლის პირველ მეოთხედში, როდესაც მის საერთო ბრუნვა გამოიხატება 3.182.229 მან. და 82 კაპ. და მოგება უკვე უდრის 174.467 მან. და 56 კაპ.

დიდ ნაკლულოვანებათ მიაჩნია მომხსენებელს ის გარემოება, რომ საპაიო გადასახადის შეტანა წევრების მხრივ ძალზე სუსტად სწარმოებს. საშუალოდ თვითეულ წევრზე გადახდილი საპაიო თანხა არ აღემატება 2 მან. და 12 კაპ., რაც საგრძნობლად ჩამორჩება წევრთა რაოდენობის ზრდას. ეს კი ხელს უშლის ორგანიზაციისათვის საკუთარ თანხების შექმნას.

სარევიზიო კომისიის მუშაობა

სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კორენევი. იგი საფუძვლიანად ახასიათებს გამგეობის საქმიანობას, აღნიშნავს მრავალ დეფექტებს და ამავე დროს ხაზს უსვამს მიღწევებსაც. თბილისის მუშკოოპს მომხსენებელი ახასიათებს, როგორც მძლავრ ორგანიზაციას კოოპერატიულ სისტემაში და მის საქმიანობას დამაკმაყოფილებლად სთვლის.

დასასრულ იგი მოუწოდებს რწმუნებულთ დაეხმარონ გამგეობას საპაიო გადასახადის სრულად აკრებაში და ამით ხელი შეუწყონ კოოპერატიულ მეურნეობის საკუთარ თანხის შექმნას.

მესამე სხდომა

კამათი

12 მარტის დილის სხდომაზე გაიმართა კამათი გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენებების გარშემო. ორატორებმა უმთავრესათ ხაზი გაუსვეს სავაჭრო აპარატის მოუწესრიგებლობას და სავაჭრო ოპერაციების არამიზანშეწონილად წარმოებას, აღნიშნეს, რომ მუშკოოპი ვერ ემსახურება მუშათა რაიონებს შესაფერისად, ნაკლებათ სწარმოებს ქალების ჩაბმა აქტიურ მუშაობაში, ნაკლები ყურადღება ექცევა წევრთა და თანამშრომელთა კოოპერატიულად აღზრდის საქმეს და სხვა.

კამათში აღნიშნული იქნა აგრეთვე მუშკოოპის პურის დაბალ ხარისხოვნობა და სადუქნო კომისიების სუსტი მუშაობა.

იმდენად, რამდენადაც მოხსენებებში შეეხენ საზოგადოებრივი კვების საკითხს, ყრილობამ გამოსთქვა აზრი, რომ წითელი სასადილოების დაკეტვა არ შეიძლება, არამედ საჭიროა იქ დამზადებულ პროდუქციის გაუმჯობესება. სარევიზიო კომისიას ყრილობამ შენიშვნა მისცა იმ მხრივ, რომ იგი სათანადო ყურადღებას არ აქცევდა რწმუნებულთა ყრილობის თავის დროზე მოწვევას და გეგმის შედგენას

კამათში მიიღო მონაწილეობა საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის წარმომადგენელმაც, რომელმაც აღნიშნა არა შეთანხმებული მუშაობა მუშკოოპსა და კავშირს შორის.

აღტაცებით შეხვდა ყრილობა გლეხთა დელეგატების გამოსვლას, რომლებიც მიუთითებენ თითქმის ისეთსავე დეფექტებზე, რომელთაც ადგილი აქვთ ქალაქში. ზოგიერთები აღნიშნავენ ერთგვარ პარალელიზმს ერთ სფეროში არსებულ რამოდენიმე კოოპერატივის მუშაობაში, რაც სახელს უტეხს გლეხობის თვალში კოოპერაციას.

საბოლოო სიტყვები

საბოლოო სიტყვებში ამხ. კორენევმა და ერისთავმა ყრილობას შესაფერი განმარტება მისცეს ყველა წამოყენებულ საკითხებზე. ამხ. ერისთავმა განაცხადა, რომ ყველა შენიშვნები საფუძვლიანია და მართებული იყო და წამოყენებული მითითებანი ახალ გამგეობის მიერ გათვალისწინებული იქნება და იგი მიიღებს ზომებს მათ განსახორციელებლად. მაგრამ, დასძინა ის, ამას უკანასკნელი შესძლებს იმ შემთხვევაში, თუ წევრები საპაიო გადასახადების სავსებით შეტანით ხელს შეუწყობენ საკუთარი თანხის შექმნას.

1925-26 წლის საქმიანობის გეგმა

მესამე სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. მელჩარსკის მოხსენება მუშკოოპის 1925-26 წლის მუშაობის გეგმის შესახებ. მან აღნიშნა, რომ მუშკოოპის ცხოვრებაში ეს გეგმა პირველია და მის შედგენას ხელს უშლიდენ რეორგანიზაციები და ფულის რეფორმის გატარება.

ამ გეგმის თანახმად მუშკოოპი ითვალისწინებს აღნიშნულ პერიოდში 11.271.800 მანეთის საქონლის შესყიდვას, ე. ი. ერთი მესამედით მეტს, ვიდრე წარსულ წელში. საერთო შემოსავლის ჯამი გათვალისწინებულია 1.743.700 მანეთში და ხარჯები კი 1.528.300 მან. საერთო მოგებათ კი გათვალისწინებულია—214.900 მანეთი.

აღნიშნული გეგმა ყრილობის მიერ დამტკიცებული იქნა უცვლელად.

გადამუშავებული წესდება

თანახმად დღის წესრიგისა, ყრილობას ამხ. ბოლქვაძემ გააცნო მუშკოოპის ახლად გადამუშავებული წესდება, რომელიც დამტკიცებულ იქნა უცვლელად.

რეზოლიუცია:

ერთმად მიღებულ რეზოლიუციაში ყრილობა გამგეობისა და სარევიზიო კომისიის საქმიანობას დამაკმაყოფილებლად სთვლის და ახალ გამგეობას მიუთითებს მიიღოს შემდეგი ღონისძიებები:

პირველ რიგში მუშკოოპი უნდა ემსახურებოდეს წევრებს, ფრთხილად უნდა მიუდგეს გამგეობა საქონლის ნისიად გაცემის საკითხს, მოსპოს უსარგებლო წარმოებანი, გააძლიეროს კოოპერატიულ-განმანათლებელი მუშაობა, გააუმჯობესოს პურის ხარისხი, მეტი ყურადღება მიაქციოს ქალთა ჩაბმას კოოპერაციაში, მიიღოს ზომები საკუთარ თანხების გასაძლიერებლად, განაგრძოს თანამშრომელთა საგარანტიო დაზღვევა, მფლანგველობის თავიდან აცილების მიზნით და სხვა.

არჩევნები

უკანასკნელად მოსმენილი იქნა სამანდატო კომისიის საინფორმაციო მოხსენება და ყრილობა გადავიდა არჩევნებზე.

პირველ ყოვლისა არჩეულ იქნა რწმუნებულები ცეკავშირის ყრილობაზე და შემდეგ გამგეობა და სარევიზიო კომისია.

გამგეობაში არჩეულ იქნენ ამხანაგები: ბოლქვაძე, ერისთავი, ძაგანია და მელჩარსკი.

სარევიზიო კომისიაში: მამარდაშვილი, დევდარიანი, კორენევი, შახბადაგოვი და კედია.

არჩეულ იქნენ აგრეთვე მუშკოოპის ცენტრალური და რაიონული საბჭოები.

სასოფლო-სამეურნეო იარაღები გლეხობას

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა საზღვარგარეთიდან მიიღო „ფორძონის“ სისტემის ტრაქტორები 35 ცალი და გაუნაწილა მაზრების საკრედიტო ამხანაგობებს. ტრაქტორები მიეცემა კომუნებს და არტელებს გრძელვადიანი სესხის სახით.

ტრაქტორები მიეცა შემდეგ მაზრების საკრედიტო ამხანაგობებს: **შორაპნის მაზრაში:**—1) ზესტაფონის საკრედიტო ამხ-ბას 1 ცალი, 2) საჩხერის—1 და მაზრის აღმასკომს—1 ცალი.

ქუთაისის მაზრაში: 1) სვირის საკრედიტო ამხანაგობას—1 ცალი, 2) ვანის საკრ. ამხანაგობას—1 ც., 3) დიდი ჯიხაიშის—1 ც., 4) ხონის—1 ც., **სენაკის მაზრაში:** 1) აბაშის საკრ. ამხ-ბას—1 ც., 2) ახალსენაკის—1 ც.; **ზუგდიდის** „კომუნა“-ს—1 ც. სულ დასავლეთ საქართველოში განაწილებული იქნა 12 ტრაქტორი.

აღმოსავლეთ საქართველოში კი განაწილებული იქნა 23 ტრაქტორი, აქედან: **1) სიღნაღის** აღმასკომს მიეცა 10 ტრაქტორი; **2) თელავის მაზრაში:** მაზრის აღმასკომს:—1 ც., მაზრის გლეხკომს—1 ც.; 3) **თბილისის მაზრაში:** ასურეთის საკრ. ამხ-ბას—1 ც. და თბილისის აღმასკომს—2 ცალი; 4) **გორის მაზრაში:** გორის აღმასკომს—3 ცალი; 5) **ბორჩალოს მაზრაში:** აშაღა-სერალის საკრ. ამხ-ბას—1 ც. და მარნეულისას—1 ც.; 6) **ახალციხის მაზრაში:** მაზრის აღმასკომს—1 ცალი.

აგრეთვე სახ. განათლების კომისარიატს მიეცა 3 ტრაქტორი.

მუშათა ცხოვრება

შრომის ჰანგები.

ჩემ ქვეყანას მისთვის ვეტრფი,
მისთვის მიძგერს ნორჩი გული,
რომ გამეფდა ყველგან შრომა,
ერთა შორის სიყვარული.
იქა ვპოვე მოსვენება,
ის მიზიდავს და მალხინებს,
რომ ქურაზე ვჭედავთ, ვქლიბავთ
მომავლისთვის ურყევ კიბეს.
მუშავ შეხე, შეისმინე,
როგორ გიხმობს შრომის ზარი,
მოუთმენლად გელოდება
ქარხნის დაზგა, ქარხნის კარი,
ტანთ ჩაიცვი საჩქაროზე,
იქა გვიცდის მეგობარი;
შრომას მარჯვედ დავეწაფოთ
მოვიხადოთ ჩვენი ვალი.
უკუ ვაგდოთ, მეგობრებო,
სიზანტე და განზე დგომა
შრომაშია გამარჯვება,
და მხსნელია მხოლოდ შრომა!..

მუშკორი ტაბაკინელი.

თავდასხმა მუშკორზე

(პროკურატურის საყურადღებოდ)

რკინის გზის მთავარ სახელოსნოში გამოდის კედლის გაზეთი „საყვირი"-ს სახეუწოდებით, რომელშიაც მუშკორმა ხელივანოვმა გამოუშვა წერილი მოქალაქე ასატურა გრიქუროვის „საგმირო საქმეების" შესახებ. გრიქუროვმა შეიტყო, რომ წერილის ავტორია ამხ. ნიკიტა ხელივანოვი და 10 მარტს, როდესაც გრიქუროვს შეხვდა მთავარ სახელოსნოს ადგილკომთან, მან რამდენიმე წუთის ახსნა-განმარტების შემდეგ ამხ. ნიკიტას რკინის ჯოხი ორჯერ თავზე დაარტყა. ამხ. ნიკიტა იქვე წაიქცა.

გამხეცებული გრიქუროვი ძლივს მთაშორეს მუშებმა. ამხ. ნიკიტა კი რკინის გზის საავადმყოფოში წაიყვანეს.

ჩვენ, დეპოს მუშები, სასტიკად აღელვებული გრიქუროვის მხეცობით, მოვითხოვთ სასწრაფოდ იქნას გამორკვეული ეს საქმე და პროკურატურამ მიიღოს მის წინააღმდეგ სასტიკი ზომები.

მუშკორი—ა. უ.

უმუშევრობის კიდევ ერთი წამალი

რომ უმუშევრობა ჩვენში ფეხს იკიდებს, ამას მტკიცება არ უნდა.

მას კი რასაკვირველია მოსდევს ქესატობა, ქესატობას—გაჭირვება და ბოლოს „ავმოქმედობა" და უბედურობაც იჩენს თავს, ნამეტნავად, თუ უმუშევარი დატვირთულია ოჯახით.

ჩვენი ხელისუფლება ბევრნაირად ცდილობს ბოლო მოუღოს ანუ შეამციროს უმუშევრობა, მაგრამ დღევანდლამდე იარას, როგორც იტყვიან, უებარი მალამო ვერ დაედო.

ამ ორიოდე წლის წინად იყო გამოგონილი კარგი წამალი, რამაც უმუშევრობა თვალსაჩინოთაც შეამოკლა, მაგრამ ამ ბოლო ხანებში თავი ისევ წამოჰყო უმუშევრობამ, ალბად ეს წამალი დაავიწყდათ:

მე მოგახსენებთ იმ „წამალზე", რომ თუ მამა-შვილი ერთად მსახურობდნენ, რომ ცოლქმარნი იყვნენ სამსახურში, რომ ერთ ოჯახში ორ-სამ ჯამაგირიანი მოხელე იყო, ყველა მოხსნეს ერთის გარდა და მათ ალაგას ჩააყენეს უმწეო ოჯახის მარჩენალი.

თბილისში თითქმის 10.000 მუშა-მოსამსახურეა სტატისტიკის ცნობით, ნახევრამდე მათში ქალებია. ამ ქალებს კიდევ ქმრები ჰყავთ და მოკალათებული არიან სამსახურში სხვადასხვა გვარით.

უმუშევართა რიცხვი ამჟამად ქალაქში უდრის 2—3 ათასს და ეს პატრონიანი მოხელენი სამსახურიდან რომ მოხსნან, მაშინ ყველა უმუშევარს გაუჩნდება საქმე.

დიახ, სამართლიანობა მოითხოვს ყველა ოჯახს ჰყავდეს ერთი მარჩენალი მაინც და უმუშევრობაც ოდნავ მაინც შენელდება.

მუშკორი ვ. დუშელი.

მოგვაშორეთ ეს კაცი

შავი ზღვის რკინის გზის სამუშაოებზე მუშაობს უამრავი მუშა-ხელი, როგორც დურგლები, აგრეთვე სხვა დარგის მუშები და ხელოსნები.

ყველა სამუშაოზე არსებობს ისეთი წესები, როგორსაც მოითხოვს მშრომელი ხალხის ინტერესები, მხოლოდ ჩვენ მაინც განვიცდით საშინელ ტანჯვა-წამებას, რომელიც გამოწვეულია „კულაკის" კოსტა გურგენიძის წყალობით. ბატონი გურგენიძე არის ათის თავი („დესიატნიკი). ეს ვაჟბატონი გარდა ცუდი საქმისა და სეირნობისა, მეტს არაფერს არ აკეთებს და 180 მან. კი ეძლევა თვეში ჯამაგირად. ვინც კი „გადააკრევინებს მას ყიფიანის ღვინოს", მას იგი დაუშვებს სამუშაოზე; პროფკავშირის წევრები კი უმუშევრად ვრჩებით.

ნუ თუ ასეთ ზედმეტ ხორცს ვერ მოგვაცილებთ, რადგან ვერავითარმა გაფრთხილებამ და წინადადებამ მას ვერ უშველა; ვინც კი თანაგრძნობას გაუწევს, მას იგი ამუშავებს, მოწინააღმდეგე კი კოსტას არ უყვარს და სამუშაოდან ხსნის.

ყველა მუშების თხოვნაა, მოგვაშოროთ ეს ზედმეტი ბარგი.

მუშა დურგალი.

დაგვიხსენით ხიფათისგან

ელისაბედის ქუჩაზე კოოპერატივის შენობის ქვეშ არის საყინულე სარდაფი, ამ სარდაფს ყინულის ჩასაყრელი კარი აქვს ქვაფენილებზე, სადაც ხალხი დადის. არა ერთხელ ყოფილა შემთხვევა, რომ შეცდომით (ღამეში) დამდგარა ამ სახურავზე, რომელიც, ალბად, არ არის სათანადოთ მოწყობილი; ამიტომ ჩავარდნილა სარდაფში. სარდაფში ჩავარდნას რაც ნოჰყვება, ეს ყველა ჩვენგანმა იცის.

საჭიროა ეს სახიფათო სარდაფი ან დახუროთ, ანდა სულ წაიღოთ აქედან.

ა. გ-ძე.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **მუშფაკის ალმასბიუროში.** მუშფაკის ალმასკომის ბიუროს წევრები უნდა უჩვენებდენ სხვებს ზრდილობიანობის და სიფაქიზის მაგალითს და უნდა აწარმოებდენ ენერგიულ და კეთილსინდისიერ მუშაობას მუშფაკელებში. სინამდვილეში კი, სამწუხაროდ, ამ მუშაკებს შორის ხშირია მუშტი-კრივი, ლანძღვა-გინება. ასე მოხდა მაგ. 6 მარტს მუშფაკელების საერთო საცხოვრებელ ბინაში (№ 121-ში პლეხანოვის პრ.) ალმასბიუროს თავმჯდომარემ და ბიუროს ერთ-ერთმა წევრმა ფიზიკურად შეურაცხყვეს ერთმანეთი.

ჭკა ასწავლეთ ორივეს.

მუშკორი ვერ-დამალა.

— **ისევ გახშირდა ლოთობა.** ლოთობის მოსპობის მიზნით ბევრი სამიკიტნო დაიკეტა. მათ დაკეტვას თავის დროზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ჩვენ მუშებს ენახებოდათ შრომის ხალფასი. წელს კვლავ მრავლად გაიხსნა სამიკიტნოები, სადაც ჩვენი მუშები ფლანგავენ უკანასკნელ გროშებსაც.

საჭიროა ასეთი სამიკიტნოები ან დაიხურონ, ანდა მათ აეკრძალოს მაინც მაგარ სასმელების მუშებისათვის უზომოდ მიწოდება.

მუშკორი კარგი.

— **მოგვაქციეთ ყურადღება.** მოზარდ უმუშევართა სახლის უჯრედს აქვს „სამკითხველო", რომელშიაც არც ერთი გაზეთი არ მოგვდის. სამკითხველოში მოიპოვება რამდენიმე წიგნაკი, რომელიც უკვე გადაკითხული გვაქვს რამოდენიმეჯერ. ადმინისტრაცია წიგნებს არ იძენს და თავს იმართლებს უფულობით. ეს კი არაა მართალი. ადმინისტრაცია ვალდებულია და იმდენი თანხაც მოეპოვება მას, რომ წიგნები შეიძინოს.

მესამე რაიადგილკომო, შენ რაღად გძინავს?

ახკორი წითელი სხივი.

— **როსკიპობას ბოლო უნდა მოუღოთ.** მილიცია იღებს სათანადო ზომებს როსკიპობის წინააღმდეგ, მაგრამ ეს სენი მაინც იკიდებს ფეხს ალაგ-ალაგ, განსაკუთრებით დიდუბეში—დეზერტირის ბაზრის მახლობლად და თბილისის სადგურის მიდამოებში. ამ რაიონებში სცხოვრობს ბევრი მუშა და სწორედ ეს უზნეო ქალები აქ იყრიან თავს.

საჭიროა როსკიპ-ქალთა აქედან აბარგება.

მუშკორი სამ. ბ-ძე.

— **სახლის პატრონს ჭკუა ასწავლეთ.** ნაძალადევში ვაგონის ქუჩაზე სახლი № 8-ის პატრონი ლეღიაშვილი მოსვენებას არ აძლევს თავის ახალგაზრდა მდგმურებს, სამრეწველო-ეკონომიურ ტეხნიკუმის მოწაფეთ. ესენი არიან მეტად ღარიბი გლეხის შვილები. გაურიგდენ სახლის პატრონს ბინის ქირაში თვეში 5 მანეთად. ეს კი სახლის პატრონს ეცოტავება და იგი მათ იკლებს ლანძღვა-გინებით და მუქარით.

ასწავლეთ ჭკუა!

მუშკორი კარგი.

— **მუშათა კლუბებში უნდა მოსპოთ ავარობა.** მუშათა კლუბებში ხშირად ცხადდებიან სხვადასხვა ჯურის ავარები და იკლებენ იქაურობას. მართავენ მუშტი-კოივს, სტეხენ ჩხუბს, ლანძღვა-გინებას ხომ საზღვარი არა აქვს. პატიოსანი მუშა ამის გამო თავს არიდებს მუშათა კლუბში სიარულს.

ალაგმეთ ეს ავარობა, რომ მუშამ თავისუფლად იაროს თავის კლუბში.

მუშკორი გონი.

მუშათა ქრონიკა

მეორე თამბაქოს ფაბრიკაში.

— **მცირე-წლოვანთა სამუშაო დრო.** მეორე თამბაქოს ქარხანაში დამთავრდა შენობა, სადაც ამ მოკლე ხანში მოეწყობა მუშებისათვის სასადილო.

— **შრომის დისციპლინის აღსადგენად.** მეორე თამბაქოს ქარხნის კომიტეტმა დაადგინა ის მუშა, რომელიც არ გამოცხადდება სამუშაოზე დილით თავის დროზე, დაშვებულ იქნეს სამუშაოზე მხოლოდ საუზმის შემდეგ.

— **სამუშაოზე დაგვიანების შესახებ.** მეორე თამბაქოს ფაბრკომმა დაადგინა ეპატიოს მუშას ვეში ორჯერ დაგვიანება 15 წუთით თუ მუშა წარმოადგენს საპატიო მიზეზს.

— **მოხსნა სამუშაოდან.** თანახმად ფაბრკომის დადგენილებისა, ის მუშა, რომელიც ხელებს საპატიო მიზეზს, მოიხსნება სამუშასამჯერ მოცდება წარმოებას და ვერ დაასაბუთებს.

— **მანქანების გაზეთვის წესი.** თანახმად მეორე თამბაქოს ფაბრიკის საწარმოო კომისიის დადგენილებისა, მანქანები უნდა გაიზეთოს 5 წუთით ადრე მუშაობის დაწყებამდე და ათი წუთით გათავების შემდეგ. მანქანების გაწმენდის დროს უნდა დაესწროს მექანიკი და თვალყური ადევნოს მანქანის გასუფთავებას.

— **უფროსი ზედამხედველები.** უფროსი ზედამხედველები, თანახმად მეორე თამბაქოს ფაბრკომის დადგენილებისა მოდიან ქარხანაში დილით მუშაობის დაწყებამდე და მიდიან, როდესაც ქარხანაში წყდება მუშაობა, მუშების წასვლის შემდეგ.

ტყავტრესტის ფაბკომში

◆ **შეფი მუშაობს.** ტყავტრესტის საშეფო საზოგადოება ამ მოკლე ხანში გადაგზავნის სოფლებში სხვადასხვა ლიტერატურულ წიგნებს და გაზეთებს.

◆ **თანხის გადიდება.** ტყავტრესტის ფაბკომმა სთხოვა ცენტრალურ კავშირს გაადიდოს მუშათა კლუბის თანხა 600 მან.

◆ **ტყავტრესტის ფაბკომმა სთხოვა** ცენტრელურ კავშირს სამკითხველოსათვის წიგნების შესაძენად ყოველთვიურად მისცეს 30 მან.

◆ **ვინაიდან ტყავტრესტის** მუშათა კლუბში შეფერხებულია წითელი კუთხის მუშაობა, ფაბკომმა დაავალა საქველმოქმედო საზოგადოებას გამოაცოცხლოს წითელი კუთხის მუშაობა.

საბინაო მშენებლობა

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური კომისია ამხ. ყურულაშვილის თავმჯდომარეობით იხილავს საბინაო კავშირის პროექტს ორთაჭალის, ვერის და პლეხან. რაიონებში მუშებისათვის სახლების ასაშენებლათ. სახლები იქნება სამ სართულიანი 12—24 ბინით.

პირველ რიგში აშენებულ იქნება ტყავეულობის და საპნის ტრესტის მუშების სახლი ორთაჭალაში. გარდა ამისა ორთაჭალაში სწარმოებს ძველი მუშათა სახლის შეკეთება.

ქრონიკა

— **ფილიპე მახარაძის სახელობის უბანი.** საბურთალო - ახალშენის მცხოვრებთა მიერ საქ. გასაბჭოების ხუთი წლის თავის აღსანიშნავად რვა მარტს გამართულ კრებაზე დაადგინეს—საბურთალო-ახალშენს ეწოდოს ფ. მახარაძის სახელობის უბანი.

◆ **ცეკავშირის რწმუნებულთა მე-11 ყრილობა,** რომელიც უნდა გახსნილიყო გუშინ საღამოს, გაიხსნება დღეს დილის 10 საათზე, თბილისის ალმასკომის სათათბირო დარბაზში.

თბ. ალმასკომში

◆ **საბინაო გადასახადი.** საგადასახო განყოფილების ცნობით, 1 მარტამდე აკრეფილია საბინაო გადასახადის 50 პროცენტი.

◆ **ალმასკომის კეთილმოწყობის** განყოფილება ამ დღეებში დაასრულებს ზვავის საწინააღმდეგო არხის გაყვანას მთაწმინდის რაიონში.

◆ **ელსადგური.** ალმასკომმა დაამთავრა თიონეთის ელსადგურის შეკეთება.

კრებები და მოხსენებები

◆ **განათლების მუშაკთა სახლში.** კვირას, 14 მარტს, დილის 10 საათზე, განათლების მუშაკთა სახლი მართავს ექსკურსიას რევოლიუციის მუზეუმში. მსურველნი უნდა შეგროვდენ გ. მ. სახლში დანიშნულ დროზე.

◆ ორშაბათს, 15 მარტს, საღამოს 8 საათზე, ამხ. კონსტანტინე კაპანელი გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „რეფლექსოლოგიის პრინციპები პედაგოგიაში".

◆ **ქართულ სამეცნიერო საზოგადოების** მორიგ საჯარო სხდომაზე, სამშაბათს, 16 მარტს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს მუზეუმის სააუდიტორიო დარბაზში, ვარ. თოფურია წაიკითხავს მოხსენებას: „ზოგიერთ ქართულ სიტყვის (ცეცხლი, ზამთარი, ქმარი...)) ეტიმოლოგია".

კოოპერაცია

◆ **თბ. მუშათა კოოპერატივებში** უკანასკნელ ცნობების მიხედვით ირიცხება 15.649 წევრი.

◆ **სასოფლო-სამეურნეო** ნაწარმოებების გადასამუშავებლად ცეკავშირს მთელ საქართველოში მოწყობილი აქვს 9 წარმოება.

◆ **ცეკავშირის ძეხვის ქარხანამ,** 11 თვის განმავლობაში დაამუშავა 26.129 მანეთის ძეხვი.

◆ **კაკლეულობის დამზადება.** ცეკავშირმა საზღვარგარეთ გასატანათ დაამზადა 10 ათასი ფუთი კაკლეულობა.

◆ **სპირტის დამზადება.** გასულ წელს წარმოკავშირმა დაამზადა 2 მილიონი გრადუსი სპირტი.

სხვადასხვა

◆ **საინჟენერო-ტეხნიკურ ძალთა** ბიურო ამჟამად მთელ საქართველოში აერთიანებს 657 კაცს.

◆ **თბ. ფიზკულტურის** წრეებში ამჟამად ითვლება 1.257 კაცი, პროფკავშირის წევრი, მათ შორის 237 ქალია.

◆ **ინფუენცა.** ერთი კვირის განმავლობაში (1-7 მარტამდე) ახალ მოარულ ავადმყოფობით (ინფლუენცა) ავათ გახდა 479 მოქალაქე.

◆ **ტყის გადაცემა.** საქართველოში დღემდე გლეხობას გადაეცა 132.514 დეს. ადგილობრივი მნიშვნელობის ტყე.

შემთხვევები

ბავშვის გაჭყლეტა

გუშინ, საღამოს 7 საათზე, შტაბის ქუჩაზე, (თავისუფლების მოედანთან), ტრამვაის ვაგონმა, რომელსაც მართავდა ვატმანი გრიგორაშვილი. გასრისა 13 წლის ბავშვი. გვამს გადაუარა წინათვლებმა, რომლის შემდეგ ვაგონი გაჩერებულ იქნა. ვატმანი მილიციამ დაატუსაღა. ტრამვაის ადმინისტრაციამ მიიღო სასწრაფო ზომები, რონოდის ასაწევად და ბავშვის გვამის განსანთავისუფლებლად. სწარმოებს გამოძიება.

◆ **რძალიც ასეთი უნდა.** სოფ. ნე-ობხარაბაში (ქვემო წალკის რაიონი), ფეოპისტე კიუბჩევისამ რძეში საწამლავის ჩაყრით, მოსწამლა თავის დედამთილი იულიანა, მამამთილი ალექსი და მაზლი კონსტანტინე კიუბჩევები. იულიანა და ალექსი უვნებლათ გადარჩენ, ხოლო მაზლს კონსტანტინეს, რომელსაც დაელია ორი ჭიქა მოწამლული რძე, დამწვარი აქვს შიგნეულობა და აღებიებს სისხლს. დამნაშავე შეიპყრეს თავის დედით აგალათიით, რომელსაც ბრალდება ხელისშეწყობა აღნიშნულ ბოროტმოქმედებაში.

◆ **ყუმბარის მსხვერპლი.** 8 მარტს, ყარაიაზის თემში, სოფ. ახალშენში, მარტყ. მცხოვ. შაქრო ჰარიკაშვილმა იპოვა ყუმბარა, რომელიც გაუსკდა ხელში და იქვე მოჰკლა.

◆ **თავის ჩამოხრჩობა.** 11 მარტს, ღამის 12 ს., ბაგრატიონის ქ., № 1, თოკით თავი ჩამოიხრჩო სათენიკა ვართანოვისამ (41 წ.). მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **მტკვარში დახრჩობა.** 11 მარტს, დილის 11 ს., მეტეხის ხიდიდან მტკვარში გადავარდა მიხეილ ხუციევი და დაიხრჩო. გვამი იმავე დღეს იპოვეს საზამთრო მოედანთან დაბახანის მუშებმა.

◆ **თავის მოწამვლა.** 12 მარტს, დღის 1 ს., პანასევიჩის ქ., № 13, თავი მოიწამლა იოდით თამარ გველესიანმა (24 წლისამ). მიზეზი გამოურკვეველია.

◆ **წამლის მაგიერ საწამლავი.** 12 მარტს, (ჩერქ. ქ., № 37,) ავადმყოფ ონიკ იუზბაშევს ექიმმა გამოუწერა წამალი, და მე-7 საბჭოთა აფთიაქიდან ნაცვლად გლაუბერის მარილისა მიუცკიათ ბერტოლეს მარილი, რის გამო მოიწამლა და ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა.

◆ **ქურდი ცოლი.** 11 მარტს, ტრამვაის შესახ., № 10, მცხოვ. ანთაზ უსუპოვმა განაცხადა მილიციაში, რომ მისი სახლში არყოფნის დროს, სახლიდან გაპარულა მისი ცოლი და თან წაუღია 300 მან. ნივთები.

◆ **დაჭრა.** 12 მარტს, საღამოს 10 ს., სადგურის ქ., № 24, საჩაიეში, გიორგი ქათამაძემ დანით მძიმეთ დაჭრა სევერიანე ნინუა.

◆ **ქვები ოქროს მაგიერ.** სურფ-სარქისის ქ., № 55, მცხოვ. მოქ. მავრობიდიმ განუცხადა მილიციას, რომ მან ბაზარში უცნობი პირისაგან იყიდა 1.000 მანეთად ოქროულობა, მაგრამ როცა მიიტანა სახლში, ყუთში აღმოჩენილა უბრალო რიყის ქვები.

◆ **ქურდობა.** 9 მარტს, პეტრ. ქ., № 6, გაქურდეს თეოფილე აგლაძის ბინა.

◆ მბეჭდავთა კავშირის კლუბთან, ამავე დღე მოიპარეს სხვადასხვა ნივთები და ფული 20 მან.

◆ 11 მარტს, მორგებული გასაღების საშუალებით, ელისაბედის ქ., № 76, გაქურდეს აკაკი ფაღავას სახლი, საიდანაც წაიღეს 250 მან. ნივთები.

◆ 12 მარტს, დილით, გატეხეს მეჟევოის ქ., № 1, თათიეს საკოვის ფურნე.

◆ 11 მარტს, გაქურდეს კონსტანტინე მოდებაძეს ბინა.

საბჭოთა სასამართლო

ზაქარია ზირაქაშვილის საქმე.

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. **ბერიშვილის** თავმჯდომარეობით გაარჩია შოფერი **ზაქარია ზირაქაშვილის** საქმე.

ზირაქაშვილს ბრალად ედებოდა ავტომობილით ბავშვის გაჭყლეტა.

სასამართლოში ბრალდებულმა თავი არ სცნო დამნაშავედ.

ექსპერტიზის დასკვნით, ავტომობილის ნაწილები დაზიანებული არ იყო. ბრალდებულს არ მიუცია გამაფრთხილებელი ნიშანი.

სასამართლომ ბრალდება დამტკიცებულად სცნო და მიუსაჯა ზირაქაშვილს თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით.

დახვრეტა გაფლანგვისათვის.

საქართველოს ცაკმა უარი უთხრა შეწყნარებაზე გეგეჭკორს, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოს სასამართლომ კოოპერაციის ფულის გაფლანგვისათვის დახვრეტა მიუსაჯა.

განაჩენი სისრულეშია მოყვანილი.

ხელოვნება

სიმღერის მასწავლებელთა კონფერენცია

ორშაბათს, 15 მარტს, განათლების მუშაკთა სახლში, საღ. 7 საათზე გაიხსნება თბილისის შრომის სკოლების სიმღერის მასწავლებელთა კონფერენცია, რომელზედაც მოწვეულნი არიან სკოლების გამგეები, სათანადო დაწესებულებების წარმომადგენელნი, მუსიკოსები. განხილული იქნება საკითხი სკოლებში სიმღერა-მუსიკის სწავლების საუკეთესო ნიადაგზე დაყენების შესახებ და გამომუშავებული შესაფერი პროგრამა. განზრახულია სიმღერა-მუსიკა სკოლაში ისეთივე სავალდებულო საგნად იყოს, როგორც სხვა საგნები, ამით მკვიდრი საფუძველი ჩაეყრება ჩვენს მომავალ სამუსიკო კულტურას.

საინიციატივო ჯგუფის დავალებით კონფერენციაზე ი. კარგარეთელი წაიკითხავს სიმღერა-მუსიკის მნიშვნელობის შესახებ საზოგადოდ და სწავლა-აღზრდის საქმეში—კერძოდ მოხსენებას.

ახალი პროგრამის გასატარებლად განზრახულია მოეწყოს კურსები იმ მასწავლებელთათვის, რომელთაც შესაფერი მომზადება აკლიათ.

კ. მაღრაძე.

ხელოვნების ქრონიკა

◆ **სიმღერა-მუსიკის მასწავლებელთა** პირველი კონფერენცია დანიშნულია ორშაბათს, 15 მარტს, განათლების მუშაკთა სახლში.

◆ **მუშათა ახალ კლუბთან** ეწყობა ტანთსავარჯიშო დარბაზი.

◆ **ს. ინაშვილი** დღეს იმღერებს ოპერა „კარმენ"-ში.

◆ **ცირკში** დღეს გაიმართება გრანდიოზული წარმოდგენა საუკეთესო ძალების მონაწილეობით.

◆ **„მზის დაბნელება".** დღეს, რუსთაველის თეატრში უკანასკნელად ამ სეზონში, წარმოდგენილი იქნება „მზის დაბნელება".

◆ **ოპერა მუშათა კლუბში.** სამშაბათს, მუშათა ცენტრ. კლუბში ოპერის დასის მიერ წარმოდგენილი იქნება „სევილიელი დალაქი".

◆ **„ვინ არის დამნაშავე".** დღეს, წითელ თეატრში წარმოდგენილი იქნება ნინო ნაკაშიძის პიესა „ვინ არის დამნაშავე".

◆ **ძმ. ტანტეების** გასტროლები ამ დღეებში დაიწყება ცირკში.

◆ **ალ. ჩერქეზიშვილის იუბილე.** ორშაბათს, 5 აპრილს, ოპერის თეატრში გაიმართება დამსახურებულ მსახიობის ალ. ჩერქეზიშვილის 40 წლის იუბილე.

◆ **კონსერვატორიაში,** ორშაბათს, 15 მარტს, გაიმართება კონსერვატორიის მოწაფეთა მე-4 ღია საღამო, რომელზედაც შესრულებული იქნება ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებანი.

დღეს კინოებში

◆ **სოლეი**—„ნიბელუნგები".

◆ **არფასტო**—იგივე.

◆ **მინიონი**—„ტროის დაცემა".

◆ **აპოლო**—„ინსურგენტკა".

ფიზიკური კულტურა

ფეხბურთი

„დინამო"—„პოლიტეხნიკუმი"

დღეს, 1 საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება „დინამო"-ს და სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდის ამხანაგური შეჯიბრება.

„დინამო"-ს შემადგენლობა ასეთია:

ცომაია, თედეევი, პიტერსკი, ანიკინი, ბლანკმანი, ვოლკოვი, ამბუკაძე, ჟორდანია, გალპერინი, იზიუმსკი და ცომაია ლ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულიარულად

ა.-კ. სახალხო კომისართა საბჭოს გასული წლის ნოემბრის 19-ს დადგენილებით, № 59, ა.-კ. შინა-ვაჭრობის კომისარიატისა და მის ადგილობრივ ორგანოებს დაკისრებული აქვთ თვალყურის დევნება იმაზე, რომ ყველა სავაჭრო ორგანიზაციები როგორც სახელმწიფო-კოოპერატიული, ისე კერძო პირები სავსებით იცავდენ იმ საეტიკეტო ფასებს, რომელიც შინა-ვაჭრობის კომისარიატის მიერ არის დაწესებული.

ამავე დროს კი როგორც ა.-კ. შინავაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს, ისე სხვა ხელმძღვანელი ორგანოების მიერ ამ უკანასკნელ ხანებში მოხდენილ გამოკვლევებმა დაგვანახა, რომ როგორც კოოპერატიული და სახელმწიფო ორგანოების, ისე კერძო პირების მიერ გასასყიდი ფასები თითქმის ყველა საქონელზე ბევრად აღემატება იმ საეტიკეტო ფასებს, რომელიც დაწესებული იყო შინა-ვაჭრობის ორგანოების მიერ. ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც გასასყიდი ფასი ამა თუ იმ საქონლისა საეტიკეტო ფასებს 30 და მეტი პროცენტითაც აღემატება ხოლმე.

ეჭვს გარეშეა, რომ სავაჭრო ორგანიზაციების მიერ საეტიკეტო ფასების დარღვევა თუ ერთის მხრით იძულებულს ხდის მომხმარებელთა ფართო მასას დაწესებულ ფასზე უფრო ძვირად შეისყიდოს საქონელი, მეორეს მხრით ფასების ამგვარი დარღვევა სავსებით ძირს უთხრის შინა-ვაჭრობის სახკომატის იმ პოლიტიკის გატარებას, რომლის მიზანიც არის მთელ რიგ სხვა სამრეწველო საგნებზეც თანდათანობით საეტიკეტო ფასების დაწესება.

ვინაიდან აღნიშნული მოვლენა არსებითად ეწინააღმდეგება საბჭოთა ხელისუფლების სავაჭრო პოლიტიკის ხაზს და აგრეთვე იწვევს შინაური ბაზრის სრულ დეზორგანიზაციას — ა.-კ. შინა-ვაჭრობის რწმუნებულის სამმართველო და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი წინადადებას აძლევენ ყველა სამაზრო და საქალაქო ალმასკომებს ფხიზლად ადევნონ თვალყური სახელმწიფო-კოოპერატიულ და კერძო ვაჭრების მიერ საეტიკეტო ფასების დარღვევას და ყოველ ცალკე შემთხვევაში დამნაშავენი პასუხისგებაში მისცენ სავალდებულო დადგენილების დარღვევისათვის.

გარდა დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემისა ადგილობრივ პრესაში გამოქვეყნებულ უნდა იქნეს იმ დაწესებულებათა და პირთა სახელწოდება და გვარი, ვინც პასუხისგებაში იქნება მიცემული საეტიკეტო ფასების დარღვევისათვის.

საქალაქო და სამაზრო ალმასკომები ვალდებული არიან ხსენებული კონტროლი საეტიკეტო ფასების დარღვევაზე განახორციელონ თავისი ადმინისტრატიული ორგანოების მეშვეობით და სისტემატიურად გადმოუგზავნონ ა.-კ. შინა-ვაჭრობის რწმუნებულის სამმართველოსა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს ცნობები საეტიკეტო ფასების შემჩნეულ დარღვევათა და პასუხისგებაში მიცემულ დაწესებულებათა და პირთა ვინაობის შესახებ.

ამა ცირკულიარის მიღება გვაცნობეთ.

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახკომის რწმუნებული საქართველოში **გამყრელიძე.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი— **მათიკაშვილი.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი ორშაბათს, 15 მარტისთვის რაიკომის საღრიცხვო ქვეგანყოფილებაში საკანდიდატო ბარათების მისაღებათ იწვევს შემდეგ ამხანაგებს:

უჯრ. № 1—ივანე ლეკოვსკი, დიმიტრი მალოფეევი. უჯრ. № 5 — მიქელაძე ალექსანდრე. უჯრ. № 12—ალბერტ სირმანი. უჯრ. № 14. რიპსიმე პერიხანიანი უჯრ. № 18.—ჯალილ მაქსიმოვი, მარიამ აბრამოვა, ნინა სტეფანოვა იზმაილ ეფენდიევი, სერგო ბარამიძე, ვლადიმერ ბოკერაია, აბდულ რონსკი, კაზიმირ კასუმოვი, ვასილ ანდრიუშინი. უჯრ. № 19—იულიან ციკოლია, გაიკ ადამიანი, ევსტაფი ივანოვი, არმენაკ ამბარიანი, შალვა თოდრია, ივანე დათუაშვილი, ვარდენ ჯაჩაევი, იონა კრუაშვილი. უჯრ. № 20—პეტრე დოროფინკელი, ეგნატე იუზეფოვიჩი, ვაგრამ კარაპეტიანი, კონსტანტინე ხარაჯევი. უჯრ. № 22—გრიგოლ ნონეზოვი. № 27—ანაიდა ეგიაზაროვა. უჯრ. № 48—აბრამ ჯაბაშვილი, უჯრ. № 49—რუბენ დავიდოვი, ქსენია მონჩენკო. უჯ. № 54—სერგია შაფიროვი. უჯრ. № 18 ნინა სტეფანოვა.

ქალაქის რაიკომი.

— თბილისის კომიტეტის საღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს გამოცხადდენ შემდეგ ამხანაგებს:

1) გრიგოლ ვლადიმერისძე გუშაჩინი, 2) მელიტონ სოსიასძე ჩიკვაიძე, რუბენ ავაკიმისძე ტერ-აკოფოვი, 4) იაკობ გაენლოვისძე გრიგორიანცი, 5) გერასიმე ტრიფონისძე კუბლაშვილი, 6) ნიკოლოზ გიორგისძე ხუბულაშვილი, 7) პლატონ პროკოფისძე საველიევი, 3) ნიკოლოზ გაბრიელისძე ალბუზოვი, 9) ანატოლი ბენედიქტესძე ოსტროუმოვი, 10) ივანე ნიკოლოზისძე ურიგაშვილი, 11) მიხეილ ივანესძე ფასიანინი, 12) ივანე მიხეილისძე სირაძე, 13) იოსებ მელკონისძე მაკაროვი, 14) დავით ილიასძე იაშვილი, 15) გიორგი როსტომისძე ანოსაშვილი, 16) ვასილ გიორგისძე მირიანაშვილი, 17) კონსტანტინე პლატონისძე გაბუნია, 18) ანიფანტ გიორგისძე ოქროტაძე, 19) ნესტორ ნიკიფორესძე გოლემბიოვსკი, 20) ელიაზარ გრიგოლისძე ქავთარაძე, 21)სევერიან ალექსისძე გელია, 22) ალექსანდრე ნიკოლოზისძე მეცხვარიშვილი, 23) ნიკოლოზ ოქროპირისძე ჭელიძე, 24) მაკრატ კარაპეტისძე მნაცაკანოვი, 25) არჩილ დავითისძე კვერნაძე, 26) მაქსიმ მათესძე გვინინი, 27) რაციხან ავეტისძე კოროკოსიანი, 28) ლიდია იოსების ასული ხუბაშვილი, 29) ბენიამ ანტონისძე დოლიძე, 30) ივანე ზაქარიასძე ბაღდადიშვილი, 31) სტეფან დიმიტრისძე კაზაროვი, 32) სტანისლავ ეგორისძე მილენსკი, 33) გრიგოლ ფილდორისძე თარხანოვი, 34) ტერენტი დიმიტრისძე ლუბაჩენკო, 35) ალექსანდრე ეფიმასძე ლეონიდოვი.

— სახელმწიფო უნივ. ახ. ლენ. კ. კ. ბიურო კოლექტივი ამით აცხადებს ყველა უჯრედების წევრების და კანდიდატების საყურადღებოდ, რომ კვირას, 14 მარტს, დღის 12 საათზე, მოწვეულია უჯრედების გაერთიანებული კრება.

დასწრება ყველა წევრების და კანდიდატების სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

— სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო აცხადებს უჯ. წევრთა საყურადღებოთ, რომ ამა წლის 16 მარტს (სამშაბათს) საღამოს 5 საათზე მოწვეულია გაერთიანებულ კომუჯრედთა არაჩვეულებრივი კრება.

დღის წესრიგი: ცალკე უჯრედთა ბიუროების არჩევნები. დასწრება სავალდებულოა.

გაერთ. კომუჯრედთა ბიურო.

— ავიოქიმის მეორე რაისაბჭო იუწყება, რომ დღეს, 14 მარტს, დილის 11 საათზე მუშათა ცენტრალური კლუბის ბინაზე შესდგება საბჭოს სხდომა უჯრედების მდივნებთან ერთად.

სავალდებულოა ყველა მდივნების და საბჭოს წევრების გამოცხადება დაუგვიანებლად.

მდივანი ფანცულაია.

— ლენრაიკომის მ/გ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილება გაცნობებთ, რომ 15 მარტს ორშაბათს საღამოს 5 საათზე შესდგება პროფესიონალური, იურიდიული და კოოპერატიული სექციების მეცადინეობა ქართულ ენაზე ლენინის რაიონში, რკ. გზის საბავშო მე-3 კერაში (მაგისტრალის ქ. № 19).

დასწრება ყველა დელეგატების სამეცადინოთ სავალდებულოა.

— სამშაბათს, 16 მარტს საღამოს 5 საათზე შესდგება ქალთა ორგანიზატორების მეცადინეობა ლენრაიკომის ბინაზე. დასწრება ყველა ქალთა ორგანიზატორების სავალდებულოა.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის საღრიცხვო - განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ საღრიცხვო ქვე-განყოფილებაში:

№ 39 უჯრედიდან—1) თოფურია, 2) გეგენავა, 3) ჯანჯღავა, 4) კუხალეიშვილი

ქალაქის რაიკომი.

სამშაბათს, ა/წ. 16 მარტს, დილის სრულ 9 საათზე, შედგება საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის აგიტპროპკოლეგიის სხდომა თბილისის კომიტეტის მდივნის ამხ. ასრიბეკოვის კაბინეტში.

ა. წ. 12 მარტს, დილის 8 საათზე უეცრად გარდაიცვალა

ნიკოლოზ (კოლია) გურგენის ძე
მდივანი

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ გულმოკლული დედა ოლღა, ძმები: სიმონ, ბუდუ, და ცაცა და რძლები: ნელლი, მარიამ, თამარ შვილებითურთ. გამოსვენება დღეს, 14 მარტს, 12 საათზე, საკუთარი ბინიდან (სასამართლოს ქ., № 43). დაკრძალვა ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე.

1853 1—1

სალომე ქაიხოსროს ასული ლორთქიფანიძისა შვილებით: ოლიმპიადა, დავით და მიხეილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ამა მარტის 12-ს, დილის 8 საათზე, გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ნიკოლოზ გურგენის ძე
მდივანი

დაკრძალვა მოხდება 14 მარტს, 12 საათზე. 1865 1—1

---

10 მარტს, ღამით გარდაიცვალა

დავით ბესარიონის ძე ზედგენიძე

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს მეუღლე ვერა სტეფანეს ასული და ძმა ივანე ბესარიონის ძე ზედგენიძეები. გამოსვენება მთავარ საავადმყოფოს ნიშიდან (ყოფილი მიხეილისა) დანიშნულია კვირას, 14 მარტს შუადღის 12 საათზე. დაკრძალვა მოხდება ნიკოლოზის ვერის სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებული და გულდათუთქული კონსტანტინე მოსეს-ძე, მოსე გლახუნის-ძე, ილიტა ანტონის [illegible]-ძე და შუშანა მოსეს ასული ვაშაკიძეები ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 11 მარტს, დილის 6 საათზე, ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველისთვის საყვარელი მეუღლე და დანარჩენთათვის მუდამ სახსოვარი და გულიდან ამოუშლელი რძალი

მარიამ გიორგის ასული
ვაშაკიძისა

გამოსვენება მოხდება კვირას, 14 მარტს, არამიანცის სახელობის საავადმყოფოდან დილის 12 საათზე, საიდანაც მიცვალებულს წაასვენებენ ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1844 2—2

ღრმად დამწუხრებული ნათლია ივანე გულვანის ძე ანთაძე მეუღლითურთ მაშიკო სამუილის ასული და შვილებით—აკაკი, ელენა, თამარა და მარგალიტა ანთაძეები, სიდედრით მარიამ ალმასხანის ასული ლომაძეთი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებთ მათთვის დაუვიწყარ ახალგაზრდა სტუდენტის

თეიმურაზ აბესალომის ძე
ლოგორჯგინიძის

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება 14 მარტს, კვირას, შუადღის 4 საათზე, სოფელ ჯურუკვეთში (ოზურგეთის მაზრა).

1858 1—1

გაუნელებელ მწუხარებაში მყოფნი: კოსტა ხოფერია, შვილები: საშა, მიშა, მაცა, კოკოჩა, ბოჩია და ნინა ამით აუწყებენ ნათესავთ-მეგობრებს, რომ გარდაცვალების წლისთავზე ა. წ. მარტის 16-ს, წმინდა გიორგის ეკლესიის სასაფლაოზე იქნება გადახდილი პანაშვიდი, პირველის დაუვიწყარ მეუღლის და შვილის, ხოლო დანარჩენების დედის და დის

მარიამ ბოკუჩავა-ხოფერიასი
და
ლიუსია ხოფერია-პილასონიასი

სულის მოსახსენებლად. ნ. 902 1—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე დავით ესეს-ძე, შვილები მიშა, ელენე გოგიბერიძისა და მარო უნგიაძისა შვილებით; რძალი კატო მიხეილის ასული; შვილიშვილები ვერიჩკა, დათიკო მეუღლე ნინათი და პატარა რეზიკოთი, სიძე ვიქტორ გოგიბერიძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ალათი გიორგის ასული
მინდაძისა

დაკრძალვა მოხდება სოფ. ერკეთში (გურია), სამშაბათს, მარტის 16-ს, ნაშუადღევის 2 საათზე. 1848 1 1

კვირას, 14 მარტს, ვერის ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარის

დარია ალექსანდრეს ასული
ჩერქეზიშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე ლევან ლევანის ძე, შვილებით ელენე ივანეს ასული და ივანე ლევანის ძე ჩერქეზიშვილები. პანაშვიდის დასაწყისი 1 ნახ. საათზე. 1860 1—1

ღრმად დამწუხრებული: მეუღლე ილიტა ტიმოთეს ასული, [illegible]ლები: სამსონი და ელენე; სიძეები: კონსტანტინე გაბრიელის ძე ცაგარელი და გიორგი გარსევანის ძე რატიანი შვილით აჩიკოთი, აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ დაუვიწყარი და საყვარელი

კლიმენტი ივანეს ძე არზიპოვის

წლის წირვა გადახდილი იქნება კვირას, 14 მარტს, ხოლო პანაშვიდი ამავე დღეს 12 საათზე. თბილისში ალექსანდრე-ნევის ეკლესიაში (ნიკოლოზის და კირკის ქ. კუთხე). 1852 1—1

მამა ეგნატე, დედა ნადია, ბიძა შონია, ბებია ვარდოფინე, ძმა ალექსი, მამიდა მარიამი, ბიცოლა ციორო, ბიძაშვილები მერი და ზეზიკო ინგოროყვები, მამიდა იაზდარ და მამიდაშვილები ალიომა და ლოლა დვალიშვილები, ბებია ოლღა და ბიძა ბიქტორი ალიაშვილები გულდათუთქული აცნობებენ ნათესავთ და მეგობართ მათთვის უძვირფასესი

ეთერი (ეთიკო) ეგნატეს ასული
ინგოროყვას

უდროოდ გარდაცვალებას, გამოსვენება მსროლელთა ქ. № 13, კვირას, 14 მარტს, ნაშუადღევის 5 საათზე. დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე 1854 1 1

ღრმად დამწუხრებული და გულდათუთქული შვილები: სანდრო, მარკოზი, ელიზბარი და მიშა ოქროპირის-ძე მაჩაიძეები ამით აუწყებენ ყველა ნაცნობებს და ნათესავებს, რომ პარასკევს, 12 მარტს, გარდაიცვალა მათთვის დიდი იმედი და დაუვიწყარი დედა

კვიზო მარკოზის ასული
მაჩაიძისა

გამოსვენება მოხდება დღეს, 14 მარტს, რკინისგზის საავადმყოფოდან დღისით 1 საათზე. მიცვალებულს წაასვენებენ წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 185 1—1

რუსთაველის თეატრი დღეს, 14 მარტს
უკანასკნელად ამ სეზონში
მზის დაბნელება საქართველოში
სამშაბათს, 16 მარტს,
პირველად ქართულ სცენაზე
პრემიერა პანტომიმა
მზეთა-მზე
თ. ვახვახიშვილის.
საოპერო სტუდიის ორკესტრი.
დადგმა: კ. მარჯანიშვილის და ს. ახმეტელის.
ნ. 906 1—1

სახელმწიფო ოპერა დღეს, 14 მარტს,
სანდრო ინაშვილის
გასტროლი
კარმენ
ესკამილიო-ტორეადორი—სანდრო ინაშვილი
1—1 ნ. 905

წითელი თეატრი კვირას, 14 მარტს,
მესამედ
ნ. ნაკაშიძე
ვინ არის დამნაშავე
დადგმა ალ. წუწუნავასი
დეკორაციები მხ. შავიშვილისა
ადგილების ფასი სახალხოა
დასაწყისი სალ. 8 საათზე
დასის ადმინისტრატორი ნ. ჭანკვეტაძე
1—1 ნ. 900

გაზ. „კომუნისტი"-ს
მთავარი კანტორა,
ამა მარტის 15-დან
გადადის ახალ ბინაზე
(რუსთველის პროსპ. № 34)
სადაც მიიღება ხელის მოწერა და განცხადებები.
6—2. მთავარი კანტორა.

გრძელდება ხელისმოწერა
ვეფხის ტყაოსანზე
სარგის კაკაბაძის რედაქტორობით
სამეცნიერო გამოცემის ცდა. ძირითადი ტექსტი ყველა დამატებებით და სრული ვარიანტებით 12 საუკეთესო ხელნაწერის მიხედვით, გამოკვლევით და ლექსიკონით (სულ 460—480 გვერდამდის). წიგნს დართული ექნება მრავალი სურათი, ფასი ხელისმოწერით 4 მან. გამოსვლის შემდეგ წიგნი მეტი ეღირება. ხელისმომწერთ ეხლავე შემოაქვთ 2 მან. ხელისმოწერა მიიღება თბილისში თვით გამომცემელ სარგის კაკაბაძესთან, ლენინის ქ. 48 (ტელ. 19—79 და აგრეთვე მანდატით აღჭურვილ წარმომადგენლებთან. პროვინციიდან ვინც ეხლავე წიგნს ხუთი ხელისმომწერისთვის დაიკვეთს და თუმანს შემოიტანს, მეექვსე წიგნს მიიღებს უფასოდ. 1845 2-2

ახლად ამ სეზონში
მეამბოხე ქალი
კონსტანც ტოლმეჯის და კონვეი ტრილის მონაწილეობით.
ანონსი: ამ დღეებში „ჯვარი და მაუზერი"
აპოლო
არტისტიკო
სოლეი
მსოფლიო შედევრი
„ნიბელუნგები"
(კრიმგილდას შურისძიება)
3 და 4
სერია
1-ლი სეანსის დასაწ. 6 საათ.
2-რე—9 საათზე
სალ რო ლიაა 4 ნახ. საათიდან.
0—7 ნ. 869

ხელისმოწერლებმა
ყოველგვარი
ცნობებისათვის
უნდა მიმართონ
„კომუნისტი"-ს
მთავარ კანტორას
რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი № 10—49

სამხედრო და საზღვაო სახ. კომისარიატის ფონდების აღრიცხვის და რეალიზაციის ბიუროს რწმუნებული კავკასიის წითელდროშოვან არმიის რაიონში
აცხადებს ყველა
სახელმწიფო წარმოებების
და
სახელმწიფო მრეწველობათა
საყურადღებოთ, რომ აღმრიცხავ ბიუროში გასასყიდათ შემოვიდა დიდი რაოდენობის მსუბუქი და საბარგო ავტომობილები, მოტოციკლეტები და მათი ნაწილები. ქონების დასათვალიერებლად და ცნობების მისაღებათ უნდა მიმართოთ ბიუროს რწმუნებულს სამშაბათობით და პარასკევობით, უქმე დღეებს გარდა, დილის 10-დან 11 საათამდე (ჯორჯიაშვილის ქუჩა № 10)
3—1 ნის. 903

გაზ. „კომუნისტი"-ს
ხელისმომწერთა საყურადღებოთ
გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს როგორც ადგილობრივ, ისე პროვინციის ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, გამოუგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ან შეგვატყობინონ ქვითარის №, რომლითაც გამოწერილი აქვთ. მისამართების გამოცვლა იწვევს კანტორის მხრივ ზედმეტ ხარჯებს (მისამართების ხელმეორედ დაბეჭვდა, დაჭრა, ქაღალდი) და ამიტომ მათი (ხარჯების) დასაფარავათ მისამართების შეცვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ კანტორაში 25 კ. (შეიძლება საფოსტო მარკებით), წინააღმდეგ შემთხვევაში ამ გვარი წერილები უყურადღებოთ იქნება დატოვებული.
0 2 მთავარი კანტორა

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი"
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.
0—14

АЛКОГОЛЬНАЯ
ВЫТЯЖКА
из
СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ
ЖИВОТНЫХ
ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКИЙ
ОТДЕЛ
ЛАБОРАТОРИИ
„ГАЛЕН-МОСКВА“
в МОСКВЕ
СПОСОБ УПОТРЕБЛЕНИЯ
ВНУТРИ КОРОБКИ

ВЫТЯЖКА из СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ „СЕКАРОВСКАЯ ЖИДКОСТЬ“

ავადმყოფობათა წამლობა

პროფესორ ბროუნ სეკარის წესის მიხედვით.

„გამონაწური სათესლე ჯირკვლებიდან“.

„გალენ-მოსკოვის“ კოოპერატივის ორგანოთერაპევტიულ ლაბორატორიისა, ნებადართული ჯანმრთ. სახკომისარიატის მიერ № 8362 დამზადებული პროფესორ ბიუხნერის საშუალების მიხედვით ახალ სათესლე ჯირკვლებიდან.

გამონაწური სითხე ჯირკვლებიდან ძალიან შველის: ნერვების აშლილობას ყოველი სახის ნევრასტენიას, სხეულის მოდუნებას, სიბერისგან დაავადებას, სხეულის სისუსტეს ავადმყოფობის შემდეგ როგორც მაგალითად: ტიფი, ინფლუენცა, ათაშანგი, მშობიარობის შემდეგ ავადმყოფობა, არტერიოსკლეროზულ მილების ცვლილება, პოდაგრა, სქესობრივი უძლურების ყოველგვარი სახე. კონსტიტუციონალური დაავადებანი: სისხლის ნაკლულება, ქლიქი, შაქრის ავადმყოფობა, ხერხემალის ანთება და სხ. მრავალი, წამალს ადვილად ითვისებს სხეული და არაფერს ვნებს პირდაპირი ავადმყოფობის გარეშე.

АЛКОГОЛЬНАЯ
ВЫТЯЖКА
из
СЕМЕННЫХ ЖЕЛЕЗ
ЖИВОТНЫХ
LIQUOR TESTICULORUM
SPIRITUOS
ОРГАНОТЕРАПЕВТИЧЕСКИЙ ОТДЕЛ
ЛАБОРАТОРИИ
„ГАЛЕН МОСКВА“
в МОСКВЕ

სეკარის სითხე იყიდება სააფთიაქო სამმართველოს სახელმწ. მედიკ. სავაჭროს და წითელი ჯვრის ყველა აფთიაქ. და მაღაზიებში. ფლაკონის ფასი 2 მ. 50 კ., ვინც 4 ფლაკონს და მეტს გამოიწერს, მას გადასაგზავნი ფული არ გადახდება, ფოსტით გაიგზავნება იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება ბე 25 პროც. კორესპონდენც. და შეკვეთა უნდა გაიგზავნოს მისამართით: კოოპერატივ „გ ა ლ ე ნ ი ს“ ა.-კ. წარმომადგენლობა, თბილისი, თავისუფლების მოედ. № 2. **Адрес:** Зак. представит. кооп. „Гален“ Тифлис площадь своб. № 2 Караван-Сарай Тамамшева, вход напротив быв. гостиниц. „Кавказ“. Гл. Скл. для СССР. торг. отд. Кооперат. „Гален-Москва“ Москва ул. Герцена № 5 отд. 3. Б. 862 0—4.

თბ. კომუნალური ბანკის გამგეობა

აცხადებს, რომ თანახმად ბანკის წესდების მე-8 §-სა

დანიშნულია ჩვეულებრივი საზოგადო

კრება

ბანკის აქციონერთა 28 მარტს ა/წ. დღით, 12 საათზე, ბანკის შენობაში (პუშკინის ქ. № 3).

დღის წესრიგი:

1. ბანკის გამგეობის მოხსენება მოღვაწეობაზე
2. ბანკის წესდების მე-24 მუხ. რედაქციის შეცვლა
3. მიმდინარე საკითხები.

1—1 ნ 901   **გამგეობა.**

საქართველოს ფინსახკომისარიატი

აცხადებს სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭრო-სამრეწველო საწარმოოთა პასუხისმგებელ ხელმძღვანელების, კერძო სავაჭრო-სამრეწველო საწარმოოთა პატრონების და პირადი საქმიანობის მწარმოებელთა საყურადღებოდ, რომ პატენტები ვაჭრობის, მრეწველობის, პირადი საქმიანობის წარმოებისა და საწყობებისათვის ფასიანი პატენტები და უფასო ბილეთები 1925—26 საბიუჯეტო წლის მეორე ნახევრისათვის (აპრილი—სექტემბერი 1926 წ.) უნდა უსათუოდ შეძენილ იქნენ მარტის თვის განმავლობაში, ესე იგი 1-ლ აპრილამდე.

უკეთუ აღმოჩნდება, რომ პატენტი შეძენილია 1-ლი აპრილის შემდეგ, დამნაშავენი დაჯარიმდებიან პატენტის ძირითადი ღირებულების გასამკეცებული რაოდენობით.

საწარმოების პატრონებმა უნდა შეიძინონ თავისავე ხარჯზე მათი სავაჭრო-სამრეწველო საწარმოოთა თანამშრომელთათვის პირადი საქმიანობის პატენტებიც, თანახმად პირადი სარეწავი საქმიანობის ცხრილის მე-3—10 პ.პ.

პატენტების გაცემას რესპუბლიკაში აწარმოებენ ფინსახკომისარიატის სალაროები, ხოლო თბილისში აღნიშნულ სალაროს გარდა, კომუნალური ბანკიც.

როგორც საწარმოების, ისე თანამშრომლების პატენტები უნდა გამოკიდულ იქნენ საწარმოებში თვალსაჩინო ადგილებზე.

ის საწარმოონი, რომელთაც სრულიად არ ექნებათ შეძენილი პატენტები, დაიხურებიან, თანახმად ინსტრუქციის მე-53 და 54 მუხლებისა.

იმავე ინსტრუქციის მე-74 მუხლის ძალით საწარმოონი, რომლებიც დებულების მიხედვით იბეგრებიან სათანაბრო გადასახადით, მოვალე არიან არა უგვიანეს 15 აპრილისა, წარმოადგინონ სათანადო საგადასახადო უბნებში, რომლებშიაც იმყოფება საწარმოო, დაწესებული ფორმის განცხადებები საწარმოოს წარსული ნახევარი წლის (ოქტომბერი — მარტი 1925—26 წ.) ბრუნვის შესახებ.

მიღება საჭირო ცნობებისა და ფ.ფ. №№ 1 და 2 ბლანკებისა სწარმოებს საგადასახადო უბნებში.

საქართველოს ფინსახკომისარი **მგალობლიშვილი**

გადასახადთა განყოფილების მმართ. თანამდ. დროებ.

აღმასრულებ. **ბეზირგანიშვილი**

1—1 ნ. 907   ნაწილის გამგე **აკოფაშვილი**

საშემოსავლო გადასახადი

საქართველოს ფინსახკომი აცხადებს საყოველთაოდ, რომ საშემოსავლო გადასახადის მომქმედ დებულების მიხედვით 1925—26 საბიუჯეტო წლის მეორე ნახევარში (აპრილი—სექტემბერი) საგადასახადო კამპანიის ჩასატარებლად უნდა დაცული იქნეს შემდეგი ვადები:

ქალაქებში და ქალაქობრივ მოსახლეობაში სახლის პატრონები, ან სახლის მმართველობა მოვალენი არიან წარუდგინონ სათანადო უბნის ფინინსპექტორს არა უგვიანეს 1926 წ. 15 აპრილისა, დაწესებული ფორმით, მათ სახლებში 1925 წ. 5 აპრილამდე მცხოვრებ პირთა და სახლებში მყოფ ყოველგვარ საზოგადოებათა და ამხანაგობათა, კანტორების, გამგეობათა და სააგენტოების სიები.

გადასახადით დასაბეგრი მოქალაქეთა სიების შედგენა სოფლის ადგილებში ევალებათ თემაღმასკომებს, რომლებიც უდგენენ სიებს ფინინსპექტორს არა უგვიანეს 1926 წლის 20 აპრილისა.

არა უგვიანეს 1926 წ. 10 აპრილისა შემდეგი დაწესებულებანი მოვალენი არიან წარუდგინონ სიები დაწესებული ფორმით:

I. სათანადო უბნის ფინინსპექტორს:

1) ადგილობრივი სამაზრო და თემაღმასკომები—სიები იმ პირთა, რომლებთაც აქვთ გაქირავებული შენობები, ან იჯარით აქვთ ასეთები აღებული, აგრეთვე სიები იმ პირთა, რომელთა სარგებლობაში იმყოფება ბაღები, ბოსტნები და სხვა მიწის ნაკვეთები, რომლებიც არ იბეგრება მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით და 2) ყველა დაწესებულებები, წარმოებანი, მეურნეობანი და საზოგადოებანი—სიები მუშებისა და მოსამსახურეების, რომლების თვიური ჯამაგირი, საშუალოდ, 1925—26 საბიუჯეტო წლის ნახევარში (ოქტომბერი—მარტი) შეადგენდა არა ნაკლებ 75 მან., სოც. უზრუნველყოფის დაწესებულებები, გარდა ამისა, აგრეთვე ადგენენ სიებს პენსიონერთა, რომლებიც ღებულობენ პენსიას არა ნაკლებ 100 მანეთისა.

II. ადგილობრივ აღმასკომ. საფინანსო განყოფილებებს.

1) ჯანმრთელობის განყოფილებები—სიები ექიმებთა და დამცველთა კოლეგიის განყოფილებები — სიები კოლეგიის წევრთა, 2) სახელმწიფო დამზღვევი ორგანოები — სიები დამზღვევ აგენტების და აკვიზიტორების, 3) სახელმწიფო და კოოპერატიულ წარმოებათა და შერეულ საზოგადოებათა ადმინისტრაცია—სიები შუამავალთა და კომისიონერთა და 4) ყოველგვარ კერძო სავაჭრო-სამრეწველო საზოგადოებათა და ამხანაგობათა, აგრეთვე სახელმწიფო და კოოპერატიულ წარმოებათა და შერეულ საზოგადოებათა ადმინისტრაცია—სიები ამხანაგობის და გამგეობის, ან საბჭოს წევრების, აქციონერების, პაის მქონელთა და ფულის შენატანების მქონეთა.

ყოველი მოქალაქე, რომლის ყველა წყაროებიდან მიღებული შემოსავალი 1925—26 საბიუჯეტო წლის (ოქტომბერი—მარტი) საერთო შემოსავალი აღემატებოდა ქ. ტფილისში 450 მან., ბათომში—400 მან., ქუთაისში, ფოთში და სოხუმში—350 მან. და რესპუბლიკის დანარჩენ ადგილებში 300 მან., ვალდებულია შეიტანოს: ქალაქებში—უშუალოდ სათანადო რაიონის ფინინსპექტორთან და ქალაქ გარეთ ადგილობრივ აღმასკომების საშუალებით, არა უგვიანეს 1926 წლის 1-ლ მაისისა, დაწესებული ფორმით დეკლარაციები თავიანთი შემოსავლის შესახებ.

მუშებს და მოსამსახურეებს შეაქვთ დეკლარაციები დაწესებულებათა და წარმოებათა საშუალებით, უკანასკნელნი კი სამი დღის განმავლობაში აგზავნიან ხსენებულ დეკლარაციებს აღმასკომების საფინანსო განყოფილებებში. მუშები და მოსამსახურეები შეიტანენ დეკლარაციებს იმ შემთხვევაში, თუ მათი საერთო შემოსავალი ყველა წყაროებიდან 1925—26 საბიუჯეტო წლის (ოქტომბერი—მარტი) განმავლობაში, შეღავათიანი 900 მანეთის სამუშაო ხელფასის შემოსავლიდან გამოკლებით, აღემატებოდა დაუბეგრავ მინიმუმს, რომელიც დაწესებულია ამა თუ იმ ადგილისათვის.

სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადის დებულების დამრღვევნი იქნებიან სათანადოთ დაჯარიმებულნი.

დაწესებული ბლანკები და მათი შევსების წესის ცნობები უნდა მიღებულ იქნეს ფინინსპექტორების კანცელარიაში.

საქ. ფინსახკომისარი **მგალობლიშვილი**

გადასახადთა განყოფილების მმართველის თან. დრ. აღმსრ. **ბეზირგანიშვილი.**

908 1—1

ფოთის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის მიერ ამა წლის ოცდა სამ მარტს, დღის თორმეტ საათზე ქ. ფოთში, თეატრი „კომეტა“-ს ბინაში მოწვეულია ამავე საზოგადოების წევრების

საგანგებო კრება

დღის წესრიგი:

1. გამგეობის მოხსენება საზოგადოების საქმეების მდგომარეობის და მომავალი პერსპექტივების შესახებ.
2. საბჭოსი, მიმღები კომიტეტის და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები.

გ მგეობის თავმჯდომარე ლ. ზოდელავა

გამგეობის წევრნი: ს. ხოშტარია.
ქ. ჭოჭუა.

ნ. 904 1—1

ა. ფ. კავშირგაბმულობის (ფ. ტ.) ოლქის სამმართველო

აცხადებს, რომ ა. წ. 1-ლ აპრილიდან თბილისის პროფტეხნიკურ კავშირგაბმულობის სკოლასთან იხსნება ექვსთვიანი **უ ფ ა ს ო** კურსები ფ. ტ. თანამშრომელთა მოსამზადებლად

კურსებზე მიიღებიან ორივე სქესის პირნი, ეროვნების განურჩევლად. აუცილებლად მცოდნენი ერთ-ერთ ადგილობრივ ენისა, არა ნაკლებ 16 წელზე ხნოვანობის და

წერაკითხვის სრულიად

საკმაოდ მცოდნენი

განცხადება მიიღება ყოველდღე დილის 9 საათიდან 4 საათამდე ა/ქ. კავშირგაბმულობის ოლქის სამმართველოს საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში (რუსთველის გამზირი, № 43, ოთახი № 18), იქვე შეიძლება ამ საკითხის შესახებ დაწვრილებითი ცნობების მიღება

საალრ.-განმანაწ. განყ.

გამგე. **ჯვარშეიშვილი**

1—1 № 1855

ავადმყოფობათა მკურნალობა

პროფესორი ბროუნ-სეკარის წესით

(ორგანოთერაპია)

მთელი ქვეყნის ექიმების და ფიზიოლოგების სამეცნიერო კვლევა-ძიებას, რომელიც მიმართული იყო იქითკენ, რათა გამოენახათ ორგანიზმის სხვადასხვა სნეულებათა წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებანი, შედეგათ მოჰყვა მკურნალობის ახალი მეთოდის— **ორგანოთერაპიის** აღმოჩენა.

ექიმებმა და ფიზიოლოგებმა გაიგეს, რომ ისეთ რთულ აპარატში, როგორიც არის ცხოველის ორგანიზმი, სწარმოებს მთელი რიგი პროცესები, რომელთა დროსაც ადამიანის ორგანიზმის ყველა ჯირკვლები იმუშავებენ განსაკუთრებულ სიმჟავეებს და ფერმენტებს, რომელთა საშუალებით ორგანიზმი თავისუფლდება ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის მავნე პროდუქტებისაგან, როგორიცაა: შარდის მჟავა და სხვა შხამები, რომლებიც წამლავენ და აუძლურებენ ჯანმრთელ ორგანიზმს.

სანამ ორგანიზმში ეს შხამები მცირე რაოდენობით არიან, სანამ ორგანიზმი ჯანმრთელია, ახალგაზრდა, ის თავისუფლად და დამოუკიდებლად სპობს და გამოჰყოფს ორგანიზმიდან ამ შხამებს. მაგრამ როდესაც ორგანიზმი სუსტდება ავადმყოფობის, დაქანცულობის, ცუდი კვების, გადაჭარბებულ სქესობრივი ცხოვრების, მოხუცებულობის საადგზე—მასში (ორგანიზმში) თანდათან გროვდება შარდის მჟავა, რომელიც იწვევს მის ნაადრევ დაძაბუნებას და სიკვდილსაც კი.

ორგანიზმის გაჯანსაღებისა და ორგანოების და ჯირკვლების მოშლილ ფუნქციების აღდგენისათვის ორგანოთერაპია სარგებლობს თვით ორგანიზმის სამკურნალო ძალებით და არ მიმართავს მისთვის უცხო ნივთიერებას.

პროფესორ **ბროუნ-სეკარის სითხე**—„სეკარის სითხე“ — ორგანოთერაპევტიული პრეპარატი—წარმოადგენს სათესლე ჯირკვლების ყველა მომქმედ ნივთიერებათა ექსტრაქტს (სათესლე ჯირკვლის გამონაწურს).

პროფესორი ა. ვ. **რეპრევი** ამ გამონაწურის ძირითად მომქმედ ნივთიერებაზე ამბობს შემდეგს: **„ეს არის ერთ-ერთი მძლავრი ორგანოთერაპევტიული საშუალება, რომელიც მოქმედებს ნივთიერებათა გაზთა გაცვლა-გამოცვლაზე, ნერვიულ სისტემაზე და სისხლ - ძარღვთა სისტემაზედაც“.**

მთელი ქვეყნის საუკეთესო პროფესორების და ექიმების დაკვირვებით დამტკიცდა, რომ „სეკარის სითხე“ შეიცავს სწორედ იმ ელემენტებს, რომელიც დაჰკარგა დაავადებულმა, დაუძლურებულმა ან დასუსტებულმა ორგანიზმმა შარდის მჟავათი, კურანებით ან სხვა შხამებით მოწამვლის გამო და სწორედ სეკარის სითხის საშუალებით შეიძლება ყოველგვარი შხამების მოსპობა და ორგანიზმიდან განდევნა და ამით ადამიანის აღდგენა, განახლება და გამაგრება.

„სეკარის სითხე“ იხმარება დიდი წარმატებით ისეთ ავადმყოფობათა დროს, რომლებიც წარმოადგენენ კურნებით ან შარდის მჟავათი ორგანიზმის მოწამვლის შედეგს და სახელდობრ: სიბერის ნიადაგზე დაძაბუნების, სისხლნაკლებობის, ნევრასტენიის, სიგამხდრის, ისტერიის, ნევრალგიის, ეპილეპსიის, სიყვითლის, სიდამბლეების, ნეკრესის ქარების, რევმატიზმის, სქესობრივ და საერთო უძლურების, შაქრის ავადმყოფობის (დიამეტის), არტეროსკლეროზის, თავის ტკივილების, უძილობის, ხერხემლის ტვინის ავადმყოფობის, გულის მოქმედების მოშლის დროს მძიმე და დამაუძლურებელ ავადმყოფობათა: ტიფის, ხუნაგის, დიფტერიის, სიფილისის (ვერცხლის წყლით მკურნალობის შედეგების დროს), მშობიარობის, ოპერაციების, სისხლის დაკარგვის და სხვ. შემდეგ.

ექიმების მრავალ დაკვირვებებიდან მოგვყავს მხოლოდ ზოგიერთები:

„გალენ - მოსკოვის“ კოოპერატივის ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობას.

ჯერ კიდევ სანამ მივიღებდი სათანადო ლიტერატურას და გავეცნობოდი სეკარის სითხის პრეპარატს, უკანასკნელით მე ვსარგებლობდი მთელ მაზრაში. მის ხმარების კარგ შედეგს მე ვაწერდი მხოლოდ და მხოლოდ ფსიქიურ ზეგავლენას, მაგრამ როდესაც ზემოაღნიშნული პრეპარატი ვსცადე ჩემს ზედამხედველობის ქვეშ მყოფ ავადმყოფებზე, მე მართლაც დავრწმუნდი მის მიზანშეწონილ და სასურველ მოქმედებაში. განსაკუთრებულ ეფექტს იძლევა პრეპარატი არტეროსკლეროზის და ნევრასტენიის დროს.

ლეჩხუმის მაზრის ექიმი **რ. ასათიანი.**

1926 წ. 7 იანვარი.

ჯანსახკომის დაზღვეულთა დახმარების სამკურნალო ქვეგანყოფილების მე-3 ამბულატორია.

1925 წელი 14 სექტემბერი.

„გალენ - მოსკოვის“ ლაბორატორიის განყოფილება

ავადმყოფმა გეშანოვმა, 56 წლის, რომელიც ავად იყო ბრონხიტით, ქრონიკულ გიოკარდიტით, ასტმით, სისხლნაკლებობით, ამებურ დიზინტერიის და ნევრასტენიის შემდეგ, მიიღო სეკარის სითხის 2 ფლაკონი. პირველი 4 დღე ავადმყოფი ძალიან ცუდად გრძნობდა თავს, ღებულობდა 20—26 წვეთს 3-ჯერ დღეში, მაგრამ შემდეგ ამ პრეპარატის მიღების დროს სისუსტე გაქრა, მადა მოუვიდა ავადმყოფს და იგი დღითი-დღე გრძნობს თავს სულ უკეთ და უკეთ.

ექიმი **შვანია.**

„გალენ მოსკოვის“ წარმომადგენლობას ამიერ-კავკასიაში.

გიცხადებთ მადლობას საცდელათ ბროუნ-სეკარის სითხის 3 ფლაკონის გამოგზავნისათვის; ეს სითხე მე ვიხმარე მძიმე ფორმის ნევრასტენიის დროს; აღნიშნულია დიდი გაუმჯობესება: ავათმყოფის აღგზნებულება გაქრა, აზროვნება ნათელი და მოძრაობა მსუბუქი გახდა. სასურველია შემდეგი დაკვირვება მკურნალობის ბოლომდე, რისთვისაც საჭიროა ამ სითხის ხმარება, რაზედაც, ვიმედოვნებ, უარს არ მეტყვით.

პატივისცემით ექიმი **დევიძე.**

25 წ. 24 ოქტომბერი.

„გალენ - მოსკოვის“ წარმომადგენლობას.

გთხოვთ გამომიგზავნოთ სეკარის სითხის კიდევ ერთი ფლაკონი ცდების გაგრძელებისათვის. ამასთანავე გაცნობებთ,ერ-
ავადმყოფობათა მკურნალობა.
თი ფლაკონის შემდეგ ეფექტი პირდაპირ გასაოცარი მივიღე: დაქანცულობა ქრება და ნერვიული სისტემა თვალსაჩინოდ დამშვიდდა. შემდეგ დაკვირვებებს გაცნობებთ.

ექიმი **ბარნაბიშვილი.**

25 წ. 13 ოქტომბერი.

„გალენ-“ის წარმომადგენლობის სამკურნალო განყოფილებას.

თქვენ მიერ მოწოდებული პრეპარატი „ბროუნ- სეკარის სითხე“ ვიხმარე დამზღვევ სალაროს ამბულატორიულ ავადმყოფებზე. გაცნობებთ შედეგებს: ავადმყოფი მ., ბერძენი, ფიზიკურად სავსებით ჯანმრთელი, კარგი კვების. ჩივილები: სისუსტე, დამტვრეულობა, თავის ტკივილი და განსაკუთრებით სქესობრივი სისუსტე. ექიმობდა ხანგრძლივად, მაგრამ უშედეგოდ. „სეკარის სითხის“ ერთი ფლაკონის მიღების შემდეგ ავათმყოფი აღნიშნავს თვალსაჩინო გაუმჯობესებას და რაც განსაკუთრებით აკვირვებს მას, „სქესობრივი უძლურება“ ისპობა. მას დაენიშნა ამ სითხის მეორე ფლაკონი, რასაც კიდეც ღებულობს. ავათმყოფი № 2—მოანგარიშე, ფიზიკურად ძალიან დასუსტებულია, მას აქვს მწვავე სისხლნაკლულობა. უჩივის საერთო ძალის დაცემას, მუდმივ თავის ტკივილებს, უძილობას, ნერვიულობას, და რაც მთავარია სქესობრივ სისუსტეს, რაც მას ძალიან აწუხებს. ის ავად არის დიდი ხანია. ექიმობდა— უშედეგოთ. 1 ფლაკონის მიღების შემდეგ აღნიშნავს საერთო მდგომარეობის თვალსაჩინო გაუმჯობესებას, მადის მოსვლას და სქესობრივ სისუსტის გაქრობას. თხოულობს მე-2 ფლაკონს, რაც უკვე დაენიშნა და განაგრძობს მიღებას.

ამ ორი შემთხვევის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ სათესლე ჯირკვლის დისფუნქციის დროს, რაც ალბად ჰქონდათ ჩემ მიერ არჩეულ ავადმყოფებს, თქვენ მიერ მოწოდებული პრეპარატი დადებითად უნდა მოქმედებდეს, რადგან იგი არის ახალ სათესლე ჯირკვლების გამონაჟონი.

ექიმი **კოტეტიშვილი.**

თბილისი, 17 სექტემბერი.

კოოპერატივ „გალენ - მოსკოვ“-ს თბილისი.

თქვენი პრეპარატით მე კმაყოფილი დავრჩი, მან დაიმსახურა დადებითი შეფასება, რომელსაც უკვე იძლევიან. მე ვიხმარე იგი ავადმყოფზე მსუბუქ ნევრასტენიის სიმპტომით (ჩქარი დაღლილობა, ანგრძლივი ნერვიული სისუსტე და კუნთების ტონუსის დაქვეითება, გაღიზიანება), რომელიც წლობით გრძელდებოდა და არ ქრებოდა მატად კარგ პირობებში. ბროუნ-დეგ, არ შეცვლილა ცხოვრების პირობები ავადმყოფის თვითგრძნობაში მოხდა სასურველი ცვლილებები; იგი ერთბაშათ გაუმჯობესდა, ავადმყოფი გამოცოცხლდა, კუნთების ტონუსი გაძლიერდა, დასუსტება, რომელიც ავადმყოფს ხშირად ემართებოდა უკანასკნელ 2 კვირის განმავლობაში ალარ განმეორებულა. შრომის უნარი გაიზარდა. ასეთი ცვლილებები ავადმყოფის თვითგრძნობაში მე არ შემიძლია მივაწერო ფსიქიურ ზეგავლენას, რაც აუცილებელია სითხის ხმარების დროს. გიძღვნით მადლობას, რადგან თქვენ საშუალება მომეცით პირადად დავკვირებოდი თქვენი პრეპარატის საუცხოვო მოქმედებას.

ექიმი **ტარანცევი.**

თბილისის ქალაქის ხარფუხის სამკურნალო 1925 წ. 17 სექტ. № 438.

„გალენ - მოსკოვის“ წარმომადგენლობას.

სეკარის სითხე ჯერ-ჯერობით მე დავუნიშნე რამდენიმე ავადმყოფს ნერვიულ სისტემის აშლილობის და სისუსტის მოვლენებით. ეს პრეპარატი აუმჯობესებდა ავადმყოფების მადას, დამამშვიდებლად მოქმედებდა მათ ნერვიულ სისტემაზე და ამხნევებდა მათ.

ხარფუხის საავადმყოფოს გამგე
ექიმი—**გ. მაგაკიანი.**

„გალენ - მოსკოვის წარმომადგენლობას.

სეკარის სითხის ხმარებამ გამხდარ ავადმყოფებზე მომცა თვალსაჩინო ეფექტი და ავადმყოფს დაეტყო საერთო გაუმჯობესება.

ექიმი **ნ. ვესტფალი.**

კოოპერატივ „გალენ-მოსკოვი“-ს ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობის სამკურნალო განყოფილებას.

ამით გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ გამოგზავნილი ბროუნ-სეკარის სითხე ვსცადე ჯერ-ჯერობით ერთ ავადმყოფზე. დაკვირვების შედეგი დადებითია თვითგრძნობის და სქესობრივ ფუნქციის გაუმჯობესების მხრივ.

სასურველია დაკვირვებების გაგრძელება, რადგან პრეპარატმა მე ძალიან დამაინტერესა. გთხოვთ გამომიგზავნოთ კიდევ ერთი ფლაკონი.

ექიმი **ავშაროვი.**

1925 წ. 31 აგვისტო.

—

ამასთანავე გიგზავნით მოქ. გ—ს ცნობილ მორფინისტის წერილს.

ექიმი **წულეისკირი.**

1925 წ. 22 სექტემბერი.

—

თბილისის სამკურნალო ქვეგანყოფილებას.

ამიერ-კავკ. თანამშრ. ლ. გ. გ.

ამით გაცნობებთ, რომ თქვენგან მიღებულ ბროუნ-სეკარის სითხის ხმარების შემდეგ მე თავი ვიგრძენი მხნედ, სასქესო ორგანოებმა, რომელიც მორფის ხმარების გამო სრულიად უმოქმედო იყო, დაიწყეს მოქმედება, მძინავს ნორმალურად, საერთოდ ვგრძნობ სრულ განახლებას.

ლ. გ.

თბილისი, 1925 წ. 28 აგვისტო.

კოოპერატივ „გალენ-მოსკოვი“-ს წარმომადგენლობას ამიერ-კავკასიაში.

ა. წ. სექტემბრიდან—დეკემბრამდე მე ვაძლევდი „სეკარის სითხეს“ ისეთ ავადმყოფებს, რომლებიც დაავადებული იყვნენ ნევრასტენიით, კვებიანობის ძლიერი დაცემით (განსაკუთრებით ათაშანგის სინდიყით მკურნალობის დროს და სქესობრივ უძლურების ზოგიერთ ფორმების დროს). დაკვირვებამ მომცა ფრიად სასურველი შედეგები: ნერვიული სისტემა გამაგრდა, საერთო მდგომარეობა გაუმჯობესდა და სქესობრივი ფუნქცია გაძლიერდა. ყველა ზემო აღნიშნულ დაავადებით შეპყრობილ ავადმყოფებს ურჩევ კოოპერატივ „გალენ-მოსკოვი“-ს „სეკარის სითხის“ მიღებას.

ექიმი **მიხეილ აგანჯანოვი.**

—

კოოპერატივ „გალენ-მოსკოვი“-ს წარმომადგენლობას ამიერ-კავკასიაში.

ვაკვირდებოდი სეკარის სითხის მოქმედებას ავადმყოფებზე. შედეგი დადებითი მივიღე. პრეპარატს ძალიან სასარგებლოთ ვსთვლი სისხლნაკლებობის და ნევრასტენიის მწვავე ფორმების დროს. ვინაიდან ვაპირებ პრეპარატის ცდას სხვა ავადმყოფებზე, გთხოვთ გამოგზავნოთ კიდევ რამდენიმე ფლაკონი.

ექიმი **ბაგდასაროვი.**

—

კოოპერატივ „გალენ-მოსკოვი“-ს წარმომადგენლობას ამიერ-კავკასიაში.

„ბროუნ-სეკარის სითხე“ ვიხმარე მთელ რიგ ავადმყოფებზე და ძალიან ჩქარა მივიღე დადებითი შედეგები: ავადმყოფებს, რომლებსაც აწუხებდათ უძილობა, მადის დაკარგვა, საერთო სისუსტე, დაღლილობა, თავისტკივილი, ნევრასტენია და სხვა, 5—6 ფლაკონის მიღების შემდეგ, დაეტყოთ თვითგრძნობის გაუმჯობესება, დაუბრუნდათ მადა და ძილი და მუშაობის უნარიც მნიშვნელოვნად გაიზარდა.

პრეპარატს ვსთვლი ძალების მომგვრელ საუკეთესო საშუალებათ.

ექიმი **მალალაშვილი.**

P. S. კუჭ-ნაწლავის კატარის დროს ავადმყოფები, რომლებსაც აწუხებთ ხშირი ყაბზობა, ბ. ხ. სითხის მიღების შემდეგ თავისუფლად გადიან გარედ.

„გალენ-მოსკოვი„-ს ორგანო-თერაპევტიულ ლაბორატორიას.

24 წელიწადი ვმუშაობ ფარმაცევტიულ დარგში, როგორც ვარშავის უნივერსიტეტის პროვიზორი. მსოფლიო და სამოქალაქო ომის დროს მე ვმუშაობდი ფრონტზე, ძალიან დავიქანცე და ამეშალა ნერვიული სისტემა.

1924 წ. პირველად მივაქციე ყურადღება ჩემი ჯანმრთელობის დაქვეითებას, რაც გამოიხატებოდა მუდმივ დაქანცულობასა, თვალების ტკივილში, შიშიანობაში, ყურების ჟრიალში, ძილად მივარდნაში, საშინელ სიზმრებში, რაც ძილს სატანჯველათ აქცევდა.

1925 წელს მე ერთი თვე დავისვენე. მაგრამ ამის შემდეგაც ჩემი ჯანმრთელობა არ გაუმჯობესებულა.

ა. წ. ნოემბერში წინადადება მომცეს მიმეღო საცდელათ „ბროუნ სეკარის სითხე“ „გალენ-მოსკოვი“.

პირველი 2 ფლაკონის მიღების შემდეგ მე ვიგრძენი გაუმჯობესება. ეხლა მე-4 ფლაკონის მიღების შემდეგ სრულიად გამოვიცვალე—სახე გამისუქდა, თვითგრძნობა მხნე მაქვს, მადა საუცხოვო, ძილი მშვიდი, თვალის ტკივილი შესწყდა, ვმუ-
იუწყება, რომ სამშაბათს, 2 მარტს, საღამოს
სეკარის სითხის ათი დღის ხმარების შემ-
დაზღვეულთა სამკურნალო დახმარების
საერთოდ ვგრძნობ, რომ დასუსტებული ორგანიზმი იწყებს განახლებას და ვფიქრობ, რომ მე-6 ფლაკონის მიღების შემდეგ დაკარგული ჯანმრთელობა მთლად დამიბრუნდება.

პატივისცემით პროვიზორი-ფარმაცევტი—გ. ლეს.

—

კოოპერატივ „გალენ-მოსკოვი“-ს ამიერ-კავკასიის წარმომადგენლობას.

დაახლოებით 1 ნახ. წლის განმავლობაში მე ვაკვირდებოდი „სეკარის სითხის“ მოქმედებას ისეთ ავადმყოფებზე, რომლებიც დასუსტებული იყვნენ ანტისიფილიტიურ წამლობის შემდეგ და რომლებიც შეპყრობილი იყვნენ ნევრასტენიით. ეფექტი მივიღე მეტად დამაკმაყოფილებელი.

ზოგიერთი ავადმყოფები, რომლებსაც აწუხებდა უძილობა, ჩქარი ფიზიკური და გონებრივი დაღლილობა, 5—6 ფლაკონის მიღების შემდეგ მიცხადებდნენ, რომ მათ შეამჩნიეს მნიშვნელოვანი გაუმჯობესებანი. საერთო მათი შეხედულება ადასტურებდა მათ განცხადებას.

ვფიქრობთ, რომ „სეკარის სითხე“ არის ძალების მომგვრელი საუკეთესო საშუალებანი.

ექიმი **შუხმან.**

ბროუნ-სეკარის სითხის დამზადება და გამოშვება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ნება დართული აქვს მხოლოდ და მხოლოდ კოოპერატივ

„გალენ-მოსკოვი“-ს

ქიმიურ - ფარმაცევტიულ ლაბორატორიის ორგანო-თერაპევტიულ განყოფილებას

სეკარის სითხე იყიდება ყველა აფთიაქის მაღაზიებში და სახმედვაჭრობის და წითელი ჯვრის საფთიაქო სამმართველოს მაღაზიებში.

„გალენ - მოსკოვი“-ს გენერალური წარმომადგენლობა საქართველოსა და სომხეთისათვის, თბილისი, თავისუფლების მოედანი № 2, ყოფ. თამამშევის პასაჟი, მეორე სართული, შესავალი ყოფ. სასტუმრო „კავკაზ“-ის პირდაპირ ფლაკონის ფასი 2 მ. 50 კაპ.

იგზავნება ფოსტით არა ნაკლებ 4 ფლაკონისა 25 პროც. ბეს მიღების შემდეგ.

კოოპერატივ „გალენ-მოსკოვი“-ს მთავარი საწყობი საბჭოთა კავშირისათვის, მოსკოვი, გერცენის ქ. № 5 განყ. 3.

Гл. Скл. для С.С.С.Р торг. отд. Кооператива „ГАЛЕН-МОСКВА“ Москва, ул. Герцена, № 5 отд. 3.   Б. 652 0—5.

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ქამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 17 მარტს, 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 13. ფერისცვალების ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაყიდის არტაშ ხაჩატუროვის მოძრავ ქონებას: კამოდი, მაგიდა და სხვ. პესო ჯანიკაშვილი ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-3 უბნის სახალხო სასამართლოს მიერ 23 თებ. 1926 წ. თარიღით, № 468 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 1866 1—1

ქ. თბილისის მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ქ. ქამოევი

ამით აცხადებს, რომ 19 მარტს 1926 წ. დღის 12 საათზე სახლში № 2 ჰოსპიტალის ქუჩაზე, საჯარო ვაჭრობით გაყიდის ლაზარატ მელიქ სარქისოვას უძრავ ქონებას: ორ სართულიან მამულს, რომელშიაც არის 10 ოთახი საჯარო ვაჭრობა დაიწყება თავისუფალ შეძლებულ ფასიდან. ამხ. „კონკორდიას“ ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის ქ. მე-3 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 19 დეკემბერს 1925 წ. თარიღით, № 4519 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ვისაც უნდა ყიდვა ამ მამულის უნდა წარმოადგინოს მოწმობა უფროს ნოტარიუსიდან, მის შესახებ, რომ არც მას, არც ცოლს და არც უწლოვანო ბავშვებს არ აქვთ უძრავი მამული. 1826 1—1

ექიმი მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ ავადმყ.
ელექტრონის კაბინეტი.
ავადმყ. მიღება 6—7 საათ. საღ. ლენინის (ოლღას ქუჩა) 49. ტელ. 4—82
25—13

მედიცინის დოქტორი ბ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი
დილის 9—12 საათამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდე.
პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან).
25—1

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო.
საწოლებით
რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ დაავადებულ ამ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
50—18

ექ. ე. მ. მქინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფების მიღება 1—2 საათ. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.
მისამართი: რუსთვ. პროსპ. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან). 25—2

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული (ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).
25—7

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—12

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი იღებს ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—7 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა).
25—7

ექიმი ი. დ. თოფურიძე
კალინინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ. № 33. მიიღებს ავადმყოფებს.
კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის)
25—8

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა.
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ.
ქალებისთვის ცალკე შესავალი.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.
25—25

დ. აბაშა
კბილის ექიმმა
ა. ნადარეიშვილმა
განაახლა ავადმყოფების მიღება. კაბინეტთან არსებობს კბილის სატეხნიკო ლაბორატორია, სადაც მზადდება ყოველგვარი ხელოვნური კბილები. 25—17

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან-თუხარელისა
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა, ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ). 25—17

დოქტორი გ. მეგრაბიანი
ფილტვების, გულის და ციების
წამლობა ხელოვნური მთის მზის სპნეიმოტორაქსით და ტუბერკულინით, რენტგენის, და სინათლის ელექტრონის სამკურნალო კაბინეთში—იღებს 9—1 საათ. დილ. 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.
25—17

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ ბოლ-მონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნება, შუასილის სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე
25—17.

ექიმი ნ. ტურიაშვილი
სამშობიარო და ქალის სნეულებანი
მიღება საღ. 3—6, საბჭოთა (ყოფილი ჩერქეზოვის) ქუჩა № 22.
25—12.

პროფ. გრ. მუხაძე
ავადმყოფობის შემდეგ განაახლა ავადმყოფების მიღება
მიღება სწ რჩეობს საღამოს 5-დან—6 საათამდე კვირა დღის გარდა
მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 58, ტელეფონი № 5—77
25—7

ექ. ვასილი ნიკიფოროვსკი
ჩუპრინინი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი.
მიღება: დილის 9—11-დე და საღამოს 4—6 საათამდე.
მისამართი: საბჭოთა (ყოფ ჩერქეზიშვილის ქ.) 87. 25—3

ექიმი არსენ ვადაჭკორია
ღებულობს ქალთა ავადმყოფებს და აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას დილის 8—10 ს. საღამოს 4—7 საათამდე.
(ყოფილი ოლღას) ლენინის ქ. № 35
25—1

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის“ ოპტიკურ განყოფილებაში დილის 3—5 დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 13—63.
25—1

ექიმი ზ. ა. თარუმოვი
შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი.
მიღება საღამოს 5-დან 6 ნახ. საათამდე, სასამართლოს ქ. № 12. ტელეფონი 22—59.
12—5

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე. ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ. უკან. 25—7

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606“—„914“)
ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალების საღამოთი 5—6 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4. ყოფ. კაბინეტი რუზო მაჩაბლისა (ზემელის აფთიაქის პირდაპირ).
25—25

თვალის ექიმი
ა. გ. მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ. საღამოს 6—7 საათ.
ელისაბედის ქუჩა № 47, ტელეფ. № 5—90 თვალის საავადმყოფო.
25—3

ექიმი
დ. ა. გედევანიშვილი
ღებულობს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს
დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ინელაძეს ქ. (ყოფ. საპიორის) № 3
25—1

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდი. ბებუთოვის ქ. № 38. 25—7

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი.
შეშხაპუნება „914“. ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5-დან—9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღამოს.
მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად
25—2

დაკარგა საალ შენებლო კავშირის საწევრო წიგნაკი № 936 ილარიონ ლუკასძე ლომთაძის სახელზე, ჩ. გ.

დაკარგა სამხედრო პირადი საალრიცხვო წიგნაკი № 905 მიხეილ გაბრიელის ძე ბერიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1849 1—1

დაკარგა ბეჭედი და მანდატი სამელიორაციო ამხანაგობა „დამხმარე“ მიერ მოცემული და პირადობის მოწმობა, მოცემული ბაღდადის თემ-აღმასკომის მიერ მელიტონ სიორდიას სახელზე, ჩ. გ. 1856 1—1

დაკარგა მბეჭდავთა კავშირის წიგნაკი № 734, ბიძინა ალექსანდრეს ძე წულუკიძის სახელზე, ჩ. გ.

დაკარგა თბილისის ინდუსტრიალური (პოლიტეხნიკუმი) მე-2 ელ. ტეხნ. კურსის მოწმობა № 2056 ვასილ ღლონტის სახელზე, ჩ. გ. 1859 1—1

დაკარგა ექიმის მიერ მოცემული ბიულეტენი № 36014 მიხეილ ალექსანდრესძე კოპალეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1862 1—1

დაკარგა რკინის გზის კოოპერატივის საწევრო წიგნაკი № 2764 დიმიტრი მიხეილისძე შელიას სახელზე, ჩ. გ. 1862 1—1

დაკარგა პირადობის მოწმობა № 2152 და სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი, მოცემული გაგრის რაიონის სოფ. კოლხიდის სასოფლო საბჭოსაგან, ვლადიმერ ევტიხის ძე ახალაძის სახელზე, ჩ. გ. 1850 1—1

დაკარგა კომპარტიის წევრობის (წიგნაკი) № 495418 ირაკლი სამსონისძე კობახიძის სახელზე, ჩ. გ. 1863 1—1

დაკარგა უვადო პირადობის წიგნაკი და სამხედრო საალრიცხვო მოწმობა ჯიოევ კარგოს სახელზე, და მოწმობა სიღარიბისა მოცემული წუნარის აღმასკომის გან. ჩ. გ. 1864 1—1

დაკარგა სარეგისტრაციო ბარათი გაცემული ქ. ონის რაიონის მაზრის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ ვარლამ გიორგის ძე ჩაგელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1864 1—1

დაკარგა საალრიცხო წიგნაკი № 326 შვებულების მოწმობა № 279 და პირადობის მოწმობა № 175 დომენტი დუდუმიძეს სახელზე, ჩ. გ. 1864 1—1

ტირაჟი—25.354

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68